საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 236 (2347) | შაბათი, 23 ნოემბერი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

დღეს, 23 ნოემბერს პლებისციტია

ΑΓΙΟC
ΓΕΟΡΓΙΟC

დღეს გიორგობაა. მისი მადლი შეგეწიოთ!

> ევროპის კავშირი სრულ მხარდაჭერას გამოხატავს გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამჟამად არ არსებობს შესაბამისი პირობები აფხაზეთში არჩევნების გასამართავად.

ევროპის კავშირის სახელით, ევროპის კავშირის პრეზიდენტი ქვეყნის, ირლანდიის განცხადება აფხაზეთში (საქართველო) არჩევნების შესახებ

ევროპის კავშირი გამოხატავს ღრმა შეშფოთებას აფხაზეთის მხარის განზრახვით 1996 წლის 23 ნოემბერს გამართოს საპარლამენტო არჩევნები. ევროკავშირს მიაჩნია, რომ ასეთი არჩევნები შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების ჩარჩოებში, რომელიც მოიცავს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მოლაპარაკების გზით განსაზღვრას საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, აგრეთვე ყველა ლტოლვილისა და გადაადგილებულ პირთა არჩევნებში მონაწილეობის გარანტირებული შესაძლებლობის პირობით. ევროპის კავშირი სრულ მხარდაჭერას გამოხატავს გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადებისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამჟამად არ არსებობს შესაბამისი პირობები აღნიშნული არჩევნების გასამართავად.

ევროპის კავშირი მოუწოდებს აფხაზეთის მხარეს გააუქმოს დანიშნული არჩევნები და მოითხოვს, რომ ორივე მხარემ თავი შეიკავოს ყოველგვარი ქმედებისაგან, რომელთაც შეუძლიათ გაამწვავონ დაძაბულობა რეგიონებში და განაახლონ დისკუსია ყოვლისმომცველი პოლიტიკური დარეგულირების მისაღწევად.

ირლანდიის მუდმივი წარმომადგენლობა გაეროში.
1996 წლის 21 ნოემბერი.

დიდ ქართველ მწერალსა და მამულიშვილს ირაკლი აბაშიძეს დღეს 87 წელი შეუსრულდებოდა



ირაკლი აბაშიძე

ხმა სამრეკლოსთან

– შენ გეაჯები,
შენს ვედრებას,
გულით ნათმენი,
სად წამოსული
მონა შენი,
მონა ყარიბი:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები,
არ მომიკვეთო
შენს ჯვარს
მიწა, შენით ნათელი.
რად მეჩვენება
ჟამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების,
შემოწყრომა მაღალ სამართლის;
რატომ ჩანს შავად
უსაზღვრობა აღმოსავლეთის,
რად მესმის გლოვა
შორი ქართლის სამრეკლოების.
რად მესიზმრება
ხმალი, ტარში გადამსხვრეული,
ტანჯვა, გოდება,
ბედშავობა, ცრემლი მალული,
რად დამდევს ლანდად
ბედწამხდარი ჩემი მამული.
მამული, შენს ჯვარს მოწყვეტილი
და დამწყვდეული.
აკმარე ჭირი,
მტრის მონობა,
სპარსი, არაბი;
აშორე ცრემლი,
უსჯულობა,
წარღვნა, ქარაფი;
შენ გევედრები,
შენს დიდ გზაზე
ლოცვით მარები:
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები.

ინგა არგუნი:

საქართველოს მთლიანობა უპირველესად აფხაზებს გვჭირდება

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტის აპარატში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აფხაზეთიდან დევნილთა მრავალი წერილი შემოვიდა. მათი ავტორები, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში გაფანტული აფხაზეთის მკვიდრნი, გულწრფელად, ემოციურად გამოხატავენ მთავარზე მთავარს: **საქართველოს ძირძველ კუთხეში მშვიდობა უნდა დამყარდეს, ყველა დევნილი მშობლიურ კერას დაუბრუნდეს, გონიერებამ და სიკეთემ გაიმარჯვოს.**

შეუძლებელია გულგრილად წაიკითხო ეს წერილები. თურმე, რამდენი რამ გასჭირვებიათ დევნილებს, როგორ მონატრებიათ საქართველოს შავიზღვისპირეთის მარგალიტი – აფხაზეთი, მშობლიური კერა.

სოხუმელი **ინგა არგუნი** დროებით მინსკში დამკვიდრებულა. იქიდან თავის გულისნადებს გვიზიარებს: **მე კვლავ ქართველების მხარდამხარ მინდა დანგრეული აფხაზეთი ავაშენო, მაგრამ ამისათვის ჯერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, ჩვენ საკუთარ სახლებში დავბრუნდეთ და ერთად მოვინანიოთ მწარე შეცდომები. საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, აფხაზებს გვჭირდება. დევნილის თვალსაწიერიდან, საზღვარგარეთიდან, ნათლად ვხედავ, რომ ქართველები და აფხაზები კვლავაც ერთად უნდა ვცხოვრობდეთ, სხვათა ანკესზე არ უნდა წამოვეგოთ და საერთო გასაჭირი ერთად გადავლახოთ.**

ეჭვგარეშეა, ქალბატონ ინგა არგუნის მოსაზრებას ყველა გონიერი აფხაზი და ქართველი გაიზიარებს...

სოხუმელი **გარი ლეონოვი** და მისი მეუღლე ვილნიუსიდან გვწერენ: **მხარს ვუჭერთ საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების პოზიციას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგების შესახებ. მართალია, ვილნიუსში საარჩევნო უბანი არ არის, მაგრამ ჩვენი წერილით ხმას ვუერთებთ პლებისციტს, აფხაზეთიდან დევნილთა საერთო-სახალხო გამოკითხვას. საქართველო ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფო უნდა იყოს.**

იგივე მოსაზრებისანი არიან გაგრელი ლტოლვილები **ელიზაბეტა ნუცუბიძე** და **სოფიკო კუკულავა**, რომლებიც ასევე ვილნიუსში მოხვედრილან და ყოველდღე ელოდებიან მშობლიურ კერაზე დაბრუნების ნებართვას.

ღმერთმა ეს იმედი ნუ მოუშალოთ!

ლტოლვილი **ძაგანიების** ოჯახი საფრანგეთიდან გვეხმაურება. ოჯახის მამა **ავთანდილი**, მეუღლე **ლეილა გაბისონია-ძაგანია**, შვილები **ლალი** და აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილე **ავთანდილი** ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ პლებისციტი მაღალ დონეზე ჩატარდება და მსოფლიო კიდევ ერთხელ დაინახავს ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი აზროვნების დონეს.

სპარტაკ ძოგულია.

გვწერენ

ლტოლვილთა დამხმარე

მძიმეა დევნილის ბედი. დროთა სვლას ჯერჯერობით ვერაფერი სასიკეთო მოაქვს ხიზანთათვის. რაც დრო გადის, უფრო აუტანელი, გულსაკლავი და ბურუსით მოცულია ამ ადამიანების მომავალი. ეგრეთ წოდებული ლტოლვილები დავეხეტებით კუთხიდან კუთხეში... ვეძებთ ერთმანეთს დაშორებული მკვიდრები, ნათესავები და მეგობრები. ამასობაში კი ვაწყდებით იმ ადამიანებს, ვისაც სიკეთის თესვა, მოძმეთათვის ხელის გაწვდენა სჩვევია.

ახლახან საქმემ და გაჭირვებამ შპს (სისტემა „ხოლდი პლიუს") პრეზიდენტ ბატონ ლევან ნაკაიძესთან და თბილისის ერთ-ერთ ავტოსადგურის უფროსთან გელა მიმინოშვილთან დამაკავშირა. ისინი დევნილ მოქალაქეებს განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობიან. ბატონმა ლევანმა დიდი მონდომების ფასად შეძლო დახმარებოდა აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეებს საქალაქთაშორისო ავტოტრანსპორტით უფასო მგზავრობაში.

არაფერია იმაზე ძვირფასი, ვიდრე დღეს, ასეთ გაუსაძლის დროს, პატიოსნად და უანგაროდ ემსახურო კერამოშლილ თანამემამულეებს, მათი ბედით იცხოვრო, მათ სიკეთეზე იზრუნო. კვლავაც იმედით ვიქნებით... და თუ დაგვიდგება დალხინებული დრო-ჟამი ჩვენს მშობლიურ კუთხეში დაბრუნებისა, ყოველთვის კეთილად მოვიგონებთ იმათ, ვინც უკიდურესი განსაცდელისას გვერდში ამოგვიდგა, გული გაგვიმაგრა და სიკეთე არ დაიშურა.

ლია შენგელია
ლტოლვილი პედაგოგი სოხუმიდან.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 20 ნოემბერი ქ. თბილისი

ნ. მჭედლიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული კინოს განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი **ნანა მჭედლიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

პრეზიდენტის ფოსტიდან

ხელოვნება დიდი ძალაა ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში

მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯეიმს ვოლფენსონმა ამ ცოტა ხნის წინათ წერილი გამოუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. წერილში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს განზრახული აქვს თბილისში საქველმოქმედო კონცერტის გამართვაზე ჩამოიყვანოს ჩვენი დროის გამოჩენილი პიანისტი ვლადიმერ აშკენაზი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლიერებით მიიღო [illegible] წინადადება და გულითადად მოიწვია საქართველოში ბატონი ვოლფენსონი: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და მათ შორის მსოფლიო ბანკის გადამწყვეტი დახმარების წყალობით საქართველო გამოვიდა უმძიმესი კრიზისიდან და აღმავლობის გზას დაადგა. მოხარული ვიქნებოდი, თუკი თქვენ ჩამობრძანდებოდით ჩვენთან, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვესახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები", – წერს ბატონ ჯეიმს ვოლფენსონს საქართველოს პრეზიდენტი.

პასუხად მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძეს გულწრფელი მადლობა მოახსენა მოპატიჟებისათვის და დადებითი პასუხისათვის, რომელიც ეხებოდა ვლადიმერ აშკენაზის საქართველოში კონცერტის გამართვის ინიციატივას. „ვიმედოვნებ, რომ თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობა თბილისში მომეცემა 1997 წელს, – წერს საპასუხო ბარათში ბატონი ვოლფენსონი, – დიდად არის დაფასებული თქვენი სასიკეთო თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან, რომელიც ძალისხმევას არ აკლებს, რათა იხსნას საქართველო უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან. იმედით მოველი თქვენთან შეხვედრას, რათა ერთად განვიხილოთ ჩვენი მიმდინარე და მომავალი თანამშრომლობის საკითხები".

საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს დაავალა, რომ ღირსეული შეხვედრა მოუწყონ გამოჩენილ პიანისტს და დასახონ საქართველოსათვის ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების გამართვის პროგრამა. მინისტრი უკვე პირადად დაუკავშირდა ბატონ აშკენაზის მენეჯერს ჯასპერ პეროტს. წინასწარი ვარაუდით გამოჩენილი პიანისტი ვლადიმერ აშკენაზი საქართველოს ეწვევა 1997 წლის სექტემბრის ბოლოს და თბილისში გამართავს საქველმოქმედო კონცერტს.

საქინფორმი

„სასწაულმოქმედი" კორეა - საქართველოს პარტნიორი

კორეის ელჩის მიღების დროს.

– მთელ ჩემს ძალისხმევას მოვახმარ საქართველოსა და კორეის რესპუბლიკის დაახლოებასა და მათ შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, – განაცხადა საქართველოში კორეის რესპუბლიკის ახლადდანიშნულმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯონგ-ბინ ლიმ 22 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე. მან ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა და თავისი ქვეყნის ხელისუფლების სახელით მიულოცა ბოლო წლებში ქვეყანაში მიღწეული წარმატებები.

ედუარდ შევარდნაძემ კორეის რესპუბლიკის ელჩის მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში შეაფასა, როგორც ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის აქტივიზაციის რეალური შანსი და გამოთქვა რწმენა, რომ თანამშრომლობა იმ ქვეყანასთან, რომელმაც უმოკლეს დროში მრეწველობასა და მთლიანად, ეკონომიკაში მანამდე არნახული „სასწაულის" მოხდენა შეძლო, კარგ და სასარგებლო გაკვეთილად გამოადგება საქართველოს.

* * *

22 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა კორეის რესპუბლიკის ახალ ელჩს საქართველოში ჯონგბინ ლის და მის თანმხლებ პირებს.

მინისტრმა ელჩს მიულოცა მისი დანიშვნა საქართველოში და გამოთქვა რწმენა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობას თვისებრივად ახალი საფუძველი ჩაეყრება.

საქართველომ კორეის მხარეს მიაწოდა ხელშეკრულებათა პროექტი, რომელიც ორ ქვეყანას შორის საჰაერო ტრანსპორტის, სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საფოსტო და ტელეკომუნიკაციების, ინვესტიციებისა და საბანკო სფეროებში თანამშრომლობის საკითხებს შეეხება. ამჟამად, როგორც სტუმარმა აღნიშნა, ეს პროექტები განხილვის სტადიაშია.

შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე ტრანსკავკასიური დერეფნის საკითხები.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

22 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ინფორმაცია 1996 წლის 29 ნოემბერს ბრიუსელში ნატოს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის" გათვალისწინებულ დიალოგში ფორმატით „16 პლუს 1" საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

იმსჯელეს საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში საერთაშორისო რეისებზე მგზავრთა საბაჟო, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის განხორციელებისა და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებების თაობაზე.

გადაწყდა, რომ 1997 წლის 24 იანვარს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე შეჯამდება კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით 1996 წელს გაწეული მუშაობის შედეგები.

საბჭოს წევრებმა აგრეთვე განიხილეს ექსპორტის კონტროლის სისტემების საკანონმდებლო და ტექნიკური ბაზის ჩამოსაყალიბებლად სამუშაო ჯგუფის შექმნისა და რიგი სხვა საკითხები.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

ი-ნფორ
მაცია

მილოცვა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო კავკასიის მუსულმანთა სასულიერო სამმართველოს საქართველოში წარმომადგენლის, თბილისის მეჩეთის ახუნდის მამადი ალის წერილი. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

„თქვენ და თქვენი სახით ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებს და საქართველოს ხელისუფლებას გილოცავთ 23 ნოემბერს – წმინდა დიდებულისა, დიდმოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგი ბრწყინვალის დღესასწაულს.

გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს თქვენს დიდ ძალისხმევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ურთიერთპატივისცემის განმტკიცებისათვის".

კვლავ კადრები წყვეტენ ყველაფერს

22 ნოემბერს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო „ღია საზოგადოების ინსტიტუტის" – სოროსის ფონდის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს ფერნი.

იმსჯელეს სოროსის ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით თბილისში მოქმედი სახელმწიფო მოხელეთა მომზადების ინსტიტუტის მუშაობის დახვეწის კონკრეტულ ღონისძიებებზე. აღინიშნა, რომ დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნებისათვის კვალიფიციური სახელმწიფო მოხელეების კადრების ჩამოყალიბებას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, იბერიამ, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

ჯანო ჯანელიძე

ცოტნე

მოჰყვება ორხევს,
მოდის ბილიკით ორხევით,
არ ყოფილიყო ცოტნე
არ იქნებოდა კოლხეთი.
მოდის ჩუმი, ვით ლოცვა,
ხელი მახვილზე უდევს,
მინავლებული მზე მოჩანს,
როგორც უბარტყო ბუდე.
გასცქერს მთებს შავად შემოსილთ,
დრდვინავს მონღოლთა ურდო,
ვაი, ბედო საქართველოსი,
უბედო ბედო, უნდო!..
აი, მწყერვალები მოდგნენ
იმ კოხტაგორას ქერტად,
მოდის კოლხელი ცოტნე,
მოაქვს კოლხური სევდა.
და ერთგულება მარად
გაუტეხელი ხულის,
მკერდზე ჭრილობას მალავს,
ვეღარ იოკებს სურვილს.
ვეღარ იოკებს ბოღმას,
აი, ბედის გამოცანა!..
მამის შეაკრთობს ოხვრა,
დედის ჩაესმის „ნანა".
ცრემლს ვერ იოკებს მოხეთქილს
პირიმზე ცრემლად დადნა,
იხევ დაიბადებს კოლხეთი,
ჟაჟკაცებს ცოტნეს ბადალს.
სიო აშლერებს ტოტებს
და მზე ზენიტზე ადის,
მოდის კოლხელი ცოტნე,
მოაქვს კოლხური დარდი.
მწვერვალს გადიფრენს მიმინო,
წყვილად გაშლილი აფრით,
და მოყვავილე ღიღილო
მათრობს სურნელი თაფლის.
ჟამი აშუშებს იარებს
და დგას კოლხეთი კოშკად
და ქართულ ცაზე შრიალებს,
ცოტნე – სინდისის დროშა.
წამსვე ბრწყინდება შორეთი,
მას გაეიხსენებ ოდეს,
არ ყოფილიყო კოლხეთი,
არ იქნებოდა ცოტნე.

გიწვევთ

გიპასუხებთ ქალაქის პოლიციის შეფი



შეთანხმებისამებრ, მკითხველებს პერიოდულად შეხვდება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დემურ მიქაძე. მომავალ ოთხშაბათს, 27 ნოემბერს თქვენს სატელეფონო ზარს დაელოდება დედაქალაქის პოლიციის შეფი. დარეკეთ ტელ: 99-29-05. შეგიძლიათ შეკითხვები წერილობითაც გამოგვიგზავნოთ. მისამართი: კოსტავას 14.

უკანასკნელ საათს

პრეზიდენტი ბარვიხაში გადავიდა

ელცინი კლინიკიდან გამოეწერა

გუშინ პრეზიდენტმა ელცინმა, რომელიც საავადმყოფოდან უკვე თავის ქალაქგარეთა რეზიდენცია ბარვიხაში გადავიდა, ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: „ბელორუსიაში ძალზე სერიოზული კრიზისი მწიფდებოდა. ჩვენ ვერ დავუშვებდით, რომ ამ ქვეყნის საზოგადოება ორად გახლეჩილიყო. სწორედ ამიტომ უნდა გვეპოვა კომპრომისი. მე ვესაუბრე ბელორუსიის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს, სპიკერს სიმონ შარეცკის, იქ მივავლინე პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი, პალატების თავმჯდომარეები, რათა ბელორუსიის ხელმძღვანელებს ხელი მოეწერათ კომპრომისის ერთიანი დოკუმენტისათვის. ამას მივაღწიეთ კიდეც. კრიზისი თავიდან არის აცილებული".

როგორც კლინიკის მთავარმა ექიმმა სერგეი მირონოვმა განაცხადა, ბორის ელცინი უკვე მომჯობინდა, გაუქრა ტკივილები, გამოუკეთდა გუნება, ხშირად ხუმრობს. თანდათან იზრდება ფიზიკური დატვირთვები. ახლა უკვე შეუძლია ყოველდღიურად გამართოს სამუშაო შეხვედრები.

პრემიერი მოგზაურობს

პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, რომელიც საგანგებოდ იყო ჩასული ბელორუსიაში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, განაცხადა: „მიღწეული შეთანხმება უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯია, რომელიც ხსნის მომწიფებულ უაღრესად სერიოზულ პრობლემებს". მინსკიდან დაბრუნებული პრემიერი გაემგზავრა მურმანსკში, იქიდან სევერომორსკში – რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში.

სახელმწიფო სათათბიროს მოთხოვნა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პრეზიდენტს მიმართა განცხადებით, რომელშიც მოითხოვეს ა.წ. ივნისში მთავრობის სახლიდან ნახევარი მილიონი დოლარის გატანასთან დაკავშირებული საქმის გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური ჩუბაისი.

პრეზიდენტი უკან იხევს, პარლამენტი - არა

გუშინ ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ხელი მოაწერა ახალ ბრძანებულებას, რომლითაც გააუქმა თავისი წინანდელი გადაწყვეტილებანი რეფერენდუმის თაობაზე. რეფერენდუმს ექნება არა სავალდებულო, არამედ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

მიუხედავად ამისა, ბელორუსიის დეპუტატები უარს ამბობენ უკან გაიტანონ საკონსტიტუციო სასამართლოდან თავიანთი დოკუმენტი იმპიჩმენტის გამოცხადების შესახებ, ვინაიდან, როგორც მათ თქვეს, „არ ენდობიან ლუკაშენკოს არც როგორც პრეზიდენტს, და არც როგორც ადამიანს".



კანონი მოქმედებს

მოქალაქე უჩიოდა პრეზიდენტს

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველი კოლეგიის შემადგენლობით 19 ნოემბერს განმწესრიგებელ სხდომაზე იმსჯელა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მოქალაქე ნოდარ ქანკოტაძის კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების შესახებ.

სარჩელის თანახმად, დავის საგანს წარმოადგენდა „პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის № 178 ბრძანებულებით დამტკიცებული „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ" დებულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

იმის გამო, რომ დებულება ამჟამად უკვე აღარ მოქმედებს და ძალადაკარგულია, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო განსახილველად მოქალაქე ნ. ქანკოტაძის სარჩელი და შეწყვიტა სამართალწარმოება ხსენებულ საქმეზე.

თ. დემეტრაშვილი.

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

ოთხი დღის შედეგები

მეხუთე დღეა აფხაზეთიდან დევნილებს შორის მიმდინარეობს წინასწარი ხმის მიცემა. უკანასკნელი ოთხი დღის მონაცემებით მასში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკაში მცხოვრებმა დაახლოებით 30 ათასმა დევნილმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესცენტრის ხელმძღვანელის გიორგი ქურდაძის ინფორმაციით, დევნილ მოსახლეობაში ამ გამოკითხვისადმი დიდი ინტერესია, ბოლო დღეებში კი დინამიკაც შეინიშნება.

ქ. თბილისის საარჩევნო უბნებში უკვე დაფიქსირდა მონაწილეთა 27 პროცენტი, კახეთის რეგიონში – 52 პროცენტი, ქვემო ქართლში – 27 პროცენტი, ქართლში – 31 პროცენტი, იმერეთში – 19, სამეგრელოში – 6, აფხაზეთში, ქ. გულრიფშში – 25, ხოლო აჭარაში ამომრჩეველთა 28 პროცენტი.

ეს მთელი დევნილი მოსახლეობის 16,57 პროცენტია!

– როგორი სიტუაციაა ამ მხრივ დანარჩენ საარჩევნო უბნებში, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ არიან განთავსებული?

– ჯერჯერობით, არა გვაქვს ინფორმაციები რესპუბლიკის გარეთ წინასწარი ხმის მიცემის თაობაზე, ჯერჯერობით, რაც გაგვაჩნია, ესაა ცნობა ერევნიდან, რომ იქ წინასწარ პლებისციტში 65-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისი პრესცენტრი აქტიურად მუშაობს. მისი წევრები გადიან უბნებში, აგროვებენ ინფორმაციებს, საბოლოოდ აქ იყრის თავს ყველა საკითხი, საიდანაც შემდეგ აკრედიტებული სააგენტოები ამ ინფორმაციებს ავრცელებენ.

დღეს, 23 ნოემბერს, პრესცენტრს ყველაზე დაძაბული სამუშაო დღე ექნება.

ლია ძილლაძე.

აზერბაიჯანელთა ერთსულოვნება

გარდაბანში აზერბაიჯანელი მოსახლეობის აქტივი შეიკრიბა, რომელზეც ერთხმად მიიღეს მიმართვა საქართველოში მცხოვრები ყველა აზერბაიჯანელისადმი. მასში ნათქვამია: ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობას საუკუნო ტრადიციები აქვს. ჩვენ მუდამ ერთად ვიბრძოდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის. დღეს აფხაზეთის მოსახლეობის მცირე ნაწილი, სეპარატისტები და მათი მხარდამჭერნი, უგულებელყოფენ საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის ნებას და ერებს შორის შუღლს აღვივებენ.

ჩვენ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მთლიანად ვუჭერთ მხარს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ვიწონებთ საერთო-სახალხო გამოკითხვის – პლებისციტის იდეას. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება დევნილთა მშობლიურ ოჯახებში დაბრუნებისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი.

ახალგაზრდობამ თავისი სიტყვა თქვა

პლებისციტზე – რომლის მეშვეობითაც აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა კიდევ ერთხელ აღნიშნავს საკუთარ პოზიციას აფხაზი სეპარატისტების მიერ 23 ნოემბერს დაგეგმილი არალეგიტიმური არჩევნებისადმი, ბოლო დროს ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. უკანონო არჩევნებისადმი საყოველთაო პროტესტს თავისი ხმა შეუერთა აფხაზეთის ახალგაზრდობამ, რომელმაც 20 ნოემბერს თავი მოიყარა ყოფილი პარლამენტის შენობაში. აფხაზეთის ახალგაზრდობამ გამოხატა თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება ყოველივე იმის გამო, რაც აფხაზეთში მოხდა და განაცხადა, რომ არასოდეს შეეგუება სეპარატისტთა თარეშს ძირძველ ქართულ მიწაზე. იგი მზად არის, რა გზითაც და საშუალებითაც იქნება საჭირო, დაიცვას თავისი უფლებები. აფხაზეთის ახალგაზრდობა გმობს სეპარატისტთა მორიგ ავანტიურას – 23 ნოემბრის არჩევნებს აფხაზეთში. ისინი აცხადებენ, რომ მაშინ, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დევნილია, არჩევნების გამართვა სრული უაზრობა და უკანონობაა.

23 ნოემბერს აფხაზეთის ახალგაზრდობა აქტიურად მიიღებს მონაწილეობას პლებისციტში და გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ არალეგიტიმური არჩევნებისადმი.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ, რომელიც ესწრებოდა შეხვედრას, აღნიშნა, რომ პლებისციტი უნდა გაიმართოს ორგანიზებულად და ყოველ დევნილს უნდა მიეცეს საშუალება თავისი აზრი გამოხატოს.

როგორც ზურაბ ერქვანიამ განაცხადა, აღიკვეთება ყველაფერი ის, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. მისი თქმით, პლებისციტი გაიმართება გალშიც და, თუ იმ დღეს – 23 ნოემბერს, სეპარატისტების მხრიდან მოხდა რაიმე ზემოქმედება იქ დარჩენილ ქართველ მოსახლეობაზე, საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნება განახორციელოს საპასუხო ღონისძიებანი და ჩვენ ამისათვის მზად ვართ.

„ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში, ჩვენს კერაზე, რადგანაც ჩვენ მართალნი ვართ", – შეხვედრის დასასრულს განაცხადა აფხაზეთის ახალგაზრდობამ.

საქინფორმი.

ელჩები მხარს გვიჭერენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი აგრძელებს საქართველოში აკრედიტებული ელჩების მიღებას.

19 ნოემბერს დახურულ კარს მიღმა შედგა შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილესთან ლორენს კერისთან.

* * *

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ელჩთან მიხაილ ლიბალთან საუბრის ძირითადი თემა კვლავ აფხაზეთის ე.წ. საპარლამენტო არჩევნები და აფხაზეთიდან დევნილთა, ლტოლვილთა საერთო-სახალხო გამოკითხვა იყო.

როგორც ბატონმა ლიბალმა აღნიშნა, ეუთოს შეფასებით 23 ნოემბრის არჩევნებს აფხაზეთში სეპარატისტული ხელისუფლების სასიკეთოდ არაფრის შეცვლა არ ძალუძს, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ეს არჩევნები არალეგიტიმურია აფხაზეთიდან ლტოლვილთა, დევნილთა დაბრუნებამდე და აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიან მოწესრიგებამდე. ამიტომაც, ელჩის განცხადებით, ეუთო არანაირ დაინტერესებას არ ამჟღავნებს: არ აგზავნის იქ მეთვალყურეებს და არც მონიტორინგს გაუწევს მას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური.

წიგნის – „გენოციდი აფხაზეთში" პრეზენტაცია

21 ნოემბერს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პოლიტოლოგთა კლუბში მოეწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის წიგნის – „გენოციდი აფხაზეთში" პრეზენტაცია.

წიგნი შეაფასეს ცნობილმა ისტორიკოსებმა, პოლიტოლოგებმა და აღნიშნეს, რომ საერთაშორისო საზოგადოების საუწყებლად აუცილებელია მოხერხდეს მისი ინგლისურ ენაზე გამოცემა.

მხატვარი მერაბ აბაშიძე

როგორც უკვე ჩვენმა მკითხველმა იცის, გურამ ოდიშარიას წიგნი „სოხუმში დაბრუნება" წარდგენილია 1996 წლის სახელმწიფო პრემიაზე.

გურამ ოდიშარიამ ახლახან ახალ წიგნზე დაამთავრა მუშაობა, რომელიც, თითქმის „სოხუმში დაბრუნების" გაგრძელებაა. გთავაზობთ ერთ-ერთ ნოველას მწერლის ახალი წიგნიდან; მასში ნამდვილი ამბავია მოთხრობილი, ხოლო გმირების სახელები კი, გასაგები მიზეზების გამო, შეცვლილია.

ბონდო

სამი ახალგაზრდის დახვრეტის შემდეგ ბონდოს ჯერიც დადგა. თავი სიზმარში ეგონა. თითქოს ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა, სრულებითაც არ ეხებოდა მას, ტელევიზორში ნაჩვენებს დაემსგავსა ყოველივე.

ახალგაზრდების შემდეგ ხვრეტენ. შეიძლება მისი ასაკის გამოც ხდებოდა ასე – ბონდო სამოცსაა მიღწეული. მაგრამ, ეშმაკმა უწყის, რამ გადააწყვეტინა მათ რიგითობის ასეთი დაცვა.

კედელთან დააყენეს.

ნეტავ, ორივე ერთდროულად მესროლეს, თუნდაც ნახევარნახევარ მკვდეს დამაყრიდნენ, – ნატრობს ულეთოდ ნაცემ-ნაგვემი ბონდო, – იქნებ არც ვიგრძნო მაშინ ტკივილი... დავისვენებ...

ცას ახედა.

სწორედ ამ დროს მოვარდა აშუბა.

– რას აკეთებთ, ამ კაცმა მე და ჩემი ჯალაბი ტყვეობას გადაგვარჩინა, კიდევ ოცი აფხაზიც! – ღრიალებდა აშუბა, – ტანკებს წინ აღუდგა, სოფელში არ შემოხვიდეთო! თქვენ არ იცით, ვის კლავთ!...

აშუბა ბონდოს აეფარა, შემდეგ ხელი ჩასჭიდა და განზე [illegible] [illegible] გაცოფდა – მასწავლებელი... ამისი გაზრდილი ქართველები სჯამდნენ ჩვენს ხალხსო.

აშუბამ მაინც თავისი გაიტანა. ასე იყო თუ ისე, იმ ორს მაინც ჰქონდა აშუბას რიდი.

სანამ მანქანამდე მიიყვანდა, გზაში მაღალი, ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდა ქალი შემოეფეთათ. – ეს სად მიგყავს, – ბონდოზე მიანიშნა, – ამისთანები არ უნდა ცოცხლობდნენო, – იკივლა ქალმა. ეს ის ქალი იყო, დილით ცხვირში ხელჩავლებული ხარხარით რომ დაყავდა ბონდო სკოლის ეზოში – ნახეთ ისტორიის მასწავლებელს როგორ დავატარებ, დასაკლავი ხარივითო... სწორედ მაშინ სცემეს ბონდო ავტომატის კონდახებით და შემდეგ ქართული კუპონები დაალეჭინეს, შეჭამეო, კინაღამ დაახრჩო მაშინ კუპონის სალებავით გამწვანებულმა დორბლმა.

აშუბამ გააავებული ქალიც მოიგერია, ბონდო მანქანაში ჩასვა და გალის გზას გაუდგა. მანამდე კი ქალი დაემუქრა აშუბას – ნახე, შენ რა მოგივიდესო.

თავდაპირველად ვერ იცნო ბონდომ აშუბა. არადა, მართლაც ძნელი საცნობი იყო წვერმოშვებული, სამხედრო-ფორმიანი თანასოფლელი, მითუმეტეს, ცოცხალ-მკვდარი ბონდოსათვის.

როცა აშუბას მანქანა კვიტოულში ვიღაცის სახლს მიადგა, მხოლოდ მაშინ ამოღერღა ბონდომ – შენ ასტამურ აშუბა ხომ არ ხარო, გაიცინა აშუბამ – ახლა მიცანი, შე კაცოო.

აშუბამ ბონდოს ღამე მოკეთის სახლში გაათენებინა. ფეხები დაუბანეს ბონდოს იმ სახლში, აჭამეს, იზაბელა დაალევინეს.

ძილის წინ ბონდო ფიქრობდა – კარგი სალამ-ქალამი კი ჰქონდათ მას და ასტამურ აშუბას ერთმანეთში, მაგრამ ვერა და ვერ გაეგო, რატომ გამოიდო თავი ასე, რატომ ესათუთებოდა შორეული მეზობელი, რომლის სახელიც ძლივს გაიხსენა, ან რად იგრძნა, თითქოს ბონდომ მისი ოჯახი ტყვეობას გადაარჩინა და ტანკებს წინ აღუდგა...

მეორე დილით აშუბამ ბონდო ენგურის ხიდს მიაყენა მანქანით.

გამომშვიდობებისას ჰკითხა:

– ბონდო, გახსოვს ის დღე, წელს, ზაფხულში, ჩემს ეზოში რომ იყავი?

ვერ გაიხსენა ბონდომ.

– გაიხსენე, ბონდო, გაიხსენე, ჩემს ეზოში რომ იყავი, ჭიშკარი რომ მავთულით შეჰკარი, სასაფლაოდან ხის ტოტი რომ გადაათრიე... გაიხსენე... მეც მაშინ იქ ვიყავი, ბონდო, თხილნარიდან გითვალთვალებდი... ღამ-ღამობით მოვდიოდი ხოლმე მალულად... ჩემს სახლში, ბიჭის საფლავზე...

ვერაფერი გაიხსენა ბონდომ.

– კეთილი, – უთხრა აშუბამ, – შენ ახლა ამის თავი არა გაქვს, ვიცი... მერე გაიხსენებ, მოიგონებ ყველაფერს... მე თხილნარიდან გიყურებდი მაშინ...

და ბონდოს გადაეხვია:

– ერთ დროს მაინც ერთად ვიცხოვრებთ.

ბონდო ძლივს გადალასლასდა ენგურის ხიდზე. შემდეგ ზუგდიდელ ნათესავთან გაათია ღამე, მერე თბილისისკენ გაჰყვა „იკარუსს" – იქ ოჯახი ელოდებოდა. ჩქარობდა, იცოდა, რა დღეშიც იქნებოდა სახლეული, რომლებმაც არ იცოდნენ, ცოცხალი იყო თუ მკვდარი...

ერთ მშვენიერ დღეს თბილისში, სასტუმროში, ლოგინზე წამოწოლილს თითქოს გონება გაუნათდაო, გაახსენა ზაფხულის ის დღე, აშუბა რომ ეუბნებოდა, ნელ-ნელა აღადგინა ყოველივე.

ძროხა დაეკარგა ომის დროს ბონდოს, საძოვრები მოიარა, მაგრამ ვერსად მიაგნო. ბოლოს, სამოქამს, სოფლის განაპირა მცხოვრებ ასტამურ აშუბას სახლსაც მიადგა. ჭიშკარი მოფლეთილი იყო. იქნებ აქ შეეხეტა ჩემი ძროხაო, და ბონდომ ეზოში შეაბიჯა.

სახლში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ომის დაწყებისთანავე, როდესაც ქართული გვარდია ბონდოს სოფელში შევიდა, აფხაზების ნაწილმა დატოვა სახლ-კარი, ზოგიც მარადიორებმა იმდენად შეავიწროვეს, რომ გაეცალნენ თავიანთ ფუძეს.

აშუბას ოჯახმა ყველაზე ბოლოს დატოვა სოფელი. შემდეგ გამძაფრდა ბრძოლები; იზრდებოდა მსხვერპლთა რიცხვი და იზრდებოდა შურისძიების შემთხვევებიც.

ბონდომ აშუბას ეზოში ვერ იპოვა თავისი ძროხა.

გამობრუნებისას სახლს ახედა. შეეცოდა უპატრონოდ მიტოვებული, კარფანჯრებმოლიავებული, გაძარცვული სახლი. დაბრუნდა, ჯერ პირველი სართულის ფანჯრები და კარები ჩაკეტა, შემდეგ მეორისა.

აივნიდან ეზოს რომ გადახედა, ნახა მსხლის უზარმაზარი ტოტი ოჯახის სასაფლაოს დასცემოდა (სოფლად მცხოვრები აფხაზების უმრავლესობას სასაფლაო ეზოში აქვთ). ბონდოს გაახსენდა, რომ აშუბას ცხრამეტი წლის ბიჭი ჰყავდა ეზოში დასაფლავებული. იმ ბიჭმა საკუთარი ტკივილი მოაგონა – თავისი ათი წლის ბიჭის დაღუპვის დღე. ჩამოვიდა აივნიდან, მსხლის ტოტი გადაათრია სასაფლაოდან, ბიჭის საფლავს ფოთლები მოაშორა, ამოღალანებული ბალახი ამოძირკვა, მარმარილოს ფილა ცხვირსახოცით მოაპრიალა და ბიჭს რამდენიმე მსხალი დაუდო თავთით.

ეზოდან გამოსვლისას ბალახებში ალუმინის მავთულს მოჰკრა თვალი. იმ მავთულით ჭიშკარი მაგრად შეკრა, რათა საქონელს არ გაენადგურებინა იქაურობა. კუტიკარიც ჩაკეტა და კიდევ ერთხელ ახედა სახლს. მარტოკაციივით იდგა სახლი...

მაშ, ასტამურ აშუბა თხილნარიდან მითვალთვალებდა მაშინ?... – გაუღიმა ლოგინზე წამოწოლილ ბონდოს და, მისდაუნებურად, ცრემლით აევსო თვალები.

გურამ ოდიშარია.

ძველქალაქი

„ძველი ვოდევილები" ახალი ფერებით

ფირმა „არსი": იწყებს და იგებს



თბილისელმა მახვილმა თვალმა არ გამოაპარა ქალაქის ისტორიულ უბანში გარემოსთან საოცრად შეწყობილი განახლებული შენობა-ნაგებობების დაბადება. კიდევ [illegible] [illegible] შენობებით: მოულოდნელად [illegible] სიდუხჭირისა. ქართველ კაცს არც [illegible] და [illegible] და არც სილამაზის ლტოლვა. სასიამოვნოა, რომ ამ კარგი საქმის შემოქმედი ფირმებიც მომრავლდა და მათი ხელისშემწყობნიც. თავდაპირველად ზოგიერთი მათგანი შეიქმნა როგორც ვიწრო პროფილის საწარმო, მაგრამ შემდეგ ცხოვრებამ თავისი კორექტივები შეიტანა და გაჩნდა ახალ-ახალი სფეროები. ეს გზა გაიარა ფირმა „არსმაც" (ხელმძღვანელი – გია აბულაძე), რომელსაც არც მაშინ შეუწყვეტია მოღვაწეობა, როცა ქალაქის ქუჩები ავტომატიანთა სანავარდო არენად ქცეულიყო. დღეს „არსი" მრავალდარგოვანი პროფილის ფირმაა და ასრულებს ფართო მოცულობის სამუშაოებს, დაპროექტებით დაწყებული და მშენებლობით დამთავრებული.

რითია იგი განსაკუთრებული? საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, „არსის" ძირითადი მიმართულება მშენებლობაში სათანადო დონის პროექტებია. ფირმის ახალგაზრდა კოლექტივი თავის იდეებს საფუძვლად უდებს [illegible] ქართულ [illegible] და [illegible]. არც [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] მის მიერ შემოღებული [illegible], რომელიც მშენებლობაში [illegible] [illegible]. მიუხედავად იმისა, რომ ფირმა [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. პრინციპი ერთია: „ჯერ შენ უნდა [illegible]". ეს კრიტიკული დამოკიდებულება საქმის ინტერესებიდან გამომდინარეობს – რაც გაკეთდება, [illegible] პროფესიონალურად უნდა გაკეთდეს! დამკვეთიც და შემსრულებელიც, რომ იტყვიან, „ერთ სულ და ერთ ხორცს" მოქმედებენ. პარტნიორები კი არიან მეორე სამშენებლო ტრესტი, „საქქალაქმშენი", „მშენებელი – 96", ფირმები „ხილიანი", „ლუ ბისტრო", „ნიუს პროექტი" და სხვები.

ახლა ვნახოთ, „რა გამოვიდა რისაგან". [illegible] ამ ბოლო დროს ქალაქი მშენებლობათა მასშტაბებით ვერ დაიკვეხნის. „არსი" მაინც [illegible] ამ ობიექტების [illegible], სრულიად ახალი სიცოცხლე რომ შთაბერა [illegible], [illegible] შეცვლილი [illegible]. „ივერთბანკის" მეორე სართულზე განთავსებულ სახელოსნოში ყველაფერი საქმიანია. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] „არსის" [illegible] [illegible] [illegible]. აქვე [illegible] [illegible] [illegible] „კალეჯთა კორპუსის" სახელით რომ [illegible]. მისი რეკონსტრუქცია – შენება 1990 წელს დაიწყო და, [illegible], არ შეჩერებულა. ძირეულად გადაკეთდა შიდა სივრცეები და მაქსიმალურად მოერგო „ივერთბანკის" ფუნქციას (მშენებლები – ზურაბ ჯაბუნია და გოჩა შერაზადიშვილი). გაჩნდა სამი შესასვლელი კარი რუსთაველის გამზირიდან, პასაჟი, შიდა ეზოები, კოლონადა. [illegible] გადაწყვეტილი პროექტი, რადგან ერთმანეთის

დამთავრება დამკვეთის – „ივერთბანკის" (გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ლობჯანიძე) და მშენებლების ინტერესები. არქიტექტორები გია აბულაძე, გაგა კიკნაძე და მარიკა სანაია თვითონ აკონტროლებდნენ სამუშაოს. (საინტერესოა, წერილში „აქ რომ თვალებია, ხელებიც შეეხოთა" „კალეჯთა კორპუსის" ადმინისტრაციულ-რეკონსტრუქციაში ფირმა „არსის" დიდ წვლილზე არაფერი მითქვამს, რისთვისაც შემოქმედებით კოლექტივს ბოდიშს ვუხდი).

„არსის" შემოქმედებით კოლექტივს ნამდვილ გამარჯვებად ჩაუთვალეს დავით აღმაშენებლის გამზირისა და ბორჯომის ქუჩის კუთხეში აგებული მაღაზია „ბატა", იგი შესანიშნავად ერწყმის საუკუნის დასაწყისის განა-

ლეს ერთი ლამაზი, ქართული ხელით [illegible] ლაზათიანი კუთხე შექმნილა. [illegible] [illegible] აშენება ყოფილი ქუჩაზე და ჭავჭავაძის პირველ შესახვევში (ავტორები – ლევან მუშკუდიანი, გია აბულაძე, გაგა კიკნაძე და მიკა ყრუაშვილი).

რახან ახლით მაღალი ხარისხის მშენებლობებზეა

შენიანების მასშტაბებს. არქიტექტორია გაგა კიკნაძე, მშენებელი – დავით ლაცაბიძე (შეხედე სახლისმშენებელი კომბინატი).

მაგრამ „ივერთბანკითა" და „ბატათი" როდი ამოიწურება „არსის" შემოქმედებითი კოლექტივის საქმეთა ნუსხა. ნახეთ „თბილკრედიტბანკი" დავით აღმაშენებლის გამზირზე, „კრისტალ დიორის" მაღაზია ვაკეში, მარჯანიშვილის მაღაზია „კულიკი" მარჯანიშვილზე, კაფე „პარნასი" ერეკლეს მოედანთან, კაზინო „იბერია". მათი ინტერიერების გადაწყვეტა [illegible] [illegible] [illegible] კვალიფიკაციას. დამკვეთია TBC – თბილისის ბიზნესცენტრი. სწორედ ის გახლავთ სამუშაოთა დამკვეთი მაგრამ ნუშზე განსაკუთრებული მთაბეჭდილება მოახდინა ხილიანის ქუჩაზე, ნიქოლაძის შესახვევის განაშენიანების პროექტმა. იგი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ავტორების – გია აბულაძისა და გაგა კიკნაძის მაღალ პროფესიონალიზმზე. ხუთი 5-8-სართულიანი საცხოვრებელი ბინა კიბის საფეხურებივით მისდევს ერთმანეთს და შესანიშნავად ერწყმის რელიეფს. პირველი სართული საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტებისათვის არის განკუთვნილი. დამკვეთებს – „ივერთბანკსა" და „არსის" ყველაფერი გათვალისწინებიათ. სამუშაოები უკვე დაიწყო ფირმა „ხილიანის", გაიძლის დრო და თბილისს კი-

აქცენტი აღებული, ბუნებრივია, მარტოოდენ საკუთარი თავის იმედად ყოფნა არ შეიძლება. „არსს" მჭიდრო, საქმიანი კონტაქტები აქვს ავსტრიის, გერმანიის, თურქეთის, ინგლისის, იტალიისა და სხვა ქვეყნების სამშენებლო ფირმებთან, იქიდან შემოაქვთ მოსაპირკეთებელი მასალები, ავეჯი. რამდენიმე მცირე საწარმო „არსს" საქართველოშიც აქვს. მკითხველისათვის არც ის უნდა იყოს უინტერესო, რომ „ივერთბანკმა" ემიგრელში რამდენიმე ქვეყნის ცოცხალი მაისა შეამკო და მასა-პაპური მოთქლებით მათი ადმინისტრაციული რეკონსტრუქცია დაიწყო. პროექტის ავტორია ლევან მუშკუდიანი, ხოლო შემსრულებლები – ადგილობრივი მცხოვრებლები. ესეც ნიშანდობლივია: ადგილობრივი ხელის საქმე გამოჩნდა, თანაც ისეთი, რომლის მნიშვნელობაც ფასდაუდებელია.

მკითხველი შენიშნავდა, რომ წერილში ხშირად ფიგურირებს „ივერთბანკი". ფირმა „არსის" წამოწყებული თითქმის ყველა საქმის თანამდგომი და დამფინანსებელი სწორედ ეს ორგანიზაციაა. მის ქველმოქმედებაზე აღრიცხვ არაერთხელ თქმულა და ვფიქრობ კიდევ ახლა ავღნიშნავ. „ივერთბანკის" ხელმძღვანელობამ თავის შენობაში „მეიდანი" გალერეა „ორიენტი" (ბაია წიქორიძე, ქეთევან შუბითიძე), რომელიც რეგულარულად აწყობს ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენას.

„ივერთბანკმა" უცხოეთში თავისი სახსრებით დაბეჭდა მიმდინარე ფერადი კატალოგი „ქართული ხელოვნება". მის წინასიტყვაობაში ქალბატონი ბაია წიქორიძე აღნიშნავს, რომ გამოფენამ „საწყისი დაუდო ხელოვნებასა და საქმიან წრეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ისეთ ფორმებს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია თანამედროვე სამყაროში". შედეგი, ეჭვგარეშე, საკმაოდ ნათელია.

* * *

მახსენდება არც ისე შორეული დრო, როცა მაისობის წინა დღეებში დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე [illegible] [illegible] ატყდებოდა ხოლმე: „სწრაფად, იაფად"... (და უხარისხოდ!) იყოს შენდებოდა შენობები. იაფად, სწრაფად და უხარისხოდ, რომ რადაც [illegible] თავის შემდეგ [illegible] [illegible] თავიდან გასაკეთებელი ხდებოდა. ეს პროცესი [illegible] ფულის კეთების შესანიშნავი საშუალება გახლდათ. დღეს ქვეყანა დამკვეთი და შემსრულებელი ამ აფიორაზე ძნელად წავა: განაკვეთებელიც და „ფულის სამოქალაქო" [illegible] რამ არის. [illegible] მათ არ ეპატიებოდათ... ამ შენობებისათვის, ჯერჯერობით, [illegible] [illegible], „არსის" მთავარი კრიტერიუმი ის გახლავთ, რომ რასაც აკეთებს, არა მარტო ჯეროვნებით, არამედ ხარისხიანადაც აკეთებს. პრაქტიკულად განხორციელებულია „დროების [illegible]" ცნება. თუ კლიენტს [illegible] გამოთქმის ოდნავ [illegible] [illegible], დამკვეთის პრინციპი ასეთი იქნება: „მდიდარი კი არა ვარ, იაფად ვაშენებ!"

ან მარტივი „რეცეპტი", რომლითაც ფირმა „არსი" საქმეს იწყებს და იგებს...

ელგუჯა ლებანიძე.

P.S. ხომ არ დადგა დრო, აშენებული თუ რესტავრირებული ობიექტის კედელზე, სპეციალურ დაფაზე ამოვკვეთოთ პროექტის ავტორისა და მშენებლის გვარები? ეს გაზრდის სპეციალისტთა პასუხისმგებლობას, ხოლო შთამომავლობას შემოუნახავს იმათ სახელებს, ვინც თავისი ნიჭითა და თავდადებით სამამულო ხუროთმოძღვრების შედევრებს შექმნის.

სურათებზე: „ივერთბანკი" რუსთაველის პროსპექტზე; „ბატა" ალმაშენებლის პროსპექტზე.

ჰაიდ-პარკი

რას ითხოვენ მფრინავები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 13 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო აეროპორტში პრესკონფერენცია გამართა საქართველოს საფრენოსნო შემადგენლობის ასოციაციამ, რომლის პრეზიდენტმა ალბერტ ნურბეკიანმა წაიკითხა მფრინავთა მიმართვა.

დღეს გთავაზობთ ამ მიმართვას მცირეოდენი შემოკლებით.

საქართველოს სამოქალაქო ავიაცია კატასტროფამდეა მისული. ჩვენი თვითმფრინავების დიდი ნაწილი უვარგისია – მფრინავები, ინჟინერ-ტექნიკური და სხვა ძვირფასი კადრები შემცირებულია, ჩვენი ბაზარი კი სხვის ხელშია გადაცემული.

რა თქმა უნდა, იყო სიძნელეები; ყველა არ იხდიდა ვალს, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებები. ავიაკომპანია „ორბისადმი", რომელმაც აფხაზეთის ომის მთელი სიძნელეები თავის მხრებზე გადაიტანა, შეასრულა 2500 რეისი, დაკარგა რამდენიმე თვითმფრინავი. ზარალმა კოლოსალურ თანხებს მიაღწია. რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების დროს, შეუძლებელია გვერდი აუარო უმუშევრობას. მაგრამ იმ შემცირებებს, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ავიაციაში, არაფერი აქვს საერთო საბაზრო ეკონომიკასთან. შედარებისათვის მოვიყვანოთ ჩვენი მეზობლების, აზერბაიჯანისა და სომხეთის მაგალითი, სადაც მთლიანად შენარჩუნებულია კადრებიც და ტექნიკაც. ისინი დიდი სიამოვნებით იღებენ სამსახურში ჩვენს მიერ შემცირებულ სპეციალისტებს.

დღეს დამწყები ავიატორის მომზადება რუსეთში კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული, ხოლო თანამედროვე ხომალდის მეთაურის მომზადებისათვის 12-15 წელია საჭირო. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გამოსავალი რომ ენახათ, ასაკობრივი ცენზი მფრინავებისათვის 60-დან 65 წლამდე გაზარდეს, ჩვენთან კი შეამცირეს 35-40-45 წლის მფრინავები. აღსანიშნავია, რომ თვითმფრინავების დიდი ნაწილი საბჭოური და უვარგისია.

ჩვენ არ ვართ დასავლური ტექნიკის წინააღმდეგნი, მაგრამ იმას, რასაც შეეძლო კიდევ ემსახურა, უნდა ემსახურა ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ ამ გზით წავიდნენ ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში და დრომ გვაჩვენა, რომ ეს გზა, თუნდაც დროებით, იყო სწორი. დაგვეთანხმებით, არავის მოუვა აზრად გააჩეროს მეტროპოლიტენი, ელექტროსადგურები, რკინიგზები იმიტომ, რომ ისინი საბჭოური წარმოებისაა. მოვა დრო, ქვეყანა წელში გაიმართება და ჩვენ მთლიანად გადავალთ დასავლურ ტექნიკაზე, დღეისათვის კი კოლექტივი ჩვეულ მდგომარეობაშია, ყოველდღე იმის მოლოდინით, რომ მათ შეამცირებენ.

შარშან, ვითომდა ევროპისკენ გადადგმული ნაბიჯით, თითქოს ვყიდულობდით თვითმფრინავ „ბოინგ-737"-ს. შემდეგ აღმოჩნდა რომ ჩვენ ის აჯიჯდა დაზოგით 7 წლის განმავლობაში გამოსაყენებელი უფლებით. სინამდვილეში გაირკვა რომ ბოინგის პატრონმა ბატონმა ბიზოფამ, რომელიც პრეზიდენტის ავტორიტეტს ამოეფარა, მოიყვანა რა ერთი თვითმფრინავი, ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ჩვენი ბაზრის დიდი ნაწილი. მან მოგვატყუა, უკან წაიღო თავისი თვითმფრინავი მილიონობით დოლართან ერთად, ეს თანხა შეეძლო გამოემუშავებინა ჩვენი თვითმფრინავებით, რომლებიც ხელოვნურად იქნა გაჩერებული, აღნიშნული ბოინგი კი დილით რომ სტამბულისკენ მიფრინავდა, საღამოს ბერლინისკენ იღებდა გეზს. მანამდე კი ჩვენი მფრინავები ხან „ილ-76" იქნენ გადასწავლილნი, რომელიც საერთოდ არ გვინახავს, ხან „ილ-18"-ზე, რომელიც რამდენიმე თვეში გაქრა, შემდეგ იყო „ბოინგ-737" და ისიც აღარ გვაქვს. ახლა კი ემზადებიან მფრინავების გასაგზავნად „ბოინგ-727"-ზე, რომელიც საკმაოდ მოძველებული ტიპისაა და მარტო ევროპაში, არავისთვის საჭირო რამდენიმე ასეული ცალი დგას და ყიდიან ამ საქმეს ამერიკელი ბიზნესმენები უდგანან სათავეში. ჩვენ არა ვართ დაქირავების და დასავლელი ინვესტორების წინააღმდეგნი, მაგრამ საწყენია, როცა ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენი (დაქირავების მიზნით), ჯიბეს იქექავს მძიმე მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს ეკონომიკაზე. ნუთუ არ არის საკმარისი უცხოური ექსპერიმენტები ჩვენზე? ყოველი გადაწყვეტილება ხომ ასი ათასობით გადაყრილი დოლარია და რადგან ერთხელ დავიხარჯეთ და გადავისწავლეთ „ბოინგ-737"-ზე, მოდით და ჩვენ თვითონ ავიღოთ არენდით თვითმფრინავი სხვისი დაქირავების გარეშე.

ჩვენ გვყავს ჩვენივე შესანიშნავი ხელმძღვანელები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ ძნელბედობის დროსაც შეიძლება გააკეთო შეუძლებელი და შენი ბაზარი სხვებს არ დაუთმო.

საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, როცა გადაწყვეტილებას იღებს, ყოველთვის გვაყენებს ფაქტის წინაშე, იგნორირებას უკეთებს კოლექტივის აზრს, პროფკავშირების სახით. ძველ კანონში პროფკავშირების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებაშია, ნათქვამია, რომ ახალი ტექნიკის ათვისება უნდა იქნას შეთანხმებული პროფკავშირთან, როგორც ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა.

საკითხავია, რატომ არ არის მიღებული საქართველოს კანონი პროფკავშირების შესახებ? ჩვენი ყველა უბედურება აქედან ხომ არ გამომდინარეობს? მაგრამ მთავარი უბედურება იმაშია, რომ ხელისუფლებას შეგნებულად ატყუებენ. საკმარისია ერთი მაგალითი, შარშან აღინიშნა, რომ საქართველოს ავიატორებმა ერთი წლის განმავლობაში გადაიყვანეს მილიონ ორასი ათასი მგზავრი. ასეთი რაოდენობის მგზავრები რომ გადაიყვანო, საჭიროა დღეში შესრულდეს 41 რეისი თვითმფრინავ „ტუ-134"-ით. ფაქტობრივად კი სრულდება 4-5 რეისი. როცა დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ბოინგის ჩამოყვანის თაობაზე რესპუბლიკის მთელი ხელმძღვანელობა მოიწვია, რატომ არ მოიწვია მაშინ, როცა ეს ბოინგი საპარკინგე[illegible] წაიყვანეს? ეჭვი არ გვეპარება, რომ ისევ მოაწყობენ დიდ შეხვედრას „ახალი" „ბოინგ-727"-ის ჩამოყვანასთან დაკავშირებით. ყველა მფრინავმა არ იცის განსხვავება „ბოინგ-737" და „ბოინგ-727"-ს შორის, საიდანაც გამოდინება ეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომლებიც ხელს აწერენ დოკუმენტებს, რაც მძიმედ აწვება ჩვენს ქვეყანას.

ბატონმა ბიზოფამ, „ბოინგ-737"-ის პატრონმა, მოგვატყუა, რასაც საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა ხელი შეუწყო.

და ბოლოს, მფრინავთა ასოციაციის პროფკავშირის კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ იქნეს შემცირებული საქართველოს არც ერთი ავიატორი, საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტის დირექტორს, ბატონ ჭანკოტაძეს, მთელ თავის გუნდთან ერთად გამოეცხადა უნდობლობა, როგორც ჩვენს ამ საქმეში მთავარ დამნაშავეს. ეს დოკუმენტი გაიგზავნა ქვეყნის ყველა ხელმძღვანელთან და ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ხდება მთელი საფრენოსნო შემადგენლობის აზრის იგნორირება.

ერთადერთი, რასაც ვითხოვთ, ნუ შეგვიშლიან ხელს ქართველ ავიატორებს ვიმუშაოთ, ვზრუნავდეთ ჩვენს პენსიონერებსა და ინვალიდებზე, დავეხმაროთ ჩვენსავე სახელმწიფოს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 19 ნოემბერი — ქ. თბილისი

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ, რომლის მოქალაქენიც ისინი არიან

1. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელად გადაცემის შესახებ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისას სახელმწიფო დაწესებულებები ხელმძღვანელობენ აღნიშნული ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონმდებლობით და ამ ბრძანებულებით.

2. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოსთვის გადაცემის საკითხს, რომლის მოქალაქენიც ისინი არიან, განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

3. გადაწყვეტილება მსჯავრდებულის გადაცემის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება მიიღოს როგორც საზღვარგარეთის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს თხოვნის, ისე მსჯავრდებულის, მისი ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე.

4. საბოლოო გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის გადაცემის შესახებ იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს პროკურატურასთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით.

5. საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოების მიერ მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებული უცხოელი მოქალაქეების გადაცემას მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

6. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელ ნაწილსა და რეჟიმს განსაზღვრავს სასამართლო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გადაცემისთვის საჭირო საბუთები შეიძლება გაიღონ მსჯავრდებულმა, მისმა ნათესავებმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა დადგენილი წესის შესაბამისად.

8. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთ თვეში შეიმუშაონ ინსტრუქცია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ, რომლის მოქალაქენიც ისინი არიან.

ე. შევარდნაძე.

აღმავლობა

უილიამ ქორთნი: „ვაჭრობას და ინვესტიციებს საქართველოში ბრწყინვალე პერსპექტივა აქვთ“

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის გამოსვლა აშშ ვაჭრობისა და ინვესტიციების ბრიუსელის ცენტრში



მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება საქართველოზე, ქვეყანაზე, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ სამოქალაქო ომების ცეცხლიდან რაკეტასავით გაიჭრა დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გზაზე. თავისი სისწრაფით ამ ტრანსფორმაციას ანალოგი არ მოეპოვება. ასეთი ცვლილების შემხედვარე დესპანმა ბლინკენმა და აშშ ვაჭრობისა და ინვესტიციების ცენტრმა იკისრეს საქებარი ინიციატივა — გაემართათ ეს კონფერენცია, რათა თქვენ სრულად გაეცნოთ საქართველოში გაჩენილ შესაძლებლობებს. ის გარემოება, რომ ჩვენი დღევანდელი კონფერენცია ესოდენ ხალხმრავალია, მოწმობს სულ უფრო მზარდ ინტერესს ახალი საქართველოსადმი.

სამი წლის წინათ სამოქალაქო კონფლიქტის დამთავრებისა და, განსაკუთრებით შარშანდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ საქართველომ შთამბეჭდავი შედეგები მოიპოვა. დღეს თბილისის სტუმრებს აოცებთ ელეგანტური რუსთაველის პროსპექტის გაყოლებით გამწკრივებული ახალი მაღაზიებისა და კაფეების მრავალფეროვნება, გაუმჯობესებული პირადი უსაფრთხოება. საავტომობილო და მიკროსაავტობუსო ტრანსპორტის მზარდი ქსელი. ყველასათვის ცხადია კერძო სექტორის დინამიზმი და მზარდი პოლიტიკური სტაბილურობის თანამედროვე სიკეთე.

სულ რამდენიმე წლის წინათ აქ სხვაგვარად იყო საქმე. 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო სამოქალაქო ომისა და სეპარატისტული კონფლიქტების ალში იყო გახვეული. შეიარაღებული ბანდიტთა ჯგუფები დაუფარავად მოქმედებდნენ და მოსახლეობას ატერორებდნენ. ეკონომიკური მწარმოებლობა ორი მესამედით იყო შემცირებული. ენერგოპროდუქტების ფასების მკვეთრმა ზრდამ საქართველოს მოსახლეობა ზამთარში უსათბობოდ დატოვა. ეკონომიკური კავშირები თანამეგობრობის მეტ წილ ქვეყნებთან გაწყვეტილი იყო. ინფლაცია თვეში 60-70 პროცენტს აღწევდა.

ორი წლის წინათ საქართველომ გააქარწყლა ავბედითი პროგნოზები და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მეშვეობით აამოქმედა ეკონომიკური რეფორმების „დიდი მუხტი“. შეერთებული შტატები, ევროკავშირი და გერმანია დაეხმარნენ საქართველოს მოსახლეობას გაეძლო და დაეჩქარებინა რეფორმები და ეკონომიკური აღდგენა. ამერიკამ საქართველოს აღმოუჩინა მილიარდ-ნახევარი დოლარი ღირებულების დახმარება, ძირითადად ჰუმანიტარული მარცვლეულითა და სათბობით.

რეფორმების ეს მუხტი მოიცავდა მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას, მეტ წილ სახეობათა პროდუქტებზე ფასების გათავისუფლებას და სახელმწიფო საწარმოებისათვის მფლანგველური სუბსიდიების შეწყვეტას. რეფორმებს სწრაფი და შთამბეჭდავი შედეგები მოჰყვა. ინფლაცია მკვეთრად დაეცა. 1996 წლის პირველ ნახევარში მან მხოლოდ 12 პროცენტი შეადგინა. შარშან შემოღებულ იქნა ახალი ვალუტა — ლარი. მან სულ მალე შეცვალა რუბლი და დოლარი მეტწილ ოპერაციებში. გაცვლითი კურსი იგივე რჩება — ერთი დოლარი ლარ-მეოთხედზე.

განსაკუთრებით გვაიმედებს ის, რომ 1995 წელს წარმოება წელში გაიმართა. წელს კი მკვეთრი აღმავლობა დაეტყო. მთლიანი შინაგანი პროდუქტის დაახლოებით სამ მეოთხედს კერძო ბაზარი აწარმოებს. ვაჭრობა ვითარდება და უფრო მრავალმხრივი ხდება, მაგრამ იგი შორს არის თავისი განვითარების პოტენციური დონისაგან იმის გამო, რომ გადაკეტილია სარკინიგზო და საავტომობილო გზები, რომლებიც სეპარატისტული აფხაზეთის გავლით მიდის რუსეთსა და ევროპაში.

წელს პარლამენტმა დაამტკიცა მონოპოლიებისა და კოტრობის კანონი. ეს კანონმდებლობა აღიარებს კერძო საწარმოების უპირველეს მნიშვნელობას და ხელს უწყობს გახსნილობას კრედიტების დაცვასა და რეგულაციაში. პარლამენტმა აგრეთვე ყურადღება გაამახვილა კომერციული კანონების ამოქმედებაზე. მაგრამ ი[illegible] გზა. დროდადრო რეფორმები აწყდება ბიუროკრატიისა და კორუფციის წინააღმდეგობას, ხოლო სასამართლოების უმრავლესობას ჯერაც ვერ მოუპოვებია დამოუკიდებლობა. აუცილებლად უნდა გაგრძელდეს რე[illegible]ღები. სახელმწიფო წარმოებაში აქციათ დიდი ბა[illegible] მფლობელი ხდება და ინფრასტრუქტურაზე ბატონობს. ამ სექტორებს ზარალი ადგებათ. უკვე ცნობილი დასავლური სასოფლო-სამეურნეო მასალა-ნედლეულის ლიცენზირება და შემოწმება აბრკოლებს სოფლის მეურნეობის ზრდას.

ბევრი სახელმწიფო საწარმოს ვაუჩერიზაცია ივლისში დასრულდა. მიმდინარეობს პრივატიზაციის მეორე ეტაპი განვითარების პოტენციალის მქონე დიდი საწარმოების უცხოელ მყიდველთა მოზიდვის მიზნით. შეერთებული შტატები იწონებს ელექტრობისა და პურეული პროდუქტების მწარმოებელი ნაკლებად ეფექტიანი და ზარალიანი სახელმწიფო მონოპოლიების სეგმენტაციას და პრივატიზაციას. პროგრესის პირველი ნიშნები აშკარაა. ქვეყანამ უკვე გადადგა ნაბიჯი წინსვლის გზაზე.

მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ენიჭება საბინაო სექტორის რეფორმას. ბევრი გადახდისუუნარო ბანკი დაიხურა და კონსოლიდირებულია. რეფორმატორული ცენტრალური ბანკი, ეროვნული ბანკი ეფექტიან კონტროლს ახორციელებს და ზრდის ბანკების ქმედუნარიანობას. ეს სექტორი ჯერჯერობით ვერ არის ეფექტიანი, ყოველ შემთხვევაში, ფინანსური შუამავლობის სფეროში. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (**USAID**) დახმარებას უწევს საბანკო საქმიანობას.

სერიოზულ პრობლემად რჩება გადასახადი. რამდენიმე კვირის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღნიშნა საგადასახადო შემოსულობათა დაბალი დონე, და საბიუჯეტო დეფიციტის შთამბეჭდავი შემცირება 1994 წლის დამლევიდან მიღწეული იქნა ძირითადად ხარჯებისადმი მკაცრი კონტროლის პროგრამის განხორციელების გზით. შინაგან მთლიან შემოსავალთან საგადასახადო შემოსულობათა თანაფარდობა დაბალია, მაგრამ 1996 წელს შემოსულობა მკვეთრად გაიზარდა. ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოს სჭირდება არა მარტო საგადასახადო პოლიტიკის რეფორმა, რომელიც ახლა ხორციელდება, არამედ აგრეთვე რეფორმაც გადასახადის ადმინისტრირების დარგში, სადაც ჯერ კიდევ გრძელდება თვითნებური მოქმედება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად საქართველოს მიზანმიმართული საქმიანობა უდიდეს სარგებლობას მოიტანს და დააჩქარებს სხვა რეფორმების განხორციელებას, ინტელექტუალური საკუთრებიდან დაზღვევამდე. ღია სავაჭრო რეჟიმს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საქართველო ისწრაფვის გახდეს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების იმ ევრაზიული დერეფნის კარიბჭე, რომელიც ახლა ყალიბდება და გადაჭიმულია თურქეთიდან და შავი ზღვიდან აღმოსავლეთით — ჩინეთისაკენ, და მოიცავს ვრცელ ევრაზიაში სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის გზებს. თურქეთისა და ევროპის სატვირთო ავტომობილები [illegible] საქართველოს [illegible] ბექეთის ბაზის და [illegible] ტირება საქართველოს ტერიტორიის გავლით და მათი ექსპორტი საქართველოს ნავსადგურების მეშვეობით. რაღა გასაკვირია, რომ მკვეთრად გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა.

მრავალმხრივი სოფლის მეურნეობა სათავეში უდგას საქართველოს ეკონომიკური აღდგენის პროცესს. მთლიანი შინაგანი შემოსავლის დაახლოებით სამ მეოთხედს სწორედ ეს სექტორი იძლევა. სოფლის მეურნეობის რეფორმა კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი იქნებოდა, მისი განხორციელების პროცესი ესოდენ არაერთგვაროვანი და წყვეტილი რომ არ იყოს. სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია, მიუხედავად იმისა, რომ მიწის მეტ ნაწილს კერძო პირები ამუშავებენ დროებითი იჯარის ხელშეკრულებებით. სახელმწიფო მიწის გაიჯარებას ჯერ არ მოჰყოლია ეფექტიანი მიწის ბაზრის ფორმირება. ხშირად იჯარის ვადა 10 წელიწადს არ აღემატება, რაც ზღუდავს მელიორაციაში ინვესტირების სტიმულებს. პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ნებადართულად აცხადებს სასოფლო-სამეურნეო მიწების მეტი ნაწილის ყიდვა-გაყიდვას, მაგრამ მიწის დაგირავება და უცხოელი მოქალაქეების მიერ მისი მფლობელობა ჯერ კიდევ არ არის ნებადართული.

საქართველო ისწრაფვის მიიღოს უცხოეთის ინვესტიციები, თუმცა დამოუკიდებლობის მიღწევის დროიდან, ინვესტიციების საერთო მოცულობამ მხოლოდ რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს მიაღწია. მაგრამ რეფორმების წინსვლისა და ეკონომიკური აღდგენის კვალობაზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაცია (OPIC) და ვაჭრობის განვითარების სააგენტო (TDA) სულ უფრო აქტიურნი ხდებიან და ინვესტორებიც ცხოველ ინტერესს იჩენენ. ჩვენ მივესალმებით ამერიკელ ინვესტორთა პიონერებს, როგორიც არის კომპანია „ჩალის ვაინზი“, რომელსაც ძირითადი ოფისი კალიფორნიაში აქვს. მაგრამ მაინც კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს კერძო ინვესტიციებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის, [illegible] ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის [illegible] სექტორებში. ისეთი ქვეყნები, [illegible] ნიდერლანდები და [illegible] ნციალი მოეთხოვებ[illegible] იმპორტ-ექსპორტის პუნქტის ფუნქციები [illegible] ბლად. ამ ქვეყნების მსგავსად საქართველოში კულტივირებულია ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არის მაღალგანვითარებული ფართო თვალსაწიერის მქონე მუშახელი. მადლიანი ეროვნული ტალანტი თავდაცვის სფეროდან და სხვა ინდუსტრიებიდან უფრო დინამიკური სექტორებში გადადის.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მარტში, როდესაც აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა (**AIOC**), რომელიც მოიცავს **AMOKO**-ს, საქართველოს დაუდო ხელშეკრულება კასპიის ზღვის „ადრეული“ ნავთობის ტრანსპორტირებისათვის დასავლური მილსადენის მშენებლობის შესახებ. საქართველო ამასთანავე პრეტენდენტია ძირითადი ნავთობის ექსპორტში მონაწილეობისა. დასავლური მილსადენის შეთანხმებით შობილი ახალი თანამშრომლობა უკვე ხელს უწყობს ნავთობმომპოვებელი მოწყობილობის გადაზიდვას საქართველოს ფოთის ნავსადგურიდან აზერბაიჯანში.

დასავლეთის მილსადენი გახდება პირველი ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომელიც, ვიმედოვნებთ, მოიტანს საქართველოს დანარჩენი ინფრასტრუქტურის, რკინიგზის ავტომაგისტრალების, ნავსადგურების, ენერგომატარებელთა მილსადენების, ტელეკომუნიკაციებისა და ავიაციის მოდერნიზაციას. ჩვენ ხელს ვუწყობთ საქართველოს, გახსნას ეს სექტორები კერძო ინვესტიციებისათვის. არ არსებობს სხვა გზა იმ უდიდესი მოცულობის ტექნოლოგიის და კაპიტალის მობილიზაციისა, რომელიც აუცილებელია ამ სექტორების სრული პოტენციალის გასავითარებლად.

საქართველოს წინსვლა დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გზით ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც მისი მიღწევები ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში. 1995 წლის ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნის ერთი რეგიონის გამოკლებით, დღესდღეობით ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი იყო მთელ კავკასიასა და შუა აზიაში. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სათავეში უდგას რეფორმატორებს, რომლებმაც განამტკიცეს მთავრობის ლეგიტიმურობა, აღადგინეს მშვიდობა საზოგადოებაში და ხელი შეუწყვეს სიტყვის თავისუფლებას. პარლამენტი იღებს კანონებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დასავლური სტილის პოლიტიკური და ეკონომიკური წესის დამკვიდრებას.

ამერიკა მხარს უჭერს ამ ძალისხმევას. იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ძალისხმევას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული კონფლიქტების გადასაჭრელად. ჩვენ ვთანამშრომლობთ პარლამენტის წევრებთან, რომლებიც ქმნიან კანონებს კონსტიტუციური ნორმების განსახორციელებლად. ჩვენ მივესალმებით 1997 წლის შუა ხანებში თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მოწყობის გეგმას. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი დემოკრატიის საფუძვლების განმტკიცებისა და ეთნიკური წინააღმდეგობების დაცხრობის გზაზე. ჩვენ მთელი არსებით ვიწონებთ ადამიანის უფლებათა პატივისცემას. ეს ეყრდნობა რელიგიური და ეთნიკური შემწყნარებლობის ტრადიციების კულტურულ საფუძვლებს. საჭიროა გაგრძელდეს სამართალდამცველი ორგანოების რეფორმები ადამიანის უფლებათა დასაცავად და საზოგადოებრივი ნდობის განსამტკიცებლად.

დასასრულ, საქართველო აღარ წარმოადგენს რისკის ზონას, იგი გვანიჭებს ახალ შესაძლებლობებს. ვაჭრობას და ინვესტიციებს საქართველოში ბრწყინვალე პერსპექტივა აქვთ, იმ შემთხვევაში, თუ შეინარჩუნა რეფორმების კურსი. ჩვენ გვწამს საქართველოსი, ქვეყნისა, რომელიც ევროპულ ცივილიზაციას ეზიარა ათასი წლით ადრე [illegible], სანამ კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენდა. ამერიკის შეერთებული შტატების თბილისის საელჩო მზად [illegible] ვენი ძალისხმევა, რომელსაც არ ეშინია კონკ[illegible] წარმართოს საქართველოში, ევრაზიის თავისუფალი ბაზრის საზღვრების შესაყარზე მდებარე ქვეყანაში.

პრესკონფერენცია

ღირსება მკვლელსაც მოეთხოვება

20 ნოემბერს საქართველოს პროკურატურის პრესცენტრმა პრესკონფერენცია გამართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალი ემზარ საბანაძე, პროკურორები თამარ ლალიაშვილი, ვალერი წერეთელი და ანზორ ხვადაგიანი.

პრესკონფერენცია ლოთი ქობალიას, ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავასა და ნუგზარ მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესის დამთავრებას მიეძღვნა.

დასაწყისში, გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა (რომელიც ხელმძღვანელობდა ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმეთა გამოძიებას) მიმოიხილა ამ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა ვრცელი ნუსხა. მან ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ ლ.ქობალიას, ზ.ძიძიგურის, ჯ. ბოკუჩავასა და ნ. მოლოდინაშვილისადმი გამოძიების მიერ წარდგენილი თითქმის ყველა ბრალდება სასამართლომ დადასტურებულად ცნო.

გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმე ლოთი ქობალიასა და სხვათა მიმართ მოცულობითა და სირთულით უპრეცედენტო მოვლენა იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

— „საბრალდებო დასკვნა, ათეულობით ტომში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაუძლებს დროის გამოცდას და მომავალი საქართველოს მემატიანეებს დიდ სამსახურს გაუწევს“.

პრესკონფერენციის მონაწილეები საუბრობდნენ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ცალკეულ დეტალებზე და არავის გახსენებია ან აღნიშვნის ღირსად არ ჩაუთვლია, თუ რა ცილისწამებები იფრქვეოდა პროკურატურის, გამოძიების მისამართით მრავალთვიანი წინასწარი გამოძიებისა თუ სასამართლო პროცესის პერიოდში. როგორ ცდილობდნენ ბრალდებულები მათთვის წაყენებული ბრალდებები მოენათლათ ფალსიფიკაციად, სიყალბედ და ა.შ.

ცხადია, სასამართლო განაჩენმა, ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა და მკაცრი შეფასება მისცა საქართველოს ისტორიის კუთვნილებად ქცეულ ტრაგიკულ ფურცლებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, განსასჯელებისათვის არათუ ქვეყნის, პიროვნული ტრაგედიის განცდაც უცხო ხილი ყოფილა და იმ სასამართლო პროცესს, რომელსაც პრესკონფერენციაში მონაწილეები ადამიანური ტრაგედიის ჭრილში განიხილავდნენ, თავად განსასჯელებმა კომიკური ელფერი მისცეს, — ბოლო დღეს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილები წარუდგნენ დარბაზს.

პრესკონფერენციაზე სათქმელი ითქვა.

არ თქმულა მხოლოდ ის, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილში ცინიზმი კიდევ ბოგინობს და თუ არა ცინიზმი, სხვა რა შეიძლებოდა დარქმეოდა თუნდაც დათო ბოლქვაძის ჭირისუფალთა წინაშე მკვლელის — ლოთი ქობალიას დემონსტრაციულ პრანჭიობას.

ღირსება მკვლელს არ მოეთხოვება?

სასამართლოს შემდეგ

კრიმინალები ეროვნულ საბურველში

საქართველოს უზენაეს სასამართლოში თითქმის ათი თვეს მიმდინარეობდა ლოთი ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას, ზვიად ძიძიგურისა და ნუგზარ მოლოდინაშვილის სასამართლო პროცესი. 19 ნოემბერს სასამართლომ განაჩენი გამოიტანა: ლოთი ქობალიას შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა, ჯამბულ ბოკუჩავას — 15 წლით, ზვიად ძიძიგურს — 13 წლით, ნუგზარ მოლოდინაშვილს — 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ თავისი საბოლოო სიტყვა კი თქვა, მაგრამ აჟიოტაჟი ამ პროცესის მიმართ მაინც არ წყდება (როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს არ შეწყდება) და თუ ვინმეს აქვს სათქმელი, აქვს სამართალდამცავ ორგანოებსაც. გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილესთან ანზორ ბალუაშვილთან.

— ბატონო ანზორ, დასამალი არ არის, რომ ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმეს, როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო განხილვისას, ოპონენტები არ აკლდა. ექსპრეზიდენტის მომხრეებიც და თავისუფალი პრესის წარმომადგენლებიც გაიძახოდნენ, თითქოს ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება; განსასჯელებს თვლიდნენ არა კრიმინალებად, არამედ პოლიტპატიმრებად.

— მრავალჯერ განმიცხადებია და ახლაც კატეგორიულად ვაცხადებ: ამ საქმეს არავითარი პოლიტიკური სარჩული არა ჰქონია და არც ამჟამად არა აქვს. ეს არის არა პოლიტიკური, არამედ წმინდა კრიმინალური დანაშაული, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობით, მძიმე კატეგორიის დანაშაულებს განეკუთვნება და გამოირჩევა განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ლოთი ქობალიამ და მისმა თანამზრახველებმა ჩამოაყალიბეს მყარი შეიარაღებული ბანდები, რომელთა მთავარი მიზანი გახლდათ თავდასხმები სახელმწიფო საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ძალოვან სტრუქტურებზე, მოძრავ შემადგენლობებზე, ცალკეულ პირებზე. ისინი იტაცებდნენ დიდი ოდენობის ტვირთებს, უპირველეს ყოვლისა, კვების პროდუქტებს, სტრატეგიულ ნედლეულს, სამხედრო აღჭურვილობას. გარდა ამისა, აფეთქებდნენ კავშირგაბმულობის კომუნიკაციებს, სარკინიგზო და საავტომობილო გზებს, ხიდებს, ელექტროგადამცემ ანძებს. სასამართლო განხილვისას სრულად დადასტურდა ამ ეპიზოდებში წაყენებული ბრალდებები. განაჩენში აღინუსხა დანაშაულებრივ ქმედებათა მთელი სპექტრი, რომლის უარყოფა არ შეუძლია არა თუ ჩვენს ოპონენტებს, არამედ თვით მსჯავრდებულებსაც კი.

— მსჯავრდებულებს ბრალი ედებოდათ თავდასხმების ორგანიზებაში არა მარტო ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებზე, არამედ საქართველოს განუყოფელ და სუვერენულ ტერიტორიებზე. — მთლიანად ჩვენს ქალაქებსა და რაიონებზე...

— ესეც სავსებით დადასტურდა. შეიარაღებული ბანდები სწორედ ძარცვა-გლეჯის წყურვილით ესხმოდნენ თავს ჩვენს ქალაქებსა და რაიონებს. წარმატების მოპოვების პერიოდებში ძალით შლიდნენ სახელმწიფო სტრუქტურებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, სდევნიდნენ თანამდებობის პირებს, აწიოკებდნენ, არბევდნენ მოსახლეობას და კვლავ და კვლავ იტაცებდნენ ქონებას, — როგორც სახელმწიფოსას, ისე ხალხისას. ძალას იკრებდნენ, თავიანთ რიგებს ზრდიდნენ, საომარ იარაღს იძენდნენ და ამ იარაღით სურდათ ქვეყნის ტერიტორიების დაკავებაც და არსებული ხელისუფლების დამხობაც.

აფხაზეთში მიმდინარე ომის დროსაც და აფხაზეთში ჩვენი დროებითი დამარცხების შემდეგადაც, შეიარაღებულ ბანდიტურ ფორმირებებს არ შეუწყვეტიათ შეტევები. ისინი თავს დაესხნენ ხობს, აბაშას, ჩხოროწყუს, მარტვილს, სენაკს, სამტრედიას, ხონს, ფოთს, წყალტუბოს, ლანჩხუთს, ოზურგეთს... ამ თავდასხმების შედეგი გახლდათ ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა. მე აღარ ვლაპარაკობ იმ მატერიალურ ზარალზე, რაც ბანდიტური ძარცვა-გლეჯით მიადგა სახელმწიფოსაც და ხალხსაც. თუმცა სასამართლომ განაჩენში ესეც აღნუსხა: საქართველომ ასეულობით მილიონი ლარი ზარალი განიცადა ლოთი ქობალიასა და მისი შეიარაღებული ბანდების თავდასხმებით. მატერიალურ ზარალს ვინ ჩივის, — ვინ იცის ჩვენი ხალხი როდის აინაზღაურებს იმ მორალურ ზარალს, რომელიც მას მიადგა მსჯავრდებულთა მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობებით, თვით ქართველთა ერთმანეთთან წაკიდებით, მოძმეთა ხოცვა-ჟლეტით.

სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვიდან:

1993 წელს ლოთი ქობალიას შეიარაღებული ბანდები ინგირის რკინიგზის სადგურს თავს დაესხნენ 27-ჯერ. მარტო 1 ივლისიდან 30 ოქტომბრამდე აქედან გაიტაცეს 718.026 კგ ნავთობპროდუქტი, 18.500 კგ მაკარონი, 30.00 კგ. რუბეროიდი, 256.200 კგ სასუქი, 661.298 კგ შაქრის ფხვნილი, 2.076.650 კგ ხორბალი, 2.500 კგ მარილი, 20.000. 000 ცალი კვერცხი და ერთი ვაგონი „გრადის“ ტიპის ჭურვები, ორი ვაგონი საბრძოლო მასალა, ერთი „ბმპ“, ერთი ტანკი...

1993 წლის 2 ოქტომბერს ლოთი ქობალიას შეიარაღებული ბანდები თავს დაესხნენ ქალაქ ფოთს. 26 ოქტომბრამდე მარტო ნავსადგურიდან გაიტაცეს 414,3 ტონა შაქრის ფხვნილი, 967.6 ტონა პურის ფქვილი, 429 ტონა ნავთობპროდუქტი, 109.3 ტონა ბრინჯი, 65 ტონა ხორბალი. გარდა ამისა, თურქეთში გაიტანეს და გაყიდეს სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების 7.22[illegible] ტონა ლითონი... საწარმო-დაწესებულებებიდან წაიღეს მაცივრები, სატვირთო მანქანები, სპილენძი, ინვენტარი, საწვავი... ფოთიდან ზუგდიდში „გადაქაჩეს“ 127.830 დოლარი...

— თქვენ ქართველთა მიერ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა ახსენეთ. საკმაოდ გახმაურდა ლოთი ქობალიას მიერ უდანაშაულო ადამიანთა დახვრეტის ფაქტებიც. აქაც იყო აზრთა სხვადასხვაობა...

— ისე როგორც სხვა განსასჯელებს, ლოთი ქობალიას ყველა ბრალდება დაუდასტურდა. მათ შორის ჟურნალისტ დათო ბოლქვაძის, სამხედრო მოსამსახურეების ლევან ცქიტიშვილის, პაატა გოგილაშვილის, დიმიტრი ბალალაშვილის, გოგიტა ონიანაშვილის და რამაზ დავითაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში — განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობა. კი, აჟიოტაჟი იმ ეპიზოდის გარშემოც ატყდა, რომელიც 1993 წლის 28 ოქტომბერს ხობში მოხდა. საზოგადოებამ, ალბათ, დეტალურად არ იცის იმ მზაკვრული ხერხებისა და მეთოდების შესახებ, რომლებსაც დამნაშავენი და მათი მომხრეები იყენებდნენ ამ მძიმე ბრალდებიდან თავის დასაძვრენად. დახვრეტის თვითმხილველ მოწმეებს აშინებდნენ, ატერორებდნენ, შეურაცხყოფდნენ, სცემდნენ. ამ მოწმეების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ადამიანური გამბედაობა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო განხილვისას, მაგალითად, მოწმე ნატო შენგელიამ ლოთი ქობალია ამხილა დათო ბოლქვაძისა და სხვათა მკვლელობაში. მას ჯერ შინ მიუხტნენ, აგინეს, შეურაცხყვეს, ხოლო მერე ზუგდიდში — თევზის კომერციულ მაღაზიაში საჯაროდ სცემეს. მას ულტიმატუმს უყენებდნენ — ჩასულიყო თბილისში და უზენაეს სასამართლოში გადაეთქვა ლოთი ქობალიას მამხილებელი ჩვენება. ასეთი „ვაჟკაცობისათვის“ ვინმე ზურაბ ცხვიტარიას ზუგდიდის სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კარგ დღეში არც სხვა მოწმეები იყვნენ. გელა ქაცარავას, მაგალითად, საცხოვრისიც კი მიატოვებინეს, სახლიდან გააქციეს.

ახლა ადამიანთა გატაცების ფაქტები? სალაპარაკოდ მარტო გენერალ კია გულუას დატყვევება. მისი განთავისუფლების შემდეგ კი პოლიციის ოფიცრების, იზოლატორის თანამშრომლების „გადაცხრილვაც“ კმარა.

იყო ცრუ თვითმხილველებიც. თითქოს ლოთი ქობალიას კი არა, სხვა ვიღაცას დაეხვრიტოს ხობში ხალხი. ასეთი არამკითხე, შეცდენილი თუ მოსყიდული მოწმეების მიმართ სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ასე რომ, ბევრი „ნომერი არ გავიდა“.

სასამართლოს კერძო განჩინებიდან:

ლოთი ქობალიას, სხვა დანაშაულობებთან ერთად, მსჯავრი დაედო იმისთვისაც, რომ 1993 წლის 28 ოქტომბერს ქ. ხობში ცეცხლსასროლი იარაღით, განზრახ მოკლა სამთავრობო ჯარების 5 მებრძოლი და ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე. საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის [illegible] მოწმეებმა რევაზ კორტავამ, რამაზ სალაყაიამ და მიმოზა ხულორდავამ შეგნებულად მისცეს ცრუ ჩვენება, რათა ლოთი ქობალიასთვის პასუხისმგებლობა აეცილებინათ.

მიმოზა ხულორდავამ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება სასამართლოზე შეცვალა, — თითქოს ლოთი ქობალია დახვრეტის ადგილზე მივიდა მერე და, პირიქით, ბრძანა დახვრეტილები საავადმყოფოში გადაეყვანათ; რამაზ სალაყაიამ თავიდან თქვა, რომ დაინახა თუ ვინ დახვრიტა გვარდიელები, შემდეგ კი გადათქვა — არ ვიცი ვინ დახვრიტაო. უფრო შორს წავიდა რევაზ კორტავა. მან ლოთი ქობალიას საზოგადოებრივი დამცველის თამარ ლომიშვილის ხელით სასამართლოს გამოუგზავნა წერილი — მე ვარ დახვრეტის თვითმხილველი და მოწმედ გამომიძახეთო. პროცესზე მან განაცხადა, რომ გვარდიელები და ჟურნალისტი ლოთი ქობალიამ კი არ დახვრიტა, არამედ მათ ერთმანეთი ამოწყვიტესო.

სასამართლოს დადგენილებით ცრუ მოწმეების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. განჩინება გამოსაძიებლად გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას.

— ბატონო ანზორ, საბოლოოდ დაასკვენათ: თქვენ არ თვლით ლოთი ქობალიასა და სხვებს პოლიტპატიმრებად და არც ეს პროცესი ყოფილა პოლიტიკური ანგარიშსწორება...

— რა თქმა უნდა, არა! მე თქვენ გაგაცანით მცირედი იმ უმძიმესი დანაშაულობებიდან, რაც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს. ყველაფერზე რომ ვილაპარაკოთ, თქვენი გაზეთის რამდენიმე ნომერი არ ეყოფა. ესენი არიან ჩვეულებრივი ბანდიტები, კრიმინალები. ახლა მე ვსვამ კითხვას: — ვინ და რატომ არის დაინტერესებული, რომ ეს ბანდიტები, კრიმინალები ეროვნულის სამოსელში გამოწყონ, უფრო მეტიც — პოლიტპატიმრებად შერაცხონ? ჩემი პასუხი ამ კითხვაზე კონკრეტული და შეუვალია: ის, ვისაც სურს ჩვენში სასამართლო ხელისუფლების უნდობლობა დათესოს, საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს სახელმწიფოსა და მისი სამართალგამოყენებითი სისტემის დისკრედიტაცია მოახდინოს, არ ერიდებიან არაფერს, — ოღონდაც სახელი გაუტეხონ ჩვენს დღევანდელობას, ჩვენს საქმიანობას.

დროა, ყველა გონს მოეგოს. ჩვენს წინაშეა არა პოლიტიკური, არამედ კრიმინალური საქმე. სასამართლო განაჩენით ლოთი ქობალია და მისი თანამზრახველები სავსებით ობიექტურად დაისაჯნენ ბანდიტობისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობებისა და სხვა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთათვის.

გელა ქაცარავას ჩვენებიდან:

ბებიაჩემის სახლიდან მოვდიოდი. ხობისწყლის ხიდთან შევამჩნიე, რომ მოჰყავდათ სამი დატყვევებული პიროვნება. ერთ-ერთს ჯინსის შარვალი ეცვა, ხელში ვიდეოკამერა ეჭირა. მაგარი ნაცემი იყო. მიიყვანეს ისინი მაღაზიასთან. იქ იდგნენ მანქანები. იმ მანქანების მხრიდან წამოვიდა ლოთი ქობალია და პირდაპირ დათო ბოლქვაძეს მივარდა: ზუსტად შენ გეძებდი, შენი ასე და ისეო. ბოლქვაძე ეხვეწებოდა, არ მომკლათ, ჟურნალისტი ვარო და თან მაღლა სწევდა რაღაც მოწმობას. ლოთიმ ამას ყურადღება არ მიაქცია და პირდაპირ ესროლა. ამის დანახვაზე შემეშინდა, მოვტრიალდი და ხიდის ქვეშ შევედი. კიდევ გავიგონე რამდენიმე სროლის ხმა.

— ნამდვილად ლოთი ქობალია იყო, ვინც დათო ბოლქვაძეს ესროლა? თქვენ გარკვევით ხედავდით მას?

— დიახ, ნამდვილად ის იყო. მე გვერდიდან ვხედავდი. მას ეცვა ყავისფერი ქურთუკი და ხელში გრძელლულიანი იარაღი ეჭირა. ის „სტეჩკინს“ ჰგავდა. მე იგი ადრეც ბევრჯერ მინახავს სამხედრო კომისარიატში, როცა გამიწვევს ხობის მე-5 ბატალიონში.

— ბატონო ანზორ, თქვენ ბრძანეთ, რომ პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებები სასამართლო განხილვისას სავსებით დადასტურდა. და მაინც... სასამართლომ თითქმის სანახევროდ გაიზიარა სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნა, — სამი განსასჯელიდან სიკვდილით დასჯა დაუტოვა მხოლოდ ერთს — ლოთი ქობალიას, ნუგზარ მოლოდინაშვილს კი 13 წელი 7-მე „ჩამოუყვანა“... ამბობენ, პროკურატურა ჩაიჭრაო. მართლა ასეა?

— პროკურატურა არ ჩაჭრილა. ამას იტყვის მხოლოდ ის, ვინც მოქცეულია ზოგიერთი ობივატელის მტკიცების, ან ზოგიერთი საგაზეთო პუბლიკაციის ზეგავლენის ქვეშ. წინასწარი გამოძიება, ისევე როგორც სასამართლო განხილვა, წარიმართა სრულყოფილად, ობიექტურად, კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით. ამას ნათელი მოჰფინა სასამართლო განხილვამაც და დადგენილმა განაჩენმაც. ყველა ძირითადი ბრალდება და ამ მიმართებით შეკრებილი სამხილები სასამართლომ სავსებით დადასტურებულად ცნო. მართალია, — დადიოდა უსიამო ხმები, ქვეყნდებოდა გაყალბებული პუბლიკაციები. მიმაჩნია, რომ ზოგი ამას აკეთებდა ფაქტობრივი გარემოებების უცოდინარობის, ზოგი კი — ჩვენი საზოგადოების დეზინფორმაციის მიზნით. ხომ გაგიგონიათ, — მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო.

ჩემის აზრით, სასამართლო სწორად მოიქცა, როცა სამი მოწმის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ცრუ ჩვენებების მიცემისათვის, ხოლო გაზეთ „რეზონანსის“ მიმართ კერძო განჩინება გამოიტანა ცილისმწამებლური სტატიის დაბეჭდვისათვის. ყოველივე ამას, ცხადია, მოჰყვება კიდეც შესაბამისი რეაგირებები და განხორციელდება სათანადო ღონისძიებები კომპეტენციის ფარგლებში. პროკურატურა კი არ „ჩაჭრილა“, — ჩაიჭრა ის, ვისაც გულითა სწადდა პროკურატურის გაბიაბრუება. კარგი იქნება, თუ მომავალში მაინც, კერძო პირები, მით უმეტეს, თავისუფალი გაზეთები ჭორებს, გადაუმოწმებელ ინფორმაციებს გვერდს აუვლიან.

— რას იტყვით თვით სასჯელის შესახებ? მთავარი მაინც ეს არის...

— აქაც არ გამართლდა მავანთა და მავანთა „ვარაუდი“: — პროკურატურა და სასამართლო ალიანსში არიანო. განაჩენი წინასწარ გამოტანილიაო და სხვა ამისთანები. სახელმწიფო ბრალდების მიერ სასჯელის ნაწილში დაყენებული შუამდგომლობა ემყარებოდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მაგრამ სასჯელის საბოლოო განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და პროკურატურა ვერც ჩაერეოდა და არც ჩარეულა მის საქმიანობაში. სასამართლომ თავისი სიტყვა თქვა. მის მიერ გამოტანილი განაჩენი აშკარად ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად და მყარად ყალიბდება დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება. ვიმეორებ, — ჩვენი ბრალდებები სასამართლოზე სავსებით დადასტურდა, ჩვენს მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომებიც ფაქტობრივ გარემოებებს დაემყარა, მაგრამ სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას, ყოველივე ამასთან ერთად, ისარგებლა ჰუმანიზმის პრინციპებით, უბრალო ადამიანური მოტივებით.

— ბატონო ანზორ, ახლა ჩვენში დიდი ლაპარაკია, საერთოდ, სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე. ამბობენ, თუ ამ კანონს მიიღებთ, მას ექნება უკუქცევითი ძალაც, ესე იგი შეეხება დღემდე სიკვდილმისჯილ პირებსაც. იქნებ კაცმა იფიქროს კიდეც, — პირიქით ხომ არ მოხდა, შექმნილმა ვითარებამ ხომ არ იმოქმედა სასამართლოზეც, პროკურატურაზეც? პრესკონფერენციაზე, რომელიც ლოთი ქობალიასა და სხვათა განაჩენს მიეძღვნა, თქვენ თქვით, „მე აღფრთოვანებული არა ვარ სასტიკი განაჩენითო“. ყოველ შემთხვევაში, გაზეთებში ასე გაჟონა ...

— პრესაში ჩემმა აზრმა სწორად არ გაჟონა. მე, როგორც მოქალაქე, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული არა ვარ და არც არასოდეს ვიქნები ადამიანის სიკვდილით. მაგრამ ვიდრე კანონში სასჯელის ეს სახე გვაქვს, ხოლო ჩადენილი დანაშაული იმსახურებს ამ სასჯელს, ბუნებრივია, სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერიცაა და სამართლიანიც. კანონი — უზენაესია. იგი ყველასათვის ერთია, — როგორც განსასჯელისათვის, ისე განმსჯელისათვის.

რაც შეეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას, ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი და სამომავლოდ გადასაწყვეტია.

— თქვენ არაფერი გითქვამთ სამშობლოს ღალატზე. მსჯავრდებულები ლამის ეროვნულ გმირებად აქციონ, არადა, სამშობლოს ღალატშიც ედებოდათ ბრალი...

— ეს ისეთი დიდი და სერიოზული თემაა, სჯობს მასზე ცალკე შევჩერდეთ...

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

პრობლემა

ცოფთან ბრძოლა გაძლიერდება

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა საგანგებო ბრძანება გამოსცა

უკანასკნელ წლებში მოსახლეობის სამართლიან შეშფოთებას იწვევს ცოფის გავრცელება, რაც არაერთხელ გამოითქვა ჩვენს პუბლიკაციებშიც. ამ მწვავე პრობლემის თაობაზე რედაქციაში მოწვეულ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ტელეფონით ესაუბრნენ ჩვენი გაზეთის მკითხველებიც.

ახლა ჩვენს ხელთ არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის № 544/3 ბრძანება ცოფთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც 18 ნოემბრით არის დათარიღებული.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში ძალზე დაიძაბა ცოფის ეპიზოოტიური სიტუაცია, რამაც განაპირობა ეპიდემიური ვითარების დამძიმებაც. 1994-95 წლებში ცოფით დაავადდა 18 ადამიანი, ხოლო წელს — უკვე 17. დასახლებულ ადგილებში კატასტროფულად მომრავლდა უპატრონო, მაწანწალა ცხოველები, ხოლო მათი რაოდენობის ზრდის კვალობაზე ყოველწლიურად იზრდება დაკბენილ-დადორბლილ-დაკაწრულ პირთა რაოდენობაც, რომელთა შორის უმეტესობა ბავშვები და მოხუცები.

ჯანდაცვის სამინისტრომ არაერთხელ მიმართა თბილისისა და სხვა რეგიონებისა და რაიონების ხელმძღვანელებს, რათა შეეძინათ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა და გაეტარებინათ საქ. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მაისის დადგენილებით გათვალისწინებული გადაუდებელი ღონისძიებები, რაც გულისხმობს, ერთის მხრივ, დასახლებული პუნქტების გაწმენდას უპატრონო, მაწანწალა ცხოველებისაგან და შინაური ცხოველების მასობრივ აცრებს, ხოლო მეორე მხრივ — დაკბენილ ადამიანთა დროულ გამოვლინებასა, მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რასაც მოემსახურება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მოქმედი ანტირაბიული კაბინეტები. ამ კაბინეტების გამართული მუშაობისათვის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანებით იქმნება ანტირაბიული სამედიცინო დახმარების ცენტრი.

ამავე ბრძანებით სამედიცინო პროგრამების მართვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტებს დაევალათ 1997 წლის მუნიციპალური პროგრამების სავალდებულო მინიმუმში შეიტანონ ცოფის პროფილაქტიკური მკურნალობა. ვაქცინების ღირებულება უნდა ანაზღაურდეს შესაბამისი რაიონების ჯანდაცვის ფონდებიდან. წამლისა და ფარმაციის დეპარტამენტმა (რ. მახარაძე), უნდა უზრუნველყოს რაიონების ჯანდაცვის ფონდებიდან შემოსული თანხებით ვაქცინების მარაგის განახლება.

მიმდინარე წლის ბოლომდე ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ღირებულება (ვაქცინის ფასის გამოკლებით) ანაზღაურდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდიდან, კატასტროფებისა და რეფორმების პროგრამიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე.

ქ. თბილისის ბავშვთა №2 საავადმყოფოს ბაზაზე იქმნება ანტირაბიული სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქ. თბილისის მთავარი რადიოლოგი თეიმურაზ გოგიძე. მას ევალება მეთოდურ-ორგანიზაციული და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ანტირაბიულ კაბინეტებს, ფართოდ გაშალოს ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების პროპაგანდა და ანტირაბიული სამსახურის მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს ჯანდაცვის სამინისტროს წელიწადში 2-ჯერ, ცოფით გარდაცვალების ყველა შემთხვევა მოამზადოს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად.

ქ. თბილისის ბავშვთა №2 საავადმყოფოს მთავარ ექიმს ჯ. ონიანს დაევალა ყველა ზომა მიიღოს ცენტრის შეუფერხებელი ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი ფუნქციონირებისათვის.

აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ჯანდაცვის მინისტრებს (ა. ბერიძე, ვ. ბერაია), ქ. თბილისის ჯანდაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს (ვ. დობორჯგინიძე), ჯანდაცვის მართვის სამხარეო ცენტრების დირექტორებს (დ. შელია, გ. გობალეიშვილი, ა. ჩომახაშვილი, ბ. ძაგანია, ვ. ბეთლემიძე, ზ. ჯალაბაძე, ნ. შაფათავა, ლ. ბაიაჯანი, ვ. ყუფუნია, ვ. ვეკუა, ა. მურუსიძე) დაევალათ მუდმივი და მკაცრი კონტროლი დაამყარონ მათ დაქვემდებარებაში მყოფ სამედიცინო დაწესებულებაში მოქმედი ანტირაბიული კაბინეტებისა და სამსახურების მუშაობაზე, ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარებაზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა, რაიონებისა და ქალაქების მიხედვით, ყოველდღიურად უნდა წარადგინონ ინფორმაცია ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ: ცოფზე საეჭვო დიაგნოზით გარდაცვალების ყველა შემთხვევაში უზრუნველყონ პათოლოგიური მასალის გადაგზავნა რესპუბლიკურ ვეტლაბორატორიაში, დიაგნოზის დაზუსტების შემთხვევაში კი მასალების გადაცემა საგამომძიებო ორგანოებისათვის. მათ უნდა უზრუნველყონ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის გატანა და სამოქმედო ტერიტორიაზე ანტირაბიული კაბინეტების შეუფერხებელი მომარაგება. ასევე სამედიცინო პერსონალის პროფესიული მომზადების დონის ამაღლება ცენტრის ბაზაზე.

კონტროლი აღნიშნული ბრძანებების შესრულებაზე დაევალა მინისტრის პირველ მოადგილეს ვლ. გიორგაძეს.

თამბაქო და ჯანმრთელობა

მასწავლებელმა სკოლაში არ უნდა მოსწიოს

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, ხანში თამბაქოს წევის გავრცელების მასშტაბებმა კულმინაციურ ზღვარს მიაღწია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სიგარეტს ეწევა არასრულწლოვანთა უმრავლესობა. კიდევ გავიმეორებთ ჩვენს მიერ უკვე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს: თბილისის სკოლებში ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა, რომ 12-16 წლის მოზარდებში თამბაქოს სისტემატურად ეწევა ბიჭების 84 პროცენტი და გოგონების 78 პროცენტი. და კიდევ, ქალთა 28 პროცენტი ორსულობის პერიოდშიც არ ანებებს თავს თამბაქოს.

მედიკოსების ვარაუდით, მწეველთა ასეთი ინტენსივობას დამღუპველი შედეგი მოყვება: 20-25 წლის შემდეგ მოზარდებში მოხდება ავთვისებიანი დაავადებების გაჩენა-განვითარება და 35-55 ასაკში — სიკვდილიანობა.

ამასთან, მოზარდი, რომელიც ადრეულ ასაკში იწყებს თამბაქოს წევას, ასევე ადვილად მიეტანება ნარკოტიკებს, ხოლო გოგონები აღარც საზოგადოებისათვის მიუღებელ ქცევაზე იტყვიან უარს და ადვილად აღმოჩნდებიან წუმპეში.

ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა კონფერენციის მეორე სხდომა, რომელიც თბილისში მიმდინარეობს საზოგადოებრივი მობილიზაციის პროგრამით „თამბაქო თუ ჯანმრთელობა".

მრგვალი მაგიდის გარშემო განხილვაში მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძე, მისი მოადგილე გურამ კაციტაძე, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის დირექტორი გელა კობეშავიძე, ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გელა ლექავა, აგრეთვე ბავშვთა ფედერაციის წარმომადგენლები, პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები.

კონფერენციის ძირითადი მიზანია: უმოკლეს ვადაში მოხდეს საზოგადოების ფართო ფენების მობილიზაცია თამბაქოს ეპიდემიასთან ბრძოლაში ჩასაბმელად. ამ საქმეში დიდი როლი განათლების სისტემამ უნდა შეასრულოს. მაგრამ, როცა სკოლაში მასწავლებელი ეწევა მოწაფის თვალწინ, ზოგჯერ კი თვით მასწავლებელი და მოსწავლე ერთად აბოლებენ, რომელ აკრძალვაზე შეიძლება ლაპარაკი!...

პროფესორმა გელა ლექავამ წამოაყენა წინადადება: აიკრძალოს სკოლებში თამბაქოს წევა. გამოცხადდეს სკოლა თამბაქოსაგან თავისუფალ, სუფთა ზონად. მასწავლებელს აეკრძალოს სკოლაში მოწევა. ამ წინადადებას ყველამ დაუჭირა მხარი.

55-ე სკოლის დირექტორმა პარმენ მარგველაშვილმა აღნიშნა: აკრძალვა თავისთავად მისასალმებელია და ჩვენ შევძლებთ ამის განხორციელებას. მთავარია აქტიური დახმარება გაგვიწიოს ოჯახმა, საზოგადოებამ. ჩემი აზრით, უნდა აიკრძალოს სკოლასთან ახლო მდებარე ჯიხურებში სიგარეტის გაყიდვა, ტელევიზიით უცხოური სიგარეტის რეკლამირება.

მწეველ მასწავლებლებთან ბრძოლის თვალსაზრისით კი ასეთი აზრიც გამოითქვა: იქნებ სამსახურში მიღებისას უპირატესობა არამწეველებს მიეცეს. ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში ხომ ეს პირობა პირველ პუნქტად ითვლება!

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ თამბაქოს მოწევა აკრძალონ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში, ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც ბავშვს უხდება ყოფნა.

კონფერენციაზე ითქვა: ეთხოვოს ტელევიზიას თამბაქოს ანტირეკლამისთვის მედიკოსებს კვირაში ორჯერ მაინც გამოუყონ დრო, რომ საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია თამბაქოს წევის მავნეობის თაობაზე, ილაპარაკეს ქუჩებში თამბაქოს რეკლამებზეც და გადაწყვეტით აღნიშნეს, რომ ქალაქის მერიამ უარი უთხრას იმ ფირმებს, ვინც ეს რეკლამები შემოგვთავაზა და რაც შეიძლება მალე გაიწმინდოს ჩვენი დედაქალაქი ამ „სანახაობისაგან".

ლარისა ხუბულური.

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი ვახტანგ კუცია.

ჯანსაღი მომავლისათვის

ქართველი მედიკოსები საინგილოში

საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტში ახლახან დაფუძნდა ბავშვთა დაავადებათა წინააღმდეგ მებრძოლი ქირურგთა ასოციაცია უნივერსიტეტისა და ბავშვთა № 2 საავადმყოფოს მეცნიერ-ექიმთა შემადგენლობით.

ამ დღეებში ასოციაციის წევრები ჩავიდნენ საინგილოში, სადაც კახის ქართული მოსახლეობის ბავშვებს აღმოუჩინეს საჭირო სამედიცინო დახმარება. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: პროფესორი გურამ დავითაია, დოცენტები — ზერო მუმლაძე და გურამ გაბუნია, ექიმი პრაქტიკოსები — ბიჭი მაჭავარიანი, თენგიზ წითლიძე და პაატა აბესაძე. მათ გასინჯეს კახის, ალიბეგლოსა და მახლობელი ქართული სოფლების 300-მდე ბავშვი.

როგორც ჩვენთან საუბარში ასოციაციის პრეზიდენტმა, სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული ფაკულტეტის დეკანმა, ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა რამაზ კუტუბიძემ აღნიშნა, ექიმთა და მეცნიერთა ამ ჯგუფმა გარდა ბავშვთა გასინჯვა-დათვალიერებისა, კახში ჩაიტანეს სხვადასხვა მედიკამენტები, მათ შორის ტეტანუსის, დიფტერიისა და ყივანახველას საწინააღმდეგო ვაქცინები. ანტიბიოტიკები — პარაცეტამოლი, ანალგინი, ერთჯერადი და მრავალჯერადი შპრიცები, სამედიცინო ხელთათმანები, სხვადასხვა სახის მალამოები.

— დაგეგმილი გვაქვს, განაგრძობს ბატონი რამაზი, — 25 ნოემბერს კვლავ ჩავიდეთ საინგილოში და სრულად შევისწავლოთ ჩვენი თანამემამულეების ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. აქვე შევთანხმდით, თუ საჭიროება მოითხოვს, საოპერაციო ბავშვები ჩვენივე დახმარებით ჩამოვიყვანოთ თბილისის № 2 ბავშვთა საავადმყოფოში და ჩავუტაროთ გადაუდებელი ოპერაციები.

ასოციაციას დაგეგმილი აქვს ანალოგიური დახმარება აღმოუჩინოს ჩვენი ქვეყნის მცირემემოსავლიანი ოჯახების ბავშვებს. ეს საკითხი უკვე შეთანხმებული აქვთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან.

ასოციაცია მოქმედებს სრული ჰუმანიტარული პრინციპით. სამედიცინო დახმარება გაუწიონ მცირემემოსავლიან ოჯახებს. რათა დაძლეული იქნეს კრიზისი, რომელიც წარმოიქმნა ჯანმრთელობის სისტემაში.

ჩვენ, დიდი მადლობა გადავუხადეთ ასოციაციის პრეზიდენტს და აღვუთქვით, რომ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ასოციაციასთან ითანამშრომლებს და ყოველგვარ პირობებს შეუქმნით, რომ ქართულმა მასმედიამ ღირსეულად წარმოაჩინოს მათი საქველმოქმედო საქმიანობა, რაც ჩვენი ხალხის, ჩვენი შვილების, ნათელი ჯანსაღი მომავლისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მარატ ღვალაძე,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განყოფილების გამგე.

გმადლობთ !

თქვენ სიცოცხლე მაჩუქეთ

წელს რესპუბლიკის ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის მამოლოგიურ განყოფილებაში მომიხდა წოლა. სარძევე ჯირკვლის ოპერაცია გამიკეთდა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გია ციხისელმა, რომელსაც მინდა უსაზღვრო მადლობა გადავუხადო კარგი ექიმობისათვის და ასევე კარგი ადამიანობისათვის. დაე, ღმერთმა გაგიძლიეროთ მარჯვენა, ძვირფასო ექიმო.

ასევე დიდ მადლობას გწირავთ, ჩემო ექიმო ლალი და ექთანო ციალა, გულთბილობისათვის, ყურადღებიანობისათვის. ყოველივე კარგს გისურვებთ სხივური თერაპიიდან ჩემს ექიმს მანანას, ექთან მზიას, და; საერთოდ, ამ ონკოცენტრის შესანიშნავ მედპერსონალს.

ძვირფასებო, თქვენ მე სიცოცხლე მაჩუქეთ.

ლიდა ნაცარაშვილი,
პენსიონერი მასწავლებელი.
თელავი.

ანდრია კონსტანტინოვი

ბანდ-პეტერბურგი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 227 - 235.

სტრელკაზე არ არის მიღებული დინამოს გაკეთება. (აჯობს დარტყმა). ჯერ ერთი, ეს უბრალოდ უზრდელობაა. მეორეც, „დადინამოებულ" მხარეს კოზირს აძლევს. სტრელკა ხომ ნორმალური სამუშაო მომენტია ძნელ ბანდიტურ მუშაობაში. სტრელკების უმრავლესობა მშვიდობიანად და ძალიან მალე მთავრდება. „გამარჯობა!" — „გაგიმარჯოს!" — „ეს და ეს კაცი თქვენ გიხდით?" — „ჩვენ!" — „ო. კეი, კარგად!" — და იშლებიან. არის კონფლიქტური სტრელკებიც, როდესაც ერთ მხარეს მიაჩნია, რომ მისი ინტერესები შელახულია. ასეთი სტრელკა შეიძლება დამთავრდეს გარჩევით. ანუ ძალისმიერი კონფლიქტით. ვინაიდან, ყოველთვის არის შანსი. წაიწყლე „ტვინგაყინულ". (თავზეხელაღებულ. სასტიკ, ბრიყვ და ხარბ) კოლეგებს, სტრელკები ჩვეულებრივ ინიშნება ძალზე ხალხმრავალ ადგილებში. სადაც იარაღის ხმარება რამდენადმე გაძნელებულია (ბაზარი, კაფე, მაღაზია), ან პირიქით, — ყრუ და უკაცრიელ ადგილებში, სადაც თითოეულ მხარეს შეუძლია გულდამშვიდებულმა მიიტანოს იარაღი. გარჩევა შეიძლება დამთავრდეს მშვიდობიანად და შეიძლება გახდეს ხანგრძლივი ომის დასაწყისი. როგორც წესი. ყველა ცდილობს თავიდან აიცილოს ომი — იმიტომ, კი არა, რომ ეშინიათ, არამედ დიდი მატერიალური ზარალის გამო, რომელიც უშუალოდ მოსდევს ხოლმე ყოველ ომს. საბრძოლო მოქმედების დროს დამსჯელი აქციების ლამის 90 პროცენტი თავს ატყდება არა საკუთრივ ბანდიტებს, არამედ მათს საპატრონო ფირმებს. შესაბამისად — იკეტება ფულის ნაკადულები, რომლებიც აქამდე ბანდის ხაზინაში მოწანწკარებდა.

ყოველ ბიზნესმენს ძალზე კარგად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა არის ეგრეთ წოდებული აგდება, ვინაიდან სწორედ კომერსანტები ხდებიან პირველ რიგში მისი მსხვერპლნი.

აგდება (მოდის „ააგდო"-დან) [illegible] მოტყუება, თაღლითობა, რომელიც ასაგდებს აიძულებს მოიქცეს ისე, როგორც ამგდებს სურთ. როგორც წესი, აგდების მიზანი ერთია — ფული. აი, სულ მარტივი მაგალითი. წინასწარი მოლაპარაკებით, ვთქვათ, „ტამბოველებთან" რომელიმე „მათს" ფირმას თავს ესხმიან „ჩეჩნები". „ფული მოიტა, თორემ ჯიგარს ამოგაჭრი, ვინც გინდა მოიყვანე, ტამბოველი — ჰამბოველი, სულ ფეხებზე მკიდია!.." ბიზნესმენი სასწრაფოდ გავარდება თავის „ტამბოველებთან" და ემუდარება დაიცვან ამ ურჩხულებისაგან. „ტამბოველები" ამშვიდებენ. უბნებიან, ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ყველაფერს მოვაგვარებთ — ოღონდ, შენ ნუ ღელავო. მაგრამ „ჩეჩნებთან" კვალიფიციურად დადგმული სტრელკის შემდეგ (სტრელკაზე შეიძლება ბიზნესმენიც წაიყვანონ, — საკუთარი თვალით რომ ნახოს, რომ ყველაფერი „ნამუსიანად" არის). „ტამბოველები" შეწუხებული სახით უბნებიან ბიზნესმენს: „აბა, რა გიყოთ... დაგერხა, ძმაკაც, ეს ხომ ხალხი არ არის, ეს თავზე ხელაღებული არაკაცები არიან. გამოსავალი ერთია — უნდა მოეყვეთ, მაგრამ მკვლელობისათვის ცალკე ნიხრია. ჩვენ სიტყვა მოგეცით დაგიცავთო, მაგრამ ხომ არ გვითქვამს, შენი გულისთვის კაცს მოვკლავთო. თანაც, გიცავდით ნორმალური ბანდიტებისაგან, ეგენი კი ვიღაც გიჟები არიან..." დაფეთებული ბიზნესმენი მზად არის გაიღოს ნებისმიერი ხარჯი, ოღონდ გადაარჩინონ ამ „ჩეჩნებისაგან". ამას მოსდევს „ნატურალური" გარჩევა — ბათქა-ბუთქით, „სისხლიანი გვამებით". ყოველივე ეს შეიძლება უჩვენონ კიდეც ბიზნესმენებს. მერე, გარჩევის ადგილიდან რომ წაიყვანენ, „გვამები", ბუნებრივია, ცოცხლდებიან და „გამარჯვებულებთან" ერთად იყოფენ პრემიას. ხოლო ბიზნესმენი შვებით ამოისუნთქავს და ამაყობს თავისი „დამცველებით", რომლებსაც ასეთი საიმედო ქერის ქვეშ ჰყავთ...

ბევრ ბიზნესმენს, მეტადრე დამწყებთ, შეცდომით ჰგონია, რომ ქერი — ეს ის არის, რაც ერთი კაფეს პატრონმა თქვა: „როცა მე მყავს ბანდიტები, რომლებსაც ვუხდი, რომ სხვა ბანდიტებმა ხელი არ მახლონო".

ამ ფრაზაში ერთბაშად სამი შეცდომაა: ჯერ ერთი, ბანდიტები კი არ ჰყავთ ბიზნესმენებს, არამედ ბიზნესმენი ჰყავთ ბანდიტებს. მეორე, ის კი არ უხდის მათ, არამედ ისინი წველიან, და მესამე, ის, რასაც ეს კაფეს პატრონი ამბობდა, — არის არა ქერი, არამედ პროტექტორატის უმარტივესი, ყველაზე პრიმიტიული ფორმა, თავისებური „არაოფიციალური პოლიციური მომსახურების" გაწევა. ხშირად ამ დონეზე თანამშრომლობისას ბანდიტები ბიზნესმენებს უტოვებენ მხოლოდ საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, რომლითაც უნდა დაურეკოს, „თუ ვინიცობაა". ზოგჯერ თანამშრომლობის ამავე დონის ფარგლებში ფირმას უტოვებენ ერთ-ორ მებრძოლს სარჩენად, ფაქტობრივად, ისინი ასრულებენ ყარაულებისა და ვახტიორების ფუნქციებს, თანაც ამისთვის ცალკე იღებენ ფულს. ასეთი მცველებისაგან არაფერი ხეირია. „კომიტატესის" (ყორჩი) ძველთაძველი ხელოვნება მათ არ იციან და შეიძლება დაიცვან. დიდი-დიდი მთვრალი ხულიგნებისაგან. ბინების გაძარცვის, თავდასხმის, ავტომობილების გატაცებისაგან ზემოაღნიშნული დაცვა აბსოლუტურად არ იფარავს საწარმოს მფლობელს. ასეთი პროტექტორატის ღირებულება საშუალოდ შეადგენს ყოველთვიური მოგების 20-30 პროცენტს ნაღდი ფულით. განსაკუთრებით ხარბი ბანდიტები მაზანდას 40 პროცენტამდე სწევენ. უნდა გახსოვდეს, რომ დაჯახებისა და სხვა ჯგუფებთან სტრელკების შემთხვევაში ბანდიტები იცავენ არა ფირმას და მის პატრონს, რომელიც, როგორც წესი, ფეხებზე ჰკიდიათ, არამედ თავიანთ ინტერესებს, თავიანთ 20-30 პროცენტს.

ნამდვილი ქერი — ეს არის ფირმისათვის სრული პროტექტორატის მიცემა. შეიძლება ითქვას, „უპირატესი ხელშემწყობი რეჟიმის" მინიჭება. ამ სიტუაციაში ბანდიტები აკონტროლებენ მიწოდებას, ხელშეკრულებებს, კონტრაგენტების მიერ ვალდებულებათა დაცვას, იგივე ბანდიტები უჩარხავენ კრედიტებს ფირმას, ზოგჯერ თვითონ აძლევენ, პოულობენ შემკვეთებს, ერთი სიტყვით, აქტიურად უწყობენ ხელს ფირმის გაფურჩქვნას. ბუნებრივია, ასეთი ქერი გაცილებით უფრო ძვირი ღირს. ფირმის ყოველთვიური მოგების 50-70 პროცენტამდე. ამასთან უნდა იცოდე, რომ სრული ქერი ხშირად კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს ბიზნესმენის რისკის ხარისხს. ჯერ ერთი, ბანდიტებმა ფირმა შეიძლება ჩაითრიონ სხვადასხვა სისხლისსამართლებრივად დასჯად კომბინაციებში, მეორე, არსებობს აზრი, რომ ბანკირთა და მეწარმეთა მკვლელობების ტალღა, რომელმაც გასულ წელს გადაუარა რუსეთს, — სხვა არა არის რა, თუ არა ქერთა ომის შედეგი. (ვთქვათ, ორ ფირმას, რომელთაგან თითოეულს იცავს ქერი, აქვს დიდი ერთობლივი კონტრაქტი. ერთი ფირმა მასზე დამოუკიდებელი ეგრეთ წოდებული ფორსმაჟორული გარემოებების გამო შლის მიწოდებას, ანუ აგვიანებს გადახდას, ანდა, კიდევ, რაღაცნაირად დაუღალატებს მეორე ფირმას, რომელსაც, თავის მხრივ, კიდევ ვიღაცისა რაღაც მართებს. და ამ ვიღაცას სულაც არ ანაღვლებს კერძო ფირმის კერძო პრობლემები. საქმეში ებმებიან ქერები, ისმის სროლა, იღვრება სისხლი... და ყოველივე ეს ხდება ძალზე სწრაფად, იმიტომ, რომ თანამედროვე პირობებში რუსეთში ვერცერთი ფირმა ვერ იმუშავებს გამართულად და აწყობილად, ისე, რომ ერთხელაც არ მოეცაროს ხელი. და, ბოლოს, მესამე, იმ ბიზნესმენის მიმართ, რომელსაც სრული ქერი მიენიჭა. ბანდიტებმა შეიძლება დაიწყონ ოპერაციის განხორციელება, რომლის პირობითი სახელწოდებაა დასაკლავი ბურვაკის გასუქება. ეს უნიკალური ოპერაციები, რომლებიც წლობით მზადდება ხოლმე, რუსეთში იშვა.

ქერთა ინსტიტუტის არსებობა და ფართო განვითარება მოწმობს, რომ დღესდღეობით ქერი ობიექტურად სჭირდება სამამულო ბიზნესს. სასაცილოც კია იკამათო ასეთ აშკარა ფაქტთან დაკავშირებით — თუ ქერი არ ექნა, ფირმა უბრალოდ ვერ დადგება ფეხზე. მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც თავის ქერქვეშ ფეხზე დადგება, ფირმა ავიწროვებს თავისი სოციალური დაცვის ბაზას. — რამე რომ მოხდეს, მილიციაში უკვე ვეღარ წახვალ, რადგან შეიძლება ისეთი რამ წამოტივტივდეს, რომ ბიზნესმენი დაზარალებულიდან ეჭვმიტანილად, ბრალდებულად გადაიქცეს.

ქერის მიცემის გარდა, ბანდიტებმა შეიძლება ბიზნესმენებს გაუწიონ აგრეთვე სხვაგვარი — ერთჯერადი — მომსახურება. ამ მომსახურების სრული ნუსხის ჩამოთვლა აბსოლუტური უაზრობაა. იმიტომ, რომ ამ სიას დასასრული არ ექნება, როგორც ერთმა ჭკვიანმა ბანდიტმა მითხრა: „ჩვენ მსურველებს ვუწევთ ყოველგვარ მომსახურებას, თუკი ეს ჩვენთვის ხელსაყრელია. იმას, რასაც ჩვენ არ გავაკეთებთ ფულის გულისათვის, — ჩვენ გავაკეთებთ დიდი ფულის გულისათვის". ასეთივე უაზრობაა, შეადგინო მომსახურების ფასების პრეისკურანტი — ფასი ყოველთვის კლიენტზეა დამოკიდებული. და ბიზნესმენის კითხვაზე, როდესაც შუამავალთა პირით შეუთვლის ხოლმე: „რა ეღირება ესა და ეს მომსახურება?" — ბანდიტები შუამავლისავე პირით შეუთვლიან: „ჯერ თქვენ უნდა გვითხრათო".

მეტნაკლებად დადგენილია ფასები ვალების ზღვევინების ნაცად ასპარეზზე — ასეთ პრობლემებს ადრე თუ გვიან აწყდება პრაქტიკულად ყველა ბიზნესმენი (თუ ერთი ფირმას მეორის ვალი აქვს: რა თქმა უნდა, შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს, მაგრამ თუკი არბიტრაჟი გამოიტანს გადაწყვეტილებას მოსარჩელის სასარგებლოდ, გავა წლები, სანამ ფირმა მიიღებს თავის ფულს, რომელიც ამასობაში მტვრად იქცევა).

ბანდიტთა წრეში იტყვიან ხოლმე: „როდესაც ვალს არ აბრუნებენ, უნდა დააბრუნებინო". ჩვეულებრივი ბანდიტური პრაქტიკაა — ვალის დაბრუნება ნახევარ წილად. ბუნებრივია, ვალის წართმევასთან დაკავშირებული ბევრი სიტუაცია, სხვა არა არის რა. თუ არა ზემოთ აღწერილი აგდება. (როდესაც ბანდიტებს სურთ ააგდონ ვინმე, ერთი, თავისი ფირმა მეორეზე გაჰყავთ. ფირმები ერთმანეთს უდებენ კონტრაქტს. ბანდიტებთან უფრო ახლო მდგომი ფირმა ფულს არ ურიცხავს მეორე ფირმას. განაწყენებული ფირმა მიმართავს ბანდიტებს თხოვნით გადაუწყვიტოს პრობლემა. ბანდიტები თანხმდებიან. ვინაიდან პრობლემა სინამდვილეში არ არსებობს, ფულის გადარიცხვა სწრაფად ხდება. ბანდიტები კი იყოფენ მოგებას თავისი ფირმის ხალხთან).

სისხლის სამართლის თვალსაზრისით ვალის წართმევის დროს ძალისმიერი ხერხების გამოყენება დაკვალიფიცირებულია რუსეთის ფედერაციის სსკ 200 მუხლით (თვითნებობა). პიკ-სიტუაციაში წამართმევი იღებს მცირე ვადას — წელიწადს, მაქსიმუმ-ორს. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბანდიტები მაინცდამაინც დიდი ხალისით არ ჰკიდებენ ხელს რეალური ვალის წართმევას. კვლავ შევახსენებთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანდიტები ვალის დაბრუნებინებას ჰკიდებენ ხელს, ისინი მუშაობენ არა ბიზნესმენებზე, არამედ საკუთარ თავზე.

მეორე მხრივ, ნებისმიერი მიმართვა ბანდიტებისადმი უსტანდარტო მომსახურების გასაწევად — ეს არის „ბილეთი მხოლოდ იქით". ერთობლივი კრიმინალი მხოლოდ თანასწორთ აკავშირებს. ხოლო „ლეგალური" კაცი, რომელიც კრიმინალური თხოვნით მიმართავს ბანდიტებს, ამის შემდეგ მთლიანად მათზე ხდება დამოკიდებული (ამ ცოტა ხნის წინ პეტერბურგში ერთი საკმაოდ ცნობილი მოხელე ვიღაც ჟურნალისტს შემოსწყრა და გადაწყვიტა ბანდიტებისათვის მიემართა თხოვნით, რომ თავი გაეტეხათ „ამ მწერლუკასათვის". ბანდიტებმა [illegible] ჩანაწერი და ჰკითხეს, გინდა, ეს ჩანაწერი პეტერბურგის ერთ-ერთ გაზეთში მოხვდეს..?).

მკვლელობებს, მეტადრე შეკვეთილ მკვლელობებს, პატრული ბანდიტები ძალზე უხალისოდ თანხმდებიან.[1] როგორც წესი, დაქირავებული მკვლელები — ეს არის ცალკე კლანი, რომელზეც ბანდიტებს შეუძლიათ მხოლოდ გაიყვანონ შემკვეთი საკომისიო სარგებლით. პროფესიონალთა მომსახურების ღირებულება 4-5 ათასი დოლარი და მეტი. დილეტანტების მომსახურება უფრო იაფი ღირს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, უფრო ძვირად ჯდება...

მომსახურება მართლაც სულ სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ბანდიტებს მიმართავენ თხოვნით, დაამყარონ წესრიგი ეზოს ბიჭუნებს შორის. ანდა, დააშოშმინონ ჩხუბისთავი ლოთი მეზობელი. ანდა უბრალოდ დააგვევინონ მეეზოვეს ეზო. პეტერბურგში ერთი ცნობილი ბანდა დაეხმარა მდიდარ მშობლებს შვილების გამოსწორებაში, რომლებიც ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს იყვნენ გადაყოლილი. „ბავშვები" გაიყვანეს ლენინგრადის ოლქის ერთ მოშორებულ ხუტორში, ყოველდღე სცემდნენ და მძიმე გლეხურ შრომას აწევდნენ. კიდევ უფრო ესტანდარტო მომსახურება გაუწიეს 1993 წლის ბოლოს ერთ მსხვილ სპეკულანტს. მისი თხოვნით ბანდიტებმა „მოსტაცეს" ცოლშვილი ერთი კვირით. და ეს ერთი კვირა „ტყვეობაში" ქმარმა და მამამ თავის მდიდარ ქალთან ერთად საწოლში იქოტრიალა.

ნებისმიერ შემთხვევაში, სთხოვო ბანდიტებს გაგიკეთონ რაღაც არც თუ მთლად კანონიერი — ეს იგივეა, რომ სანადირო ძაღლის მაგივრად სანადიროდ წაიყვანო მგელი, რომელიც შეიძლება ეცეს ნადირს, და შეიძლება — გეცეს შენ. თუმცა. ყოველი კაცი თვითონ ირჩევს თავის ბედს.

თუ თავის მოტყუებას არ შევუდგებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთში კერძო ბიზნესის სექტორის 90-95 პროცენტი მეტნაკლებად არის დაკავშირებული ბანდიტების ან კანონიერი ქურდების სამყაროსთან.

ეს მოხდა სხვადასხვა მიზეზისა გამო. მათ შორის იმიტომაც, რომ ბიზნესმენები და სამართალდამცველი ორგანოებში ძალიან დიდხანს ხედავდნენ ერთმანეთში მტრებს. გარდა ამისა, თანამედროვე რუსეთის ყოვლად უსინდისო საკანონმდებლო ბაზის პირობებში საკითხის სწრაფად და შედეგიანად გადაწყვეტა ყველაზე ხშირად შეუძლიათ მხოლოდ კრიმინალურ სტრუქტურებს. სწორედ ამან წარმოშვა ბიზნესისა და ორგანიზებული დამნაშავეობის ეს შემზარავი სიმბიოზი.

მაგრამ იგი არ არის მარადიული. უკვე დღეს ბევრი სოლიდური ფირმა თანდათან გრძნობს ობიექტურ უხერხულობას იმის გამო, რომ „ბანდიტიზმით არის დამძიმებული": დასავლელი პარტნიორები ხშირად ერიდებიან კონტრაქტის დამყარებას ასეთ ფირმებთან, რადგან იციან, რომ ისინი დაკავშირებული არიან ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. (დასავლეთში დღესაც თავის გატეხა ურჩევნიათ სახელის გატეხას).

სამუშაოსაგან თავისუფალ დროს...

(გაგრძელება იქნება).

---

[1] ეს კინოში ხდება ყველაფერი იოლად. ცხოვრებაში კი კაცის მოკვლის საკითხი, როგორც წესი, კონკრეტულ შემსრულებელზეა დამოკიდებული. ვის ესიამოვნება აიკიდოს დახვრეტის მუხლი. ერთ დაჯგუფებაში ვიღაც უტიფრად „ლიდერის წრესგადასულობაზე" ლაპარაკობდნენ. ახალგაზრდები აყაყანდნენ: „თავს გაუვიდა! მოსაკლავია ეგ ოხერი და მუდრეგიო!" ავტორიტეტმა ბაზარი ერთი ფრაზით მოსწყვიტა: „მოსაკლავიაო, ამბობთ? კეთილი. რომელი მოკლავთ? ვინ ყაყანებდა ყველაზე მეტს? ჰოდა, სწორედ შენ მოკლავ! თუ, გადაიფიქრე უკვე?" და ყველაზე მეტად რომ ფახფუხობდა, ის ჩუმად „ძ...რნაჭამიეთ" იჯდა. (უკაცრავად, ფოლკლორისათვის).

საქართველოს რესპუბლიკა
№236. შაბათი, 23 ნოემბერი, 1996 წელი.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მთავრობის სახლიდან დიდძალი თანხის გატანის გამო

რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური სკურატოვმა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მოადგილეს [illegible] მისცა მიეღო წარმოებაში სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ეხება 1996 წლის 16 ივნისს მთავრობის სახლის შენობიდან 538 ათასი აშშ დოლარის გატანის მცდელობას. დაისახა უპირველესი საგამოძიებო მოქმედებების გეგმა. კერძოდ, უახლოეს დღეებში დაიკითხავენ ანატოლი ჩუბაისს, ვიქტორ ილიუშინს, სერგეი კრასავჩენკოს, ალექსანდრე კორჟაკოვსა და სხვებს. ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისადმი ზედამხედველობა დაეკისრა გენერალური პროკურორის მოადგილეს მიხეილ კატიშევს.

მისაბაძი კანონი

საფრანგეთში მიიღეს კანონი, რომელიც ყმაწვილებს, სქესის მიუხედავად, ავალდებულებს გაიარონ სამოქალაქო თავდაცვის ხუთდღიანი კურსი. წერს ამერიკის „ჩიკაგო ტრიბუნი“. ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა ასეთი კანონი მიეღო მხოლოდ და მხოლოდ აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისათვის. ჯერ ერთი, ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ქუჩებში დამნაშავეობის ზრდის შემცირებას. მეორე, სწავლების დროს ყმაწვილები შეისწავლიან ელემენტარულ ცოდნას მედიცინის დარგში და სამხედრო ტაქტიკაში. სამოქალაქო თავდაცვის სწავლების გავლის თავის ამრიდებლებს მკაცრი სასჯელი მოელით. მათ აეკრძალებათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა და სამუშაოზე მოწყობა. ავტორის აზრით, სამოქალაქო თავდაცვის კურსი ყმაწვილებს დაეხმარება გაერკვნენ თავიანთ უფლება-მოვალეობებში და თავიანთი სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტები გახდნენ.



მოსკოვის ოლქის აეროდრომზე პრესის წარმომადგენლებს პირველად უჩვენეს მოქმედებაში უახლესი რუსული საბრძოლო შვეულმფრენი კა-52 („ალიგატორი)“. ეს ორადგილიანი მანქანა ღამით ხედვის ხელსაწყოებით არის აღჭურვილი. შვეულმფრენის ღირებულებაა 12-14 მილიონი დოლარი.

მაგნატს დაჭერას უპირებენ

ისრაელის საგადასახადო პოლიცია იუწყება, რომ რუპერტ მერდოკი, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ერთ-ერთი უდიდესი მფლობელი, ეჭვმიტანილია მოგების დამალვასა და 150 მილიონი შეკელი ბეგარის გადაუხდელობაში.

რუპერტ მერდოკს მთელ მსოფლიოში ეკუთვნის 400-ზე მეტი სხვადასხვა კომპანია და ფირმა, მათ შორის, ლონდონის უდიდესი გაზეთები „ტაიმსი“ და „სანი“, ბევრი სხვა გამოცემა. ამ ცოტა ხნის წინათ რუპერტმა შეიძინა ისრაელის კინოკომპანია, რომელიც ისრაელ არნონ მილჩანს ეკუთვნოდა.

დიდ ბრიტანეთში მოიპარეს საიდუმლო დოსიეები

ლონდონში საიდუმლო დოსიეს გაქრობის გამო სულ ცოტა ათი წლით გადაიწია უკან დიდ ბრიტანეთში ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ შემუშავებულმა ოპერაციამ. ბრიტანეთის პოლიციისა და კონტრდაზვერვის სამსახურის მი-5-ის მიერ შეგროვებული მასალების საქაღალდეები ლონდონის ცენტრში მოიპარეს ბრიტანეთის საბაჟოს ერთ-ერთი უმაღლესი მოხელის მანქანიდან. დოსიეებიანი პორტფელი ხელში ჩაუვარდა ორ ყმაწვილს, რომლებიც ავტომობილების ქურდობაზე იყვნენ დასპეციალებული. ერთი მათგანის მამა, რომელსაც საქაღალდეებს გაეცნო, დაუყოვნებლივ დაუკავშირდა დოსიეებში ხსენებულ ნარკობარონებს და თითოეულს საქაღალდე 25-25 ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა.

დოსიეები შეიცავდნენ არა მარტო ნარკოვაჭრობის საერთაშორისო ქსელის საქმიანობის დეტალებს, არამედ აგრეთვე სპეცსამსახურებისა და პოლიციის ამ [illegible] ოფიცერთა გვარებსა და ბინის ტელეფონებს, რომლებიც ფარულად იყვნენ ჩანერგილნი ნარკობიზნესში.



ზვიგენის ფარფლები და მამაკაცური ღირსება

ამ ცნობამ თავზარი დასცა სინგაპურელ მამაკაცებს. [illegible] მეცნიერულ წყაროებზე დაყრდნობით გამოაცხადეს: [illegible] ზვიგენის ფარფლების სუპის ანალიზმა ცხადყო, რომ მისი მიხმარება შეიძლება [illegible] კაცის [illegible] ცხლისწყალს, რომლის შემცველობა [illegible] დასაშვებ ნორმას, შეუძლია საერთოდ დააკარგვინოს კაცს [illegible] კერძის მოყვარული.

არადა, ითვლება, რომ ზვიგენის ფარფლების სუპი [illegible] ერებს და ახანგრძლივებს მამაკაცის პოტენციას. ამიტომ, [illegible] ერთობ პოპულარულია. ახლა გასაგებია, რატომ [illegible] მამაკაცები — ზვიგენის ბულიონს რომ შეექცეოდნენ, [illegible] კერძს [illegible].

„თეფში“ - კამერის ობიექტივში

[illegible] სენსაციად იქცა აღმოსავლეთ ჩეხეთიდან მოსული ამბავი — ვიდეოფირზე გადაიღეს უფო (უცნობი მფრენი ობიექტი). დევერ-კრაურის მახლობლად უამრავმა ხალხმა ნახა, რომ ცის კაბადონზე ნელა მოფრინავდა რამდენიმე ობიექტი, რომლებიც ნარინჯისფერ შუქს ასხივებდნენ და დედამიწას ანათებდნენ მძლავრი პროჟექტორების სინათლის კონებით. ორმა მოქალაქემ, რომლებსაც თან ჰქონდათ ვიდეოკამერები, გადაიღეს ეს უფო-ები.

უფოლოგებს უდავოდ მიაჩნიათ აღმოსავლეთ ჩეხეთში უფო-ს გამოჩენის ფაქტი. ამ შემთხვევაში გამორიცხულია, რომ საქმე ეხებოდეს რაიმე ბუნებრივ ანომალიას ან სამხედრო საჰაერო ძალების საიდუმლო მოქმედებას, ამტკიცებენ ისინი. ჩეხი კოლეგების ამ რწმენას მხარს უჭერენ პოლონელი და ავსტრიელი მეცნიერები, რომლებმაც ნახეს გადაღებული ვიდეოფირები.

ჟენევაში იყიდება დედოფლის გარნიტური

ჟენევის აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს საგვარეულო ძვირფასეულობანი, რომლებიც დედოფალ მარგარიტა სავოიელს (1851-1926) ეკუთვნოდა. თვალსაჩინოებისათვის და თვალ-მარგალიტის ნამდვილობის დასტურად სამკაულები მოთავსებულია ფოტოსურათზე, რომელზეც დედოფალი სწორედ ამ საყურეებით და გულქანდით არის გადაღებული. მთელი გარნიტური მყიდველს 1 მილიონ 700 ათასი ამერიკული დოლარი დაუჯდება.

უჩვეულო სურათს შეესწრნენ პარიზელები ეროვნული კრების შენობასთან 19 ნოემბერს. სპეცდანიშნულების რაზმს ალყაში მოექცია... ბოჩოლა. ფრანგი ფერმერები, რომლებსაც თან წამოეყვანათ შინაური პირუტყვი, პროტესტს აცხადებენ მისი მოვლა-შენახვისათვის განკუთვნილ სახელმწიფოთა ასიგნებათა შემცირების წინააღმდეგ.

უაზარტო თამაშები

ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასის ხელისუფლებამ, რომელიც თავისი სამორინე ბიზნესით არის ცნობილი, გადაწყვიტეს გახსნან სუპერთანამედროვე სტადიონი. სურათზე თქვენ ხედავთ პროექტს, რომელმაც მოწონება პოვა. სპორტული ასპარეზის გვერდით გათვალისწინებულია აშენდეს სასტუმრო, რომელშიც აზარტული თამაშები არ იქნება. სტადიონის აშენება 750 მილიონი დოლარი დაჯდება.



ამნისტია — ყოველ წელიწადს

უკრაინის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად პრეზიდენტს უფლება აქვს წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოაცხადოს ამნისტია. სანუკვარ სიაში არ მოხვდებიან მხოლოდ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, რომლებსაც შეწყალების წესით სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო თავისუფლების აღკვეთით; ადამიანები, რომლებსაც ორზე მეტი ნასამართლობა აქვთ მძიმე დანაშაულობათა ჩადენისათვის, მაგრამ მოიხადეს მისჯილი ვადის ნახევარზე ნაკლები. ყველაზე მეტად გაიხარეს მილიციის თანამშრომლებმა, რომლებსაც აქამდე წელიწადში რამდენჯერმე უწევდათ ერთი და იგივე ბოროტმოქმედების დაჭერა.

ზნეობის პოლიციამ წარმატებას მიაღწია

ომსკში საროსკიპოს გახსნაზე სულ უფრო სერიოზულად ლაპარაკობენ ექიმი-ვენეროლოგები. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთ შემთხვევაში „სიყვარულის ბიზნესი“ კონტროლს დაექვემდებარება, მაგრამ ადგილობრივი „ზნეობის პოლიციის“ აზრით, ასეთი მილიციის ქვედანაყოფები კი რუსეთში ჯერჯერობით სულ სამია (ირკუტსკი, ომსკი და პეტერბურგი), — ეს ვერ გადაწყვეტს საშიშ დაავადებათა პრობლემას. მილიციას [illegible] ბიზნესთან ბრძოლის თავისი მეთოდები აქვს.

ეყრდნობა რა „ომსკის ოლქის ტერიტორიაზე ეროტიკული პროდუქციის გავრცელებისა და დემონსტრაციის კონტროლის“ კანონს, რომელიც დღესდღეობით ერთადერთია მთელ რუსეთში, პოლიციამ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. ორი წლის მანძილზე განყოფილებამ გაიარა 300-ზე მეტმა მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა. ახლა აქ აღრიცხვაზეა აყვანილი 104 მეძავი. წინათ ისინი სუტენერთა ხელშეწყობით მუშაობდნენ ბრიგადებში, დადიოდნენ გამოძახებით. ახლა ამჯობინეს „ინდივიდუალური მიდგომა“, შუამავლების გვერდის ავლით, რისთვისაც საათში 150 ათას რუბლს (40-მდე ლარს) იღებენ.

მილიციას უჭირს „ინდივიდუალების“ დაჭერა. და მაინც, სექსუალური მომსახურების დაუფარავი შეთავაზება გაქრა ადგილობრივი გაზეთების ფურცლებიდან, რომლებსაც უკვე გვარიანი ზარალი მიაყენეს სასამართლოებმა. გაქრა სექსი ადგილობრივი ტელეკომპანიების პროგრამებიდანაც, უკიდურეს შემთხვევაში, ღამის პირველ საათამდე. მარტო ამ წელს, „ზნეობის პოლიციის“ თანამშრომელთა დახმარებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 230 კაცი, ადმინისტრაციულში — 157, ჩამორთმეულია 91 პორნოგრაფიული ვიდეოკასეტა, დაახლოებით 4000 ეგზემპლარი ასეთივე შინაარსის ნაბეჭდი პროდუქცია.

„მე სოციალისტი ვარ და ვამაყობ ამით“

აცხადებს მსოფლიოს იმ ერთადერთი შახტის ხელმძღვანელი, რომელიც მთლიანად ეკუთვნის მაღაროელთა კოლექტივს და რომელსაც თვით მეშახტეები მართავენ

ამ მხარეში ლანდშაფტი უჩვეულოა. ის კი არა, სიურეალურიც არის. მთები აქ კლდოვან ქედებად კი არ წამომართულა, არამედ უსისტემოდ, რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ ბუნებისათვის ცნობილი კანონებით არის დაფანტული. ხეობებში მოიკლაკნება ბრილის ნაკადულები, ჰორიზონტიდან ქარი განუწყვეტლივ მოერეკება შავ-მოლურჯო საავდრო ღრუბლებს, რომლებსაც გოლფსტრიმის ოხშივარი წარმოშობს. ეს ღრუბლები ქარხნების კვამლს ერევა და ტყვიად ადგას თავს არემარეს. მაგრამ ეს ვეებერთელა ტენიანი მასაც კი ვერ ჩრდილავს მზეს, რომელიც ცისარტყელებით სერავს მთელ ზეგანს... დიახ, სამხრეთ უელსში უნებლიედ გინდება, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე, იწამო უზენაესი მიზანი — სიცოცხლე.

ჯერ კიდევ ძველმა კელტებმა აღმოაჩინეს ამ რეგიონის წიაღში ქვანახშირადქცეული, გაქვავებული მზიური ენერგია. აქ ოდითგან ხდებოდა ქვანახშირის მოპოვება, მაგრამ... დარგს 70-იანი წლების დამლევიდან დაუძლეველ ზღუდედ გადაეღობა „უპერსპექტივო საწარმოების“ დახურვის კონსერვატიული ფილოსოფია.

როგორც კი ჩრდილოეთის ზღვის აქაური ნავთობგაზის საკუქნაოს ექსპლუატაცია დაიწყო, მისმა უდიდებულესობამ — ბიზნესმა სწორედ აქ გადმოიტანა თავისი ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო ძალისხმევის ცენტრი, მაგრამ, ვაი, რომ, ამან დააჩქარა ქვეყნის ტრადიციული ქვანახშირის მრეწველობის დაქვეითება. მარგარეტ ტეტჩერმა — საბაზრო ეკონომიკის ულტრამომხრემ — იცოდა საშახტო კრიზისის მხოლოდ ერთი რეცეპტი: ტოტალური პრივატიზაცია, ანუ საწარმოებისა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების რიცხვის უმოწყალო შემცირება.

მაღაროელები არტურ სკარგილის მეთაურობით საბრძოლველად აღდგნენ — მათ წინააღმდეგ გამოიყენა „რკინის ლედიმ“ ყველა ის საშუალება, რომლებიც ხელთ ჰქონდა, სანქციებით დაწყებული და ცხენოსანი პოლიციით დამთავრებული. უკვე ჯონ მეიჯორის მმართველობისას, რომელმაც ტეტჩერი შეცვალა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, დახურვის დრო მოუვიდა სამხრეთ უელსის ყველაზე ღრმა ანთრაციტის შახტს. მას უწოდებენ „ტაუერს“, ანუ „კოშკს“, და ეს შემთხვევითი არ არის: 1831 წელს ცნობილი მაღაროელთა ამბოხების დროს აქაური სანგრეველების უფროსმა, ვინმე კროშეიმ, თავისთვის და მთელი თავისი ოჯახისათვის აამშენებინა ქვის კოშკი, რათა პროლეტართა მოტევებისაგან ცხრაკლიტულში დაეცვა თავი. ხოლო 1994 წლის აპრილში, როდესაც „ბრიტიშ კოულმა“ გულგრილად გამოაცხადა, „კოშკი“ იხურება, როგორც ნაკლებრენტაბელური საწარმო. ხალხი მიხვდა: აქ ვერავითარი შეტევები ვერ გაჭრის. იმისათვის, რომ გასძლო ადამიანურ პირობებში, თვითონ უნდა მოეკიდო ხელი წარმოებას და განაწილებას — შექმნა რაღაც კომუნის მსგავსი. მაშინ ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მუშათა ექსპერიმენტი ასეთი წარმატებული გამოდგებოდა და საწარმოს ტერიტორიაზე შეიქმნებოდა საგანგებო მუზეუმი — ექსპოზიცია „14 დღე, რომლებმაც შეძრეს ბრიტანეთი“. ხოლო დღეს, ამ სტენდებთან, მე ვიწერ ბრიტანეთის ყველაზე უჩვეულო კომპანიის თავმჯდომარისა და დირექტორის ტაირონ ო' სალივანის — ბრგე და უაღრესად სანდომიანი კაცის ნაამბობს.

— 14 დღე, რომლებზეც ამდენი ლაპარაკი იყო, მთლიანად მოხმარდა იმას, რომ მთავრობისაგან მიგველო უფლება „[illegible]“ შახტისათვის ჩვენი კონტროლი დაგვეწესებინა, — თქვა ო' სალივანმა. — არადა, მართლაც ბობოქარი დრო იყო, პეტიციები, ცხარე კამათი, საპროტესტო მარშები... იძულებული გავხდით, შეგვეხსენებინა დარგობრივი სამინისტროსათვის, რომ არც ისეთი „ზარალიანი“ იყო ჩვენი 300-მეტრიანი ჭაბურღილი, და დახურვის წინ მოგებაც კი დაგვეგროვდა — მილიონ-ნახევარი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. მაგრამ მოხელენი წინააღმდეგი იყვნენ. მეშახტეებმა მუშაობა იციან, ვერ წაართმევ, მაგრამ ვიღაც „კოშკსაც“ ხომ უნდა ფლობდეს. „ჰოდა, ჩვენ ვიქნებით მფლობელები“, — ვუპასუხეთ მოხელეებს. „კი მაგრამ, რა სახსრებით აპირებთ ობიექტის შეძენას, გაითვალისწინეთ: თქვენი კოლექტივის გარდა კიდევ ბევრი მსურველია“. მსურველები, რა თქმა უნდა, იყვნენ — შეძლებული კერძო პირები, საქმოსნები, რომლებიც ტენდერული კონკურსის მოგების შემთხვევაში ჩვენ ცხრა პირ ტყავს გაგვაძრობდნენ: „კოშკზე“ „ბრიტიშ კოულმა“ [illegible] თქვა და ახლა ჩვენგან ვერც [illegible] მოელით და ვერც, [illegible] განსაკუთრებულ [illegible] გარანტიებს.

მაგრამ, საბოლოოდ, გაიმარჯვეს არა შემთხვევითმა კერძო პირებმა, არამედ თვით მაღაროელთა კოლექტივმა: 239 მეშახტემ და მომსახურე-ადმინისტრაციული პერსონალის თანამშრომელმა. მათ მტკიცედ აღუთქვეს მთავრობას: შახტის 10-მილიონიან ღირებულებას გავისტუმრებთ, თუმცა, არა ერთბაშად, მაგრამ ნაღდად — ნამუსიანი შრომის გზით. იმისათვის, რომ ახლად შექმნილი კომპანია ფეხზე დაგვეყენებინა, თითოეულმა ჩვენგანმა გაიღო და საერთო ფონდში შეიტანა სოლიდური თანხა — 8000 გირვანქა სტერლინგი. ასეთი ფული, რა თქმა უნდა, ბევრს არ ჰქონდა, მაგრამ ო' სალივანი და მისი თანამოსაგრენი გრძელვადიან კრედიტებზე შეუთანხმდნენ კოოპერაციულ ბანკს. სწორედ იმ ბანკს, მანჩესტერის მუშათა უბნებში რომ შეიქმნა ჯერ კიდევ საუკუნე-ნახევრის წინათ — „უცნაური ფაბრიკანტისა და უქონელთა მეგობრის“ ფრიდრიხ ენგელსის დროს.

ამრიგად, „კოშკის“ ყოველი მშრომელი გახდა აქციონერი, რომლის ხელფასიდანაც კოოპერაციული ბანკი სისტემატურად გადარიცხავს თავის ანგარიშზე სახსრებს დავალიანების დასაფარავად. მაგრამ შეიძლება აქციების დაქსაქსვა ან გაყიდვა? არა, არ შეიძლება, ისევე, როგორც არ შეიძლება მათი ყიდვა ამხანაგებისაგან, ანდა აქციების თან წაღება, პენსიაზე რომ გახვალ. თუკი აღარ მუშაობ — დაუბრუნე ამ 8000 გირვანქის შენი ფასიანი ქაღალდები კოლექტივს. ყველა ეს საწესდებო ნორმა წყდებოდა საერთო კრებებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში მიტინგებიდან გადაიქცა არა მარტო საწარმოო, არამედ აგრეთვე სოციალური პროცესების სახალხო თვითმმართველობის ეფექტიანად მოქმედ ორგანოებად.

— როდესაც ასე მოვაგვარეთ საკუთრებითი ურთიერთობა, ჩვენ საზეიმოდ გავიხსენით „კოშკი“ თვისებრივად ახალ, ამჯერად უკვე მუშურ საფუძველზე 1995 წლის იანვარში და მივიღეთ სათბობ-ენერგეტიკულ ბაზარზე ყოველწლიური კვოტა — 560 ათასი ტონა ანთრაციტი. თითქოს არ არის ურიგო მაჩვენებელი 239 კაცისათვის, არა? პრინციპულად, ჩვენ ზოგჯერ ვიღებთ გაცილებით მეტს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის გამართლებული. ყოველ ტონა ქვანახშირში გვეძლევა 30-30 გირვანქა, ხოლო ზამთრის თვეებში უფრო მეტიც. თუ პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა, გვეძლევენ 60-80 გირვანქა სტერლინგს. შუამავლებს რომ არ [illegible], ჩვენ შევისყიდით ეგრეთ წოდებული ნახშირის [illegible] მთელ არემარეში და თვითონ ვუგზავნით სათბობს მომხმარებლებს. შარშან [illegible]ულობით მიღებული გადასახადების საფუძველზე 1.3 მილიონი გირვანქა მოვახმარეთ მოწყობილობის ნაწილის გამოცვლასა და რემონტს, მაგრამ მაინც მივიღეთ ორი მილიონი მოგება. ახლა მოველით უფრო მეტს — 4 მილიონს.

— რის ხარჯზე?

— თუნდაც იმის ხარჯზე, რომ ჩვენ ყველანი საკუთარ თავზე ვმუშაობთ. ეს კი ნიშნავს, რომ ვმუშაობთ ნამუსიანად, დაძაბულად, ნამდვილად. ჩვენში არ არის ლოთობა, არ არის ქურდობა, ინსტრუმენტების მოპარვა, მოწყობილობის გაფუჭება, გულგრილობა თუ სხვა ანტისოციალური მოვლენები.

— მაგრამ, მეორე მხრივ, თქვენ, ისევე როგორც ყველა სხვა საწარმომ, უნდა, გაისტუმროთ გადასახადი, აუნაზღაუროთ წარმოების მუშაკებს საავადმყოფო ფურცლები, — შევახსენე თანამოსაუბრეს. — თქვენ პენსიაზეც კი უშვებთ 50 წლის მეშახტეებს, ეს უფრო ნაკლებია, ვიდრე მთლიანად დარგში. არადა, ამას ხომ არ ეყოფა ხელფასიდან დაქვითული პროცენტები — საჭიროა კიდევ სპეციალური ფონდიც. საკითხავია, როგორღა აღწევთ მაღალ რენტაბელურობას?

— ვთქვით და კვლავ გავიმეორებ: ჩვენ ვერ გვისწავლია კოლექტიური საკუთრების, [illegible] შრომის, მისი ამხანაგური ატმოსფეროს უპირატესობის ყადრი. რატომ არ გინდათ გაიგოთ, რომ ჩვენთან „კოშკში“, არა გვაქვს უზარმაზარი ხარჯები ბიუროკრატიისათვის. კერძო მფლობელებს, რომლებიც საკუთარი თავის გარდა არავის ენდობიან, მაინც ჰყავთ დიდხელფასიანი მეაპარატეები და რამდენიც უნდა ზოგოს დიდმა ბიზნესმა საშტატო განრიგის შემცირებით, ამ ხარჯებს ვერსად გაექცევა. მე კარგად ვიცი მთელი ეს იერარქია, თუნდაც „ბრიტიშ კოულის“ მაგალითით: უამრავი მენეჯერი, მენეჯერთა მოადგილეები, ინჟინრები, ინჟინერთა თანაშემწეები... მათ თავზე კი — შეფები, წამდაუწუმ რომ დადიან ხან მონტე-კარლოში, ხანაც შვეიცარიის სამთო-სათხილამურო კურორტებზე. ჩვენ ასეთ ფუფუნებაზე ფულს არ ვხარჯავთ, თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ არ ვისვენებთ. შეღავათები უფრო მეტიც კი გვაქვს, ვიდრე მთლიანად არის ქვეყანაში, თან რიგიანად ვანაზღაურებთ. სხვათა შორის, შახტის ხარჯზე სულ რამდენიმე დღეში ვგზავნით ჩვენს პატარებს საექსკურსიოდ პარიზის დისნეილენდში — ბავშვები დაისვენებენ, გაერთობიან.

...ასეთი შინაარსიანი ცხოვრებით ცხოვრობს „კოშკი“ — მსოფლიოს ერთადერთი შახტი, რომელიც მუშათა საკუთრებაა და მუშების კონტროლს ექვემდებარება. თანამედროვე კომუნა, რომელზეც ინგლისელი უტოპისტი რობერტ ოუენი მხოლოდ ოცნებობდა, საიმედო დასაქმებით უზრუნველყოფს არა მარტო თავის საკუთარ მუშაკებს, არამედ აგრეთვე 90 „სუბკონტრაქტს“ და 20 მომიჯნავეს მოპოვებული ქვანახშირის რეცხვისა და ფილტრაციის სამუშაოებზე. არადა, ამ ადამიანთაგან თითოეული არჩენს ან არაპირდაპირ ინახავს კიდევ ხუთ კაცს! გარდა ამისა, „უელსელ მეოცნებეთა“ კოლექტივი ცდილობს ლითონკონსტრუქციებისა და პლასტმასების, კომპიუტერებისა და სამშენებლო მასალების. აი, რა არის სამხრეთ უელსისათვის ო' სალივანისა და მისი ამხანაგების „სოციალისტური ექსპერიმენტი“.

— ამ შახტში დაიღუპა პაპაჩემი, — მეუბნება კომპანიის თავმჯდომარე, — სხვა ავარიის მსხვერპლნი გახდნენ ძმა და მამაჩემი. მუშური სამართლიანობის, მაღაროელის ხელობისადმი [illegible] მიდგომის ჩემეული შეგნების გაცნობიერებამდე, როგორც ხედავთ, [illegible] მივედი... მე თავგამოდებული სოციალისტი ვარ და ვამაყობ ამით.

პაველ ბოგომოლოვი.
კარდიფი-ლონდონი.

„მოსკოვში ჭირია, მიხაკისფერი ჭირი“

„რუსთა ეროვნული ერთობა“ ნაციონალ-სოციალიზმის მომხრეა.“ (გაზეთიდან „რუსკი სტიაგ“).

გასულ კვირას მოსკოვის საქალაქო სათათბირომ პირველი წაკითხვით მიიღო კანონი „ქ. მოსკოვის ტერიტორიაზე ნაცისტური სიმბოლიკის დამზადების, გავრცელებისა და დემონსტრაციისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

კანონი უდავოდ კარგია. ახლა მან უნდა გაიაროს მეორე წაკითხვა, რის შემდეგაც ხელმოსაწერად გადაეცემა ქალაქის მერს იური ლუჟკოვს. მაგრამ პირველმა წაკითხვამაც მნიშვნელოვანი სიძნელენი გამოიწვია.

განხილვისას იგრძნობოდა ერთგვარი სკანდალურობა, ეს იყო დეპუტატთა ცდები, ჩაეშალათ კანონის მიღება. ზოგმა — იმ საბაბით, რომ „მოსკოველი ფაშისტები არ წარმოადგენენ სერიოზულ ძალას, ესენი არიან დაკომპლექსებული ადამიანები“, ერთი სიტყვით, ჩიტი ბრდღვნად არ ღირსო. ხოლო ზოგმა მიზეზად ის მოიყვანა, რომ მოსკოვში ფაშიზმის პრობლემა საერთოდ არ დგას.

ამასობაში კი მოსკოვში 20-ათასიანი ტირაჟით ვრცელდება გაზეთი „შტურმოვიკი“, გამოდის აგრეთვე რუსთა ეროვნული ერთობის ორგანო „რუსკი სტიაგი“ და დღეს სწორედ ამ გაზეთებში დაბეჭდილ ფოტოებს ვაქვეყნებთ.



რევოლუცია მოხდება!
(პლაკატი გაზეთიდან „შტურმოვიკ“)

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების — OMRI-სა და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

სანთელი

მისი მშვენიერების სამყარო

მუსიკისმცოდნე, [illegible], ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ქალბატონი მირა ფიჩხაძე კარგად იყო ცნობილი ჩვენს საზოგადოებრიობაში. წლების მანძილზე ის იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების გამგეობათა წევრი, მრავალი თეატრის სამხატვრო საბჭოში, დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელით, ხშირად გამოდიოდა პრესაში. წერდა წერილებს ჩვენს მუსიკალურ და თეატრალურ ცხოვრებაზე. მას მრავალი საინტერესო სამეცნიერო შრომა ეკუთვნის მუსიკისმცოდნეობის სფეროში. მათ შორის — „საქართველოს სახელმწიფო ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი", „საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი", „ამერიკა, მოგონებები", „ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი", მონოგრაფია „ვიქტორ დოლიძე", „სულხან ცინცაძის მრავალფეროვანი სამყარო" და ბევრი სხვა. ყველა ეს შრომა, წერილები ყოველდღიურ პრესაში ცოცხალ გამოხმაურებას პოულობდა სპეციალისტთა შეფასებებში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი წიგნი ქართულ მუსიკალური კომედიის თეატრზე, რომელიც გაგრძელებას ელის. აქ განხილულია თეატრის გზა 1926-1977 წლებში. ავტორის მუსიკა და ღრმა ანალიზი, მისი პროფესიული ხედვა საფუძველს გვაძლევს, რომ ამ შრომას ძალზე მაღალი შეფასება მივცეთ.

მირა ფიჩხაძეს უყვარდა თავისი პროფესია, მისი ერთგული იყო. მკვლევარის ეს თვისება ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. როგორც მუსიკისმცოდნე, ის მკაცრი და სამართლიანი იყო თავისი საქმის, ხელოვნების სიყვარულით, იმ ადამიანების სიყვარულით, რომლებიც მუსიკის სამყაროში ქმნიდნენ, ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ. დიახ, სწორედ მუსიკაში გაატარა [illegible] ნა იგი ამ სამყაროში. ქალბატონი მირა ელოდა მათ, კარს თავის სამყაროში, ცხოვრობდა მათი ცხოვრებით, სწავლობდა მათ შემოქმედებას, ხედავდა მათ თავისი ცოდნის, სიყვარულისა და ერთგულების. საზოგადოდ, როგორც მკვლევარი და პედაგოგი მირა ფიჩხაძე ქართული მუსიკისმცოდნეობის იმ ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი იყო, რომელთა შექმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მისმა მასწავლებლებმა, გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა პავლე ხუჭუაშვილმა, გრიგოლ ჩხიკვაძემ, შალვა ასლანიშვილმა, ლადო დონ[illegible] ნაძის, ჟურნალის თანამშრომლების შესანიშნავად ახსოვთ ქ-ნ მირას საჯარო ლექციები, რომელთა ერთ-ერთი ინიციატორიც ის თვითონ იყო თავის საყვარელ პედაგოგთან, პროფესორ პავლე ხუჭუაშვილთან ერთად.

მირა ფიჩხაძე არაორდინარული ადამიანი გახლდათ. ეს არაორდინარულობა არა მარტო წიგნებსა და სამეცნიერო შრომებში, მუსიკალური თეატრის სპეციფიკის ფართო გამოკვლევებში ჩანდა და ვლინდებოდა, არამედ მის პიროვნებაშიც. მირა იყო იშვიათი წესიერების ადამიანი — პატიოსანი, ალბათ მას პასუხისმგებლობის გრძნობით. მის საყვარელს, გასაოცარი ნათელი და მე[illegible] ემოციური მაქსიმალიზმი ახასიათებდა.

წლების მანძილზე, 1973 წლიდან მირა ფიჩხაძე ჩვენს გვერდით მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მუსიკალური თეატრის კათედრაზე, კითხულობდა ლექციებს მუსიკის ისტორიისა და თეორიის დარგში. ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი მუდამ საქმიანი და სერიოზული, მუდამ ყურადღებიანი და მოუსვენარი იყო — ხელს უწყობდა ყველას, ვინც მისგან დახმარებას და რჩევას ელოდა. დაპირებას ყოველთვის ასრულებდა. მართალი გითხრათ, იშვიათად შემხვედრია ასეთი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი, ვისთვისაც სიტყვა და საქმე პირველ ადგილზე იყო. მისი მაგალითი, [illegible] ლექციები, სტუდენტებთან, რომელთათვისაც იგი ყოველთვის ემზადებოდა დიდი პასუხისმგებლობით და სამეცნიერო გათვალისწინებით. სტუდენტებს უყვარდათ მისი ლექციები და დიდ პატივს სცემდნენ მას. ლექციებზე მუდამ შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. აქ არ ჰქონდა ადგილი მასალის [illegible] ან მშრალ [illegible]. პედაგოგი თავისი ცოდნის [illegible], რომელიც კონკრეტულად იმ აუდიტორიის მსმენელს სჭირდებოდა, რომელთანაც მას იმჟამად ჰქონდა საქმე და მათი დონეს შეესაბამებოდა. პედაგოგიური პროფესიის ეს იშვიათი მაგალითი მისი ერთ-ერთი საუკეთესო თვისება იყო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მირა ფიჩხაძის მოღვაწეობა თეატრალური ინსტიტუტის თეატრის, მუსიკისა და კინოს სამეცნიერო-კვლევით სექტორში. ამ წლების მანძილზე მირა სექტორის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი იყო. სხვა საკითხებთან ერთად უკანასკნელი წლების მანძილზე ის ამუშავებდა ქართული თეატრალური ხელოვნებისთვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან და ნაკლებად შესწავლილ თემას, როგორიცაა მუსიკა კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლებში. და რაოდენ სამწუხაროა, რომ მრავალ სხვა სერიოზულ გამოკვლევებთან ერთად მას არც ამ ფუნდამენტური ნაშრომის ბოლომდე მიყვანა დასცალდა.

მუსიკისმცოდნე მირა ფიჩხაძე არ იყო შეზღუდული თავის შემოქმედებაში. მისი პროფესიული ინტერესები ფართო და მრავალმხრივი იყო. უნაკლოა მისი ანალიზის უნარი, შემოქმედებითი ხედვა, შეფასებების სიზუსტე. და განა სწორედ ეს თვისებები არ ახასიათებს მკვლევარის დონეს?

დღეს, როცა მირა ფიჩხაძეს ე. წ. „მრგვალი თარიღი" უსრულდება, ჩვენ, მისი კოლეგები, მეგობრები, ამხანაგები ხინანით, ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით ვიგონებთ ჩვენს მეგობარს, შესანიშნავ მკვლევარს, მეცნიერსა და პედაგოგს, მშვენიერ, მიმანდასახულ, საოცრად კეთილ ადამიანს, ნამდვილ ინტელიგენტს, რომლის ხსოვნაც მუდამ ჩვენთან იქნება.

მინდა მივმართო მის კოლეგებს — მუსიკათმცოდნეებს თხოვნით, რომელიც ეხება მის წიგნს „ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი". ეს წიგნი გაგრძელებას ელის. აქ განხილულია თეატრის გზა 1926-1977 წლებში. წიგნის ბოლოში ავტორი რწმენას გამოთქვამს, რომ მომავალი მკვლევრები გააგრძელებენ მის ძიებებს ამ გზაზე.

დაე იყოს ასე!

თავის კაპიტალურ შრომას ჩვენს დაუვიწყარ, საყვარელ მეგობარ სულხან ცინცაძეზე მირა იწყებს ასეთი სიტყვებით: „ეს არის წიგნი კომპოზიტორზე, რომელიც გატაცებულია (მაშინ სულხან ცინცაძე ცოცხალი იყო — ე. გ.) შემოქმედების უსაზღვრო წყურვილით, მხატვარზე, რომლის შემოქმედებითი ამოცანა ჯერაც [illegible] რომანტიკოსზე, რომელმაც თავისი მშვენიერების სამყარო შექმნა".

შესანიშნავი სიტყვებია! ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები მირა ფიჩხაძესაც შეეფერება.

ეთერ გუგუშვილი.

გახსენება

კონსტანტინე გურგენიძე —

უსაზღვრო სულის მესაზღვრე

მისი სული სავსე იყო [illegible] სიყვარულით და ზეციურ საქართველოს სიყვარულით. პროფესიით [illegible] სიყვარულისა და სიკეთეში ზღვარი არ იცოდა. ყველასათვის მიმნდობი და ყურადღებიანი [illegible] პატივისცემა და საქმის სიყვარული, თავმდაბლობა და გულისხმიერება. [illegible] და ახლობლებისათვის თავდადება [illegible] მისი ყველაზე დიდი მოთხოვნილება. [illegible] იყო [illegible] ყველა საქციელს, რაც მას [illegible] განსაკუთრებით, ბოლო წლებში, სამხედრო [illegible], რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ კაცს [illegible] თავისი პროფესიონალური წრე და ახლობლები, ხშირად სხვადასხვა [illegible] დიდი გამარჯვებით. [illegible] და მუსიკა [illegible] მისი [illegible] არაერთხელ გამოქვეყნებულა სხვადასხვა გაზეთში მისი მაღალ-ხარისხოვანი წარმატებების შესახებ.

მაგრამ ძალიან ახლობლების გარდა არავინ იცოდა, რომ კონსტანტინე გურგენიძე ძალზე საინტერესო თვითნასწავლი მხატვარიც იყო. ამის მაგალითად ეს ერთი ნამუშევარიც კმარა, რომელიც მკითხველს ვთავაზობთ.



ღირსეულ კაცს ცოლიც ღირსეული ჰყავდა. მეუღლე — ხვთისო მარგველაშვილი საქართველოს დამსახურებული ექიმი და შრომის ვეტერანია, მუდამ მომართული და სამართლიანობისათვის მებრძოლი. მათი ვაჟი — ამირან გურგენიძე არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პირველი სამშობიარო სახლის ექოსკოპიის კაბინეტის გამგე, ერუდირებული და გულისხმიერი ექიმი. და ამ ოჯახს ჰყავს მშვენიერი შვილიშვილი, მომხიბლავი და ნიჭიერი გოგონა — ლილიანა გურგენიძე, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება კეთილი პაპის მადლი.

ვერის სასაფლაოს კიდევ ერთი საფლავი მიემატა. საფლავი, რომელიც შემოისაზღვრება მესაზღვრე კაცის უსაზღვრო სულით.

მზია ხეთაგური.

გამოიწერეთ გაზეთი „სიტყვა ქართული"!

მოგმართავთ ყველას, ვისაც პატივს სცემს „სიტყვა ქართულის" ავტორებს, სარედაქციო კოლეგიის წევრებს, ვისაც სჯერა ჩვენი და ძალუძს ხელი შეუწყოს [illegible] საზოგადოებრივ-ლიტერატურული გაზეთის, [illegible] „მშობლიური [illegible]" და „სიტყვა ქართული".

ხელმოწერის ფასი გაზეთზე ხელმოწერა 1997 წლისათვის: ექვსი თვით — 6 ლარი, წლიურად — 12 ლარი.

გაზეთის გამომცემლები არიან საქართველოს საბავშვო ფონდი და ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირი.

ძვირფასო მეგობრებო!

გახსოვდეთ, 1996 წლის ნოემბრის თვის ბოლომდე მიმართეთ საქართველოს საბავშვო ფონდის სამმართველოს, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, რომლებიც [illegible] გაუწევენ [illegible] ფოსტასთან — „საქპრესის" წარმომადგენლებთან.

უღრმესად დავალებული ვიქნებით ყველა მოღვაწისაგან, ვინც ამ ძნელბედობის ჟამს ხელს შეუწყობს „სიტყვა ქართულს" და თავისი ხარჯით გამოიწერს მას [illegible] სკოლებს, მასწავლებლებს, [illegible] კულტურის მუშაკებს, [illegible] შემდეგი მისამართით: თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა № 8, ტელეფონი 98-72-90.

მერწმუნეთ: გაზეთი მკითხველს მრავალ ისეთ საინტერესო მასალას მიაწვდის, რასაც სხვა პერიოდულ გამოცემებში ვერ იპოვის.

წინასწარ მოგახსენებთ გულითად მადლობას ამ კეთილ საქმეში თანადგომისათვის.

ხუტა ბერულავა,
საქართველოს საბავშვო ფონდის თავმჯდომარე,
გაზეთ „სიტყვა ქართულის" მთავარი რედაქტორი.

გახსენება



დათო არჯევანიძე

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ყველასათვის შენი დაღუპვა, დათო, სიცოცხლით სავსე, ცოლშვილზე უზომოდ შეყვარებული ჩქარობდი კეთილი საქმეები გეკეთებინა.

23 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. [illegible] წელი შეგისრულდებოდა. 4 წელია, რაც შენი სული მარადისობაში გადასახლდა, მაგრამ დრომ ვერ გაანელა შენთან განშორების სიმწარე. ყველას დააკლდი, დააკლდი შენს დაიკო ნინოს, შენს ახალ შექმნილ ოჯახს და დიდ სიხარულს შენსას – ჯებას, რომელსაც, რაც დრო გადის, სულ უფრო სჭირდები და ენატრები. ვევედრებით უფალ ღმერთს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უკვდავი სული, დათო!

დედა მელიკო, მეუღლე ეკა.

სოსო ლომთაძე

უკვე ერთი წელია, რაც ჩვენს შორის აღარ არის სოსო ლომთაძე, სპეტაკი, მეუღლის, ოჯახის და ყველა ნაცნობის მოყვარული ადამიანი. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის აქტიური წევრი, გლდანის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. მოულოდნელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ დაასრულა მისი ხანმოკლე სიცოცხლე. მისი სული ამაღლდა ზეციურ საქართველოში.

უფალო, ნათელში ამყოფე ჩვენი სოსო!

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის
თბილისის საქალაქო ორგანიზაცია.

გახსენება

„შაქრო" (ინდიკო) გადელია

ამ რვა წლის წინათ სენაკში, უფრო სწორ ნოქალაქევში, დიდი სახალხო დღესასწაული – რისობა გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ დღ დანვე გადაუღებლად წვიმდა, ეგრისის ღედაქალა ქის ქუჩები და მოედნები, სანახაობის მთავარი ა ნა, ხალხით იყო გაჭედილი. ეგრისობას სრულ საქართველო ზეიმობდა. საპატიო სტუმრებს რის იტალიელებიც იყვნენ – ერთი უმშვენიერე ქალაქის მერი თანმხლები პირებით.

საღამოს ზეიმმა, ტრადიციულად, სენაკელთა ოჯახებში გადაინაცვლ ყველაზე რჩეულ და უცხო სტუმართა მიღების პატივი ინდიკო გადელ ოჯახს ხვდა წილად. იცოდნენ რაიონში: ამ ოჯახში ყველაფერი – კერ ბიდან დაწყებული მომსახურებით დამთავრებული, უზადო, დახვეწ იქნებოდა. ამბობენ, ჩვენი უცხოელი მეგობრები გადელიების ოჯახში ტარებულ იმ საღამოს დღესაც დიდი კმაყოფილებით იგონებენო.

დიახ, იყო ასეთი კაცი სენაკში – ინდიკო (შაქრო) გადელია, კეთილ ბილი, სტუმართმოყვარე, ქალაქს რომ ამშვენებდა, მთელი თავისი ერება ფუტკარივით შრომაში რომ გაატარა. შრომის მადლი და სიყვარ ლი კი ბავშვობიდან დაჰყვა თან – იულონ გადელიას დიდ ოჯახში, სა რვა და-ძმა იზრდებოდა, უშრომელ ლუკმას ვერავინ შეირგებდა. ამი მაც იყო, რომ სადაც კი იმუშავა, იმსახურა, ყველგან სიყვარული, პატ სცემა, ნამუსიანი კაცის სახელი დატოვა, თუმცა არა მარტო სახელი, დებული შვილებიც – დღეს სოსო გადელია სენაკში ერთ-ერთი ალია ბული პიროვნებაა და ღირსეულად აგრძელებს მამის ტრადიციებს.

უკვე ერთი წელია ჩვენს შორის აღარ არის ბატონი ინდიკო. მა უკურნებელმა სენმა უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე. იგი ხომ ჯერ დევ ჭარმაგი, სულ ორმოცდაჩვიდმეტისა წავიდა. როგორც იტყვიან, უნდოდა მას სიცოცხლე – ოჯახში, საყვარელ დედასთან, ცოლშვილ და-ძმებში, მეგობრებში ყოფნა და გახარება.

მადლიერი სენაკელები მუდამ კეთილად მოიგონებენ ინდიკო გადე ას ნაამაგარს, მის ნათელ სახეს.

მეგობრ

ბინები, აგარაკები

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ სარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება ზედა წყნეთში ხუთოთახიანი გარემონტებული ბინა, 400 კვ. მ. ხეხილის ბაღით. დარეკეთ დღის საათებში 93-66-63, საღამოს 37-26-33.

იყიდება სამოთახიანი, გარემონტებული ბინა, 30 კვ. მ. მიშენებით, სარდაფით; საერთო ფართი—77 კვ. მ. მისამართი: თემქის დასახლება, მე-9 კვარტალი, მე-18 კორპუსი, III სად. მე-4 სართული, ბინა 40. ტ. 60-85-27, ნუნუ. ფასი შეთანხმებით. ან იცვლება ორ თითო-თითო ოთახიანზე.

ვცვლი ან ვყიდი სამოთახიან ბინას, რომელიც ცხრასართულიანი სახლის მეორე სართულზეა. აქვს დიდი ლოჯია და ჰოლი. ტელ. 29-10-61.

ვაქირავებ ოროთახიან ბინას პუშკინის ქუჩაზე (თავისუფლების მოედანზე) ფასი შეთანხმებით. 38-57-38.

ვაქირავებ ერთ ოთახს ოროთახიან ბინაში, გრიბოედოვის 14-ში, ავეჯით, ტელ: 99-78-11, ილია.

იყიდება ერთოთახიანი ბინა „სამედიცინო ინსტიტუტთან". ბინა არის 8-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ღია აივნით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-82-60.

იყიდება კარგარეთელის ქუჩაზე, ოთხოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ. მ. აქვს სათავსოები, ორი სარდაფი, მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95-72-31.

ვყიდი ერთოთახიან ბინას მუხიანის სამხედრო დასახლებაში. ბინა არის ხუთსართულიანი სახლის მე-3 სართულზე, კერძო ბინაა. გარემონტებულია, აქვს აივანი. ტელ. 99-75-51, ირმა.

ვაქირავებ ან ვყიდი სამოთახიან მაღალჭერიან ბინას საერთო ფართით 128 კვ. მ. ხუთსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ბინა არის საბურთალოს ცენტრში. მეტრო „პოლიტექნიკურთან", იპოლიტე ხვიჩიას ქ. № 38 (ყოფ. წითელი პარტიზანები), ბინას აქვს სარდაფი, გარაჟი, ტელეფონი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-31-96, ვერიკო.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მიშენებით 34 კვ. მ. სათავსო ადგილით, ტელეფონით. დარეკეთ: 98-40-29, შალვა.

იყიდება ოთხოთახიანი, ნახევრად გარემონტებული, ჩეხური პროექტის, პრივატიზებული ბინა, ვარკეთილის-3, მეორე მ/რ ცხრასართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 71-91-59.

ქირავდება ოთხოთახიან ბინაში ორი ან სამი ოთახი ტელეფონით. ცხრასართულიანი სახლის მე-9 სართულზე. გლდანის მე-7 მ/რ. ტელ: 71-91-59.

იყიდება გამსახურდიას გამზირზე, ხუთოთახიანი სახლის მე-5 სართულზე, მაღალჭერიანი ბინა საერთო ფართით 90 კვ. მ. ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-46-16.

ვყიდი ოროთახიან, იზოლირებულ, არასტანდარტულ, მაღალჭერიან, სუფთა ბინას 7-სართულიანი აგურის სახლის მე-5 სართულზე. ბინა არის გამსახურდიას გამზირზე, სასტუმრო „აჭარის" პირდაპირ. ბინას აქვს ლოჯია, სარდაფი, ტელეფონი. აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკეა. ფასი შეთანხმებით. ტელ. 36-51-65.

იყიდება მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", ხუთსართულიან სახლში, მე-3 სართულზე, პრივატიზებული და არასტანდარტული, კუთხის სუფთა ოროთახიანი ბინა. ჭერის სიმაღლეა 3 მ. და 20 სმ. ბინას აქვს ლოჯია 23 კვ. მ. მიშენება 33 კვ. მ. აივანი, სარდაფი, ტელეფონი, მუხის პარკეტი, ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-39-41.

ვყიდი თემქის მესამე მიკრორაიონში, სამოთახიან სუფთა ბინას ლოჯიით. აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკეა და კაფელითაა მოპირკეთებული, ხის იატაკით, რომელზეც დაგებულია ნოხები. ბინა მაღალ ბელეტაჟზეა. აქვს მანქანის გასაჩერებელი ადგილი და პატარა ბაღი. ფასი 7.000 დოლარი. ტელ: 98-77-90, 95-09-66.

ქირავდება სასაწყობო მეურნეობისთვის დიდი ფართის შენობა ორხევის დასახლებაში. ტელ. 36-02-41 ან 78-34-72.

სასწრაფოდ იყიდება 1-ოთახიანი, პრივატიზებული ბინა — თემქა, II მიკ. 2 კვ. 25 კორპ. მე-6 სართ. ბ. 41. ბინა სუფთა მდგომარეობაშია. აქვს ღია აივანი და სათავსოები. ბინის ნახვა საღამოს 7 საათის შემდეგ. ბექაური, ტელ: 66-79-19, მაყვალა. ფასი შეთანხმებით.

იყიდება ჩეხური პროექტის 2-ოთახიანი ბინა დიდი დიღმის მე-4 მ/კრ. მე-6 სართულზე. აქვს რკინის კარები. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ტელ. 60-03-09. 51-13-42.

ვყიდი 5-ოთახიან, სუფთა ბინას თავისი სათავსოებით აღმაშენებლის პროსპექტის № 26-ში. ბინა ვარგისია საცხოვრებლადაც და საოფისედაც. აქვს ორი შესასვლელი — სადარბაზოდან და ეზოდან, ასევე სარდაფი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი, ორი ტელეფონი. ფასი 40.000 დოლარი. ტელ. 96-38-89.

იყიდება სასწრაფოდ ოროთახიანი, არასტანდარტული ბინა ვაკეში, კეკელიძის ქ. № 25. საერთო ფართობი 82 კვ. მ. ტელეფონით, დიდი ჰოლით, ლოჯიით, სამზარეულოთი და ორი აივნით. ფასი 35000 ლარი. ტელ. 29-28-10, 31-48-57, 31-63-50, 31-25-05.

იყიდება სასწრაფოდ ოროთახიანი, გარემონტებული, იზოლირებული ბინა ლოჯიით, რკინის კარებით, გამოცვლილი კარ-ფანჯრებით. ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე. აქვს დიდი სარდაფი, მიწის ნაკვეთი 6/15 — შემოღობილია ბადით. ფასი შეთანხმებით. მისამართი: მოსკოვის გამზირი, 44, ბინა 38. ტელეფონი: 98-33-15, 99-75-51. დათო ფეიოცხალავა.

იყიდება სამოთახიანი, ტიპიური პროექტის ბინა, რომელიც ახალი გარემონტებულია. აქვს ტელეფონი, ცხელი წყალი, მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ბინა არის 4-სართულიანი, აგურის შენობის მე-2 სართულზე საბურთალოს ბაზართან, იოსებიძის ქუჩაზე. ტელ. 37-35-00. ფასი 25 ათასი დოლარი.

იყიდება სამოთახიანი, იზოლირებული სუფთა ბინა, რომელსაც აქვს ტელეფონი, სარდაფი, მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-43-50, მზია. მისამართი: ბარნოვის I შესახვევი, № 4.

იყიდება სასწრაფოდ ქ. გორში, ლერმონტოვის ქ. № 16-ში მაღალ ბელეტაჟზე, ახალი აშენებული სახლი ხუთი ოთახით და ეზოთი. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ თბილისში: 35-42-36. თინა ან ზაზა დარახველიძეები.

ქირავდება დიდი ფართის სარდაფი თბილისის ცენტრში. ტელ: 36-02-41 ან 78-34-72.

ამერიკის
საელჩოს
ესაჭიროება დამლაგებელ პერსონალთა ჯგუფი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე:
[illegible]
ა.წ. 25 ნოემბრამდე. არჩევა მოხდება დახურული აუქციონის წესით.

იყიდება მეტრო „წერეთელთან", ორსართულიან კაპიტალურ სახლში, მეორე სართულზე ოროთახიანი იზოლირებული, მაღალჭერიანი, ტელეფონიანი ბინა. საერთო ფართი 32 კვ. მ. აქვს საკუთარი სამზარეულო, ტუალეტი და სარდაფი. შემოსასვლელი სადარბაზოდან. ფასი შეთანხმებით. ტელ: 35-01-69.

იყიდება მეტრო „ისანთან" ახლოს ოროთახნახევრიანი, სუფთა ბინა მოსკოვის პროექტით, ტელეფონით. ტელ: 29-34-20 ან 38-42-56.

იყიდება ან იცვლება ქუთაისიდან სამოთახიანი, ჩეხური ტიპის, პრივატიზებული ბინა თბილისში ერთოთახიანზე, ცენტრალურ ადგილას. ტელ. 34-22-59 ან 99-79-89, თამრიკო.

ვყიდი სამოთახიან ბინას დიდუბეში ნახევრად მიშენებული ლოჯიით, ბუხრით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34-52-41.

ვაქირავებ ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას დიდ დიღომში. ფასი 50 დოლარი. 29-13-14.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა ბარნოვის ქუჩაზე, მაღალ ბელეტაჟზე, ბინის ფართია 21 კვ.მ.+ 8. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-48.

იყიდება სამოთახიანი, მაღალჭერიანი, ახლადგარემონტებული, არატიპიური პროექტის ბინა ხუთსართულიანი აგურის შენობის მე-3 სართულზე ტელეფონით, სარდაფით, გარაჟით, მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-64-87; 37-18-23.

ვყიდი ოროთახიან, იზოლირებულ ბინას მეტრო წერეთელთან ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ფასი შეთანხმებით ტელ.: 35-01-69.

იყიდება გლდანში, თანამედროვე სტილის 3-სართულიანი სახლი, 600 კვ. მ. ფართის ხეხილიანი ბაღით, ფასი შეთანხმებით. 66-82-41; 23-16-15, მანანა.

სასწრაფოდ იყიდება ლოტკინზე სანერგე მეურნეობაში ერთოთახიანი ბინა, თავისი დიდი ნაკვეთით. ბინა სუფთა მდგომარეობაშია. აქვს სარდაფი და აივანი. 5-სართულიანის I-სადარბაზო მე-4 სართული. ნახვა შეიძლება ნებისმიერ დროს. ფასი შეთანხმებით. ბექაური ნათელა. ტელ: 66-79-19. მაყვალა.

იყიდება ოთხოთახიანი და ერთოთახიანი ბინები მე-16 და მე-17 სართულებზე. ოთხოთახიანი ბინის ფართია 110 კვ. მ. ყველა ოთახი იზოლირებულია, აქვს ორი სველი წერტილი, ორი აივანი, კაპიტალური ავტოფარეხი, სარდაფი და საშრობი. საჭიროებს კოსმეტიკურ შეკეთებას. ერთი ოთახი, რომლის ფართობია 40 კვ. მ. ბინის თავზეა. შესაძლებელია შიდა კიბის გაკეთება. მუშაობს ოთხი ლიფტი. ბინა გადაჰყურებს ბავშვთა ქალაქ „მზიურს". საწყისი ფასი 35000 დოლარია. ტელ: 36-11-66, 93-89-53.

იყიდება ბორჯომში 7-ოთახიანი, სუფთა, კერძო ბინა ბელეტაჟზე, დიდი ეზოთი, სათავსოებით, ხეხილის ბაღით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. თბილისში: 36-36-62, ბორჯომში: 2-25-15.

იცვლება წნორიდან მეორე სართულის ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა ლოჯიით, ტელეფონით, მიწის ნაკვეთით, ხეხილის ბაღით, თბილისში ერთოთახიან ბინაზე. ტელ. 37-79-45, გელა.

იყიდება ოროთახიანი, პრივატიზებული, მაღალჭერიანი ბინა მეორე სართულზე ლოჯიით, აივნით, ორი სარდაფით, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ნაძალადევის რაიონში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-11-03.

ვაქირავებ ორსართულიან სახლს გარაჟით უცხოელებზე. ტელ: 23-12-95. ლია მაისურაძე. ფასი შეთანხმებით.

სხვადასხვა

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით — ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი. საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-66-61, 37-06-96.

ფირმა იღებს შეკვეთებს დიდი რაოდენობით (200-300 ფურცელზე მეტი) ქსეროასლების გადაღებაზე, შეღავათიან ფასებში როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ისე გადარიცხვით. მაღალხარისხიანი და სწრაფი მომსახურება გარანტირებულია. მსხვილი შეკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე მისვლით მომსახურება. მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას 14, გამომცემლობა „სამშობლოს" პირველ სართულზე მდებარე წიგნის მაღაზია. ტელ: 99-93-03; 34-35-96.

იყიდება 4 ტონა და 100 კგ. დაფნა 50 გრამად დაფასოებული ცელოფანის პარკებში. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ დღის საათებში: 93-37-00, საღამოს: 36-04-41.

იყიდება ნახევრად რბილი ჩეხური ექვსი სკამი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-68-42.

იყიდება ფინური კაკლის რბილი ავეჯი — ხუთეული და ორი ბრინჯაოს ჭაღი თავისი ორი ბრით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50.

იყიდება სასწრაფოდ ჩეხური საძინებელი — ფასი 600 ლარი, „სერვანდი-ვიტრინა" — 120 ლარი, ჩეხური მაგიდა 6 რბილი სკამით — 300 ლარი, სარეცხი მანქანა „ჩაიკა" — 100 ლარი, მაცივარი „დნეპრი" — 200 ლარი, ტელევიზორი „ივერია" თავისი დასადგამით და სტაბილიზატორით — 120 ლარი. ტელ. 37-69-55.

ვყიდი ახალ შეფუთულ გაზის ქურას — ოთხ კამფორიანს, რომელიც თბილისის გამოშვებაა, 1990 წელს. ტელ. 36-78-78, ფასი შეთანხმებით.

იყიდება 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ვენახით სართიჭალაში, სამოსახლო ადგილზე. ტელ. 64-64-39.

იყიდება ძველებური საძინებელი გარნიტური, კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-26-38.

იყიდება რუსეთის გამოშვების საწერი მაგიდა, კარგ მდგომარეობაშია. ფასი 130 ლარი, ასევე პატარა შალის ფარდაგები, 4 ცალი, თითოეულს ფასია 100 ლარი, გერმანული „ზინგერის" მარკის საკერავი მანქანა, კარგ მდგომარეობაშია, ფასი 150 ლარი, 50 ლიტრის ტევადობის მუხის კასრი, რომელიც გამოიყენება ღვინისათვის, ფასი 150 ლარი. ტელ. 51-62-51, 38-26-38.

ვყიდი გაზ 24-02 მარკის ავტომანქანა ფურგონს, რომელიც გამოშვებულია 1985 წელს. ავტომანქანა ახალივითაა. გავლილი აქვს 57 ათასი კილომეტრი, ფასი 4500 დოლარი. დარეკეთ 31-21-71.

იყიდება 6 კვ. მ. ბენზინის გენერატორი, 500 მ^3 წარმადობის დიზელის პორტატული ღუმელი, ს -- 1,5 ლ. საათში. ორივე ა სამხედრო წარმოებისაა. ტელ 28-02, 19 საათის შემდეგ.

იყიდება „ხედგა-2" კარგ მარეობაშია. ტელ: 95-82-29.

იყიდება გერმანული, ნახევრად ბილი სკამები 6 ცალი, ახალი ტონური კედელი „ვეკო-00.3" საშლელი მაგიდა 6 ვენური მტვერსასრუტი „ჩაიკა" 127 ლტზე. ტელ. 93-20-90.

იყიდება ანტიკვარული „კ ფასი 1500 დოლარი. ტელ 64- 39.

იყიდება ნახევრადპროფესიონალური ვიდეოკამერა „პანასონიკ 9000" სუპერ ვჰს-ის ფორმატის, სტერეო ხმით, თან მოჰყვება 4- თიანი სუპერ ვჰს-ის კასეტა — 1500 დოლარის ანგარიშით. ჯერადი დურბინდი — 70 ლარი, ტოაპარატი „ზენიტ-11" — 65 რი. ტელ. 37-13-06, 10-დან 14 თამდე. იკითხეთ დათო, ან დარ 74-54-21.

ავტომანქანებ

ვყიდით ავტომანქანა „ვაზ 2107-ის სათადარიგო ნაწილებს. დ კეთ: 66-40-77, გია, საღამოს 10 ათის შემდეგ.

იყიდება „გაზ 24-10" მარკის ავ ტომანქანა, 1988 წლის გამოშვ თეთრი ფერის, ფასი 5000 დარეკეთ 37-79-89, 37-84-35.

იყიდება იაფად ავტომანქანა „მე რსედესი", 1985 წლის გამოშვ ძარა არის „123" მოდელის, ძ კი „230-ე". ფასი 3000 დოლ ეკვივალენტური ლარი. ტელ: 3 21-98, ნებისმიერ დროს. 30-00- სამუშაო საათებში. ზაური.

იყიდება ავტომანქანა „ჟიგულ 21-06, 011-ის ძრავით. მანქანა წლისაა, კარგ მდგომარეობაში ტელ. 29-04-60, ზურაბი.

იყიდება ტრაქტორი „ბელარუს მტზ-80" მისაბმელით, სიმინდის მზესუმზირის სათესით, ახალი ბურავებით და დამატებითი სა დარიგო ნაწილებით. ფასი შეთან მებით. ტელ.: 66-03-12.

იყიდება სასწრაფოდ ინგლისურ ავტომანქანა „როვერი" გარბენი აქვს 54 ათასი კილომეტრი. მანქ მუქი-მწვანე ფერისაა. ტელ: 99-7 35.

ვაქირავებ „ბუდკა-მოსკვიჩს" ალურ ფასში. ტელ: 35-32-63.

სასწრაფოდ ვყიდი BMW 32 რკის ავტომანქანას, რომელიც მდგომარეობაშია. ფასი შეთან ბით. დარეკეთ საღამოს საათებ 37-37-34. გივი.

იყიდება შავი ფერის ავტომანქა ნა „ფორდ-სიერა", 1987 წლის მოშვება, კარგ მდგომარეობაში, სი 4500 ლარი. 63-08-02.

იყიდება „ნივა" 1990 წლის გა შვება. თეთრი. გავლილი აქვს 000 კმ. იდეალურ მდგომარეობა ფასი 3800 ლარი. ტელ: 23-38-

ყიდვა-გაყიდვის, გა ცვლის, გაქირავების შესა ხებ უფასო განცხადებებ გამოქვეყნების მსურველ ბმა დაგვირეკეთ:

გიორგობა

„ვისაც ყურნი აქვს სასმენად...“

რეკავდნენ... და კვლავ რეკავენ აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ზარები. ორი საუკუნის განმავლობაში აწესრიგებდნენ ეს ზარები დღეთა სრბოლას, უხმობდნენ ჩვენს წინაპრებს სალვთო და საერო საქმეების საჭირისუფლოდ.

ეკლესია აგებულია XVIII საუკუნეში. „ძრიელ ლამაზი, თეთრის თლილის ქვით ნაშენი, გუმბათიანი; მაგრამ ძველი არ არის; აშენებულია ანტონ ჭყონდიდელის მიერ...“ — ასე აღწერს სუჯუნის ეკლესიას ექვთიმე თაყაიშვილი წიგნში „არხეოლოგიური მოგზაურობანი“.

ტაძრის აგებამდე აქ ხის პატარა ეკლესია მდგარა, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე იყო შემორჩენილი. ეკლესიას და სასაფლაოს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს სოფლის ცენტრში. შემოსავლელში აღმართულია ქვით ნაშენი ორსართულიანი სამრეკლო. ეზოში ცაცხვისა და ჭადრის ასწლოვანი, უზარმაზარი ხეებია.

სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია მდიდარი იყო. ჰყავდა მრავალი ყმა და შემოსავალიც დიდი ჰქონდა. აქ ესვენა წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატი. ცნობილია ამ ხატთან დაკავშირებული დავა ეკატერინე დადიანის მმართველობის წლებში. მას სურდა მეუღლის — დავითის ანდერძი შეესრულებინა და მარტვილში გადაესვენებინა სასწაულმოქმედი ხატი, რათა დიდი შემოსავალი მიეცა სასახლისათვის. მაგრამ სუჯუნის მრევლმა ამაზე უარი განაცხადა. მდგომარეობა გამწვავდა. როგორც მემატიანე აღნიშნავს, „ატყდა აჯანყება, შეიქმნა ზარის რეკვა და ბუკის ცემა დაუცხრომელი ხალხისაგან“... მაშინ დედოფალმა სუჯუნაში შეიარაღებული ძალა გააგზავნა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. ამ ინციდენტში ჩაერია მეფისნაცვალი მურავიოვი, რომელმაც ხალხი გაამართლა და ურჩია ეკატერინეს ხელი აეღო განზრახვაზე.

... ჟამთა სიავემ და დროთა ქარტეხილებმა სუჯუნის ტაძარსაც დაჰრია მსახვრალი ხელი. უცხო თუ შინაურმა მტერმა დაარბია, ცეცხლი გაუჩინა დიდებულ ტაძარს, გაიძარცვა მდიდარი ეკლესია, გაიტაცეს აქ დაცული ძვირფასი ხატ-ჯვრები. 1913 წლის აღწერით ეკლესიაში ინახებოდა წმ. გიორგის შვიდი დიდი და პატარა ქართული ხელობის ვერცხლის ნაჭედი ხატი. ერთი მათგანი ოქროთი ყოფილა დაფერილი, მარგალიტებით შემკული ოქროს ჯვარი, ვერცხლის ბარძიმი, ვერცხლის ფეშხუმი ოქროთი მოვარაყებული, წარწერებით. წმ. გიორგის რკინის ოროლები და სხვა ძვირფასეულობა.

ყოველ გაზაფხულზე სუჯუნის წმ. გიორგის სასწაულმოქმედ ხატთან დაკავშირებით იმართებოდა ხატობა. ეკლესიაში, თვით ე. წ. უღმრთობის დროსაც ხალხი ფარულად ასრულებდა ამგვარ ხატობებს, რომელთაც „სუჯუნობა ონჯუას“ უწოდებდნენ.

გიორგობის წინა საღამოს შეიკრიბებოდნენ ტაძრის ეზოში, აირჩევდნენ ერთ მოხუცს, კეთილს და სათნოს, მისი წინამძღოლობით სამჯერ სიმღერით შემოუვლიდნენ ტაძარს და ლოცულობდნენ. ქადაგი მოუწოდებდა ხალხს მტკიცედ დაეცვათ ეკლესიის სიწმინდე, შეენარჩუნებინათ სულიერი მხნეობა...

1989 წელს, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, კვლავ გაისმა ზარების რეკვა სუჯუნის ეკლესიაში. დაიწყო მზადება ტაძრის ღვთისმსახურებისათვის მოსამზადებლად. ძეგლთა დაცვის სამმართველომ ეკლესია გადახურა. გაძარცულ და დადუმებულ ტაძარში მოძღვრის მამა მარკოზის მოსვლამ მრევლს იმედი ჩაუსახა. სექტემბერში ტაძარი ინახულა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II, ხოლო გიორგობას, 23 ნოემბერს ტაძარი აკურთხა ჭყონდიდელის ეპისკოპოსმა მეუფე გიორგიმ.

მას შემდეგ გაისმის სუჯუნის ტაძრის გუმბათ ქვეშ ქართული „ენაი შემკული და კურთხეული“. ტარდება წირვა-ლოცვა, გალობენ, იდგენთება სანთლები... მორწმუნეთა შორის უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს მოძღვარი მამა მარკოზი. მისი მოსვლის შემდეგ მოიხატა ეკლესიის კედლები, შეიძინეს ხატები, საჭირო ნივთები. მომრავლდა მრევლი. დიდსა და პატარას მიმართ თანაბრად ყურადღებიანი კეთილი და გულისხმიერია იგი. სხვებთან ერთად მეც არაერთხელ მისაუბრია მამა მარკოზთან ბიბლიაზე, რწმენაზე, წეს-ჩვეულებაზე, ტრადიციებზე.

ერთხელ ვკითხე, ვინც აქ მოდის, ყველას თუ სჯერა თქვენი-მეთქი. გაეღიმა და პასუხი ქრისტეს იგავით მომიგო: გამოვიდა მთესველი სათესად. თესვისას ზოგი გზასთან დავარდა, გაითელა და ცის ფრინველებმა აკენკეს. ზოგი კლდეზე დავარდა, აღმოცენდა და გახმა, ვინაიდან სინოტივე აკლდა. ზოგი ეკლებში ჩავარდა, ეკალი გაიზარდა და მოაშთო. ზოგი კი კარგ ნიადაგზე დავარდა, აღმოცენდა და ასმაგი ნაყოფი გამოიღო. ეს თქვა და დასძინა: „ვისაც ყურნი აქვს სასმენად, ისმინოს“...

ამ დღეებში მამა მარკოზი ვან-ბაღდათის ეპისკოპოსად გადაიყვანეს და მეუფე ანტონად იწოდება. სუჯუნის ეკლესიის მრევლმა დააფასა მისი ღვაწლი და 10 ნოემბერს მცხეთას ეწვია ორმოცდაათამდე აბაშელი მორწმუნე, რათა მონაწილეობა მიეღო მის ეპისკოპოსად კურთხევის ცერემონიალში.

სუჯუნის ეკლესიაში კი წირვა-ლოცვას აღავლენს ჭყონდიდის ეპისკოპოსი მეუფე გიორგი, ხოლო სულ ახლახან სუჯუნის ეკლესიის მოძღვრად აკურთხეს მამა ანდრია, რომელიც აბაშის რაიონის მკვიდრი გახლავთ.

... და კვლავ რეკენ სუჯუნის წმიდა გიორგის ეკლესიის ზარები და უხმობენ ყველას, ყველას, „ვისაც ყურნი აქვს სასმენად, ისმინოს“.

ლეილა ნოდია.

მოგვხედეთ!

ვეძებთ ზუბალაშვილების საქმის გამგრძელებელ მეცენატებს

ვინ გაამაგრებს მათ მიერ ჩაყრილ საძირკველს?

თბილისის № 1 საავადმყოფოს ბავშვთა კორპუსი, სადაც განლაგებულია ჩვილ და მოზრდილ ბავშვთა განყოფილებები, არსებობის 83 წლის მანძილზე. ამ შენობის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა: იგი წარმოადგენს ბავშვთა პირველ საავადმყოფოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. ჯერ კიდევ 1905 წელს, ცნობილმა მეცენატებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა მიმართეს თხოვნით ქალაქის ხელმძღვანელობას — სება მიე[illegible] „საავადმყოფო ბავშვთა[illegible] [illegible] თანხმობა, მოიწვიეს [illegible] ხუროთმოძღვრები და ასე ჩაეყარა საძირკველი იმ კორპუსს, რომელიც ამჟამად, სწორედ საძირკვლის ამორტიზირების გამო, სავალალო მდგომარეობაშია და შველას ითხოვს.

საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ აღნიშნულ კორპუსში, რომელიც 1913 წელს შეუდგა ფუნქციონირებას, 1921 წელს დაფუძნდა პირველი პედიატრიული კათედრა, რომელსაც პროფესორი სიმონ გოგიტიძე ჩაუდგა სათავეში.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, იყო მიწისძვრებიც, მაგრამ შენობა შეურყევლად იდგა. აღსანიშნავია, რომ იგი შესანიშნავი ნიმუშია იმისა, როგორი უნდა იყოს ბავშვთა [illegible]: მაღალჭერიანი, ნათელი, ვრცელი პალატებითა და ლაბორატორიებით.

დღეს ეს ძველი, ისტორიული მნიშვნელობის შენობა შველას ითხოვს. საჭიროა მხოლოდ საძირკვლის გამაგრება (სპეციალისტებმა ეს სამუშაო შეაფასეს 250 ათას ლარად), რათა მისი არსებობა კიდევ ერთი საუკუნით გაგრძელდეს. ხოლო იმისათვის, რომ სხვა სამუშაოებიც თანამედროვე დონეზე გაკეთდეს — 500 ათასი ლარი და სულ რამდენიმე თვის მუშაობა.

ამჟამად კორპუსში მუშაობს თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კათედრა (გოგიტიძის, უგრელიძის, ფაღავას კათედრა), იგი დღემდე აგრძელებს სტუდენტთა სასწავლო პროცესს, მაგრამ დგება დრო, როდესაც აუცილებელია შენობის დაცლა. გარდა იმისა, რომ ეს მნიშვნელოვნად შეაფერხებს ავადმყოფთა მომსახურებას (გასათვალისწინებელია, რომ ველაბარ-ნავთლუღის და სხვა მომიჯნავე რეგიონებში სხვა ბავშვთა საავადმყოფო არ არსებობს), უარყოფით გავლენას მოახდენს სწავლების პროცესზეც.

კორპუსი გადარჩენას ითხოვს, იგი მშველელს ელოდება და ჩვენც მივმართავთ თხოვნით ყველას, ყველას, ვისაც ხელეწიფება. ქართული გული უძგერს საქველმოქმედო საქმეებისათვის. დაგვეხმარეთ და გაამაგრეთ ძმები ზუბალაშვილების მიერ საგულდაგულოდ ჩაყრილი საძირკველი. ამით გადაარჩენთ ისტორიას და ზუბალაშვილების გვერდით ჩაეწერებით მეცენატთა საპატიო სიაში. ამით თქვენ საქვეყნოდ ისახელებთ თავს. შეიტანთ დიდ წვლილს ქართული პედიატრიული კერის აღორძინებაში, ხოლო აღდგენილი შენობის ნაწილი იქნებ გამოიყენოთ თქვენი საქმიანობისათვის. გასათვალისწინებელია, რომ [illegible] მდებარეობს ქალაქის [illegible] 300 არაგველთან.

დრო აღარ ითმენს და მოუთმენლად ველით გულშემატკივრებს.

პროფესორი
ლელი ძერძაძე,
კათედრისა და ბავშვთა
განყოფილებების
თანამშრომელთა სახელით.

პოლემიკა

რათა ფართო საზოგადოებამაც იცოდეს!

უკანასკნელ ხანებში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი კვლავ გახდა სხვადასხვა მითქმა-მოთქმის, პრესაში უარყოფითი, ზოგჯერ სალანძღავი გამოხდომების ობიექტი. ამ ატეხილი აურზაურის მიზეზი არის ორი გარემოება; საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მუზეუმიდან ანჩის ცნობილი ხატის ეკლესიისათვის გადაცემის მოთხოვნა და მეორე, მუზეუმის საგანძურიდან რამდენიმე ექსპონატის ამერიკაში, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმში“ საგამოფენოდ გაგზავნის გადაწყვეტილება.

საზოგადოება [illegible] მიუდგომლად და სწორად იყოს ინფორმირებული, როგორც ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, საჭიროდ ჩავთვალე ორივე ამ საკითხზე გავაკეთო ოფიციალური განცხადება, რომელიც მუზეუმის თანამშრომელთა უმრავლესობის პოზიციას ასახავს.

მინდა განვაცხადო, რომ ყოველთვის (ძნელბედობის ჟამსაც) მხარში ვედექი ქართულ ეკლესიას, უდიდესი მოწიწებით ვარ გამსჭვალული მისი უწმინდესობის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიმართ, მაგრამ ანჩისხატის კარედის, ან ნებისმიერი სხვა ისტორიული ხატის მუზეუმის საგანძურიდან გატანის და თუნდაც ეკლესიისთვის გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, როგორც მუზეუმის დირექტორი, მოქალაქე და საქართველოს პატრიოტი. მინდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა დავარწმუნო, რომ მისი ნებისმიერი თხოვნა ჩემთვის ბრძანების ტოლფასია, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ისტორიულსა და მხატვრულ განძეულობას, რომლის მოვლა-შენახვა დღისდღეობით ხელისუფლებამ და ერმა მე მანდოს, აქ იძულებული ვარ შეუვალი ვიყო.

1. დღეს ანჩის ხატი, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების ნიმუშია და სწორედ ასეთად არის ცნობილი ცივილიზებულ სამყაროში. ანჩის ხატი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ხატია. მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ქართული ფერწერული და ჭედური ხელოვნების განვითარების ისტორიაში. იგი ხელოვნების და ისტორიის ისეთი ძეგლია, რომელიც მისაწვდომი უნდა იყოს დამთვალიერებელთა, სპეციალისტ-მეცნიერთა ფართო წრისათვის. ამასთან, მისი ამოღება საერთო ექსპოზიციიდან, დაარღვევს ქართული ხელოვნების განვითარების იმ საერთო სურათს, რომელიც საგანძურის ექსპოზიციაშია წარმოდგენილი.

2. საგანძურში დღეს შექმნილია ვერცხლის, ძვირფასი ლითონების, მინანქრისათვის აუცილებელი ეკოლოგიური პირობები, რომელიც ვერცერთ ეკლესიაში ვერ იქნება, მით უფრო, სანთლების ბოლისა და ჭვარტლის ზემოქმედების პირობებში.

3. ნებისმიერ ეკლესიაში ხატი ხელყოფისაგან ვერ იქნება დაცული. რაც დღეს სავსებით უზრუნველყოფილია მუზეუმში.

[illegible] კატეგორიულად შეუძლებელია [illegible] პრეცედენტის დაშვება, [illegible] ეკლესიებში სხვა ხატების [illegible]ნთავსების მოთხოვნა, რაც გაანადგურებს ჩვენს ეროვნულ კულტურულ საგანძურს. ამის რეციდივები კი ჩვენ გვაქვს — მაგალითად, სვანეთში.

5. მეცნიერულად ფრიად საეჭვოა (თუ არა გამორიცხული) ანჩის ხატის „ხელთუქმნელობის“ შესახებ ლეგენდა, რამდენადაც, როგორც სპეციალისტების მიერ არის დადგენილი, ხატი ფიცარზეა ინკაუსტიკის ტექნიკით, ე. ი. გამდნარი ცვილოვანი საღებავით დატანილი და შექმნილია VI საუკუნის მეორე ნახევარში (შალვა ამირანაშვილი, თემურ საყვარელიძე) და ვერანაირად ვერ იქნება მაცხოვრის სახის ანაბეჭდი. ამდენად, ეს არგუმენტიც ვერ გამოდგება ხატის ეკლესიაში გადატანის დასადასტურებლად.

ყოველივე ზემოთქმული ემყარება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს ერთსულოვან აზრს. საბჭოზე არა მარტო კატეგორიულად უარყვეს აღნიშნული მოთხოვნა, არამედ გამოითქვა უკიდურესი შეშფოთება და აღშფოთება ამ უპრეცედენტო მოთხოვნის მიმართ.

ისეთი ღირებულების ხელოვნების ნიმუშები, როგორიც არის ანჩის ხატი, ხახულის ხატი და მისთანანი, მხოლოდ და მხოლოდ მუზეუმში უნდა ინახებოდეს. უფრო მეტიც, ეს ხატები დღეს რომ ეკლესიაში იყოს, ერის კულტურის ჭეშმარიტი მოჭირნახულე მათ მუზეუმში გადატანაზე იზრუნებდა.

არის ერთი გამოსავალი: დამზადდეს ანჩის ხატის (და ზოგი სხვა ხატის) ზუსტი ასლები და სათანადო კურთხევის შემდეგ დასვენებულ იქნას ისინი ეკლესიებში.

რაც შეეხება მეორე პრობლემას: 1997 წლის გაზაფხულზე ნიუ-იორკში, სახელგანთქმულ „მეტროპოლიტენ მუზეუმში“ იმართება ბიზანტიური ხელოვნების მსოფლიო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება თვით ბიზანტიისა და მასთან პოლიტიკურად და კულტურულად დაკავშირებული ყველა ქვეყნის ხელო[illegible] „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ ხელმძღვანელობამ მოგვმართა წინადადებით მონაწილეობა მიგვეღო ამ გამოფენაში და შეგვთავაზა გაგვეგზავნა გამოქვეყნებული კატალოგებიდან მათ მიერ შერჩეული ექვსი ექსპონატი.

ყველა ნორმალური ადამიანი და სპეციალისტი ცხადია ასეთ წინადადებას აღფრთოვანებით უნდა შეხვედროდა.

სამწუხაროდ, ჩვენში არის ნაწილი ხელოვნებასთან დაკავშირებული პირებისა, რომელთაც კარგა ხანია წამოიწყეს, და გარკვეული თვალსაზრისით განახორციელეს კიდეც, კამპანია ჩვენი ხელოვნების ნიმუშების საზღვარგარეთ საგამოფენოდ გატანის წინააღმდეგ, მათი ტრანსპორტირების შედეგად დაზიანების საშიშროების მომიზეზებით. ამ მავნე, ქართული კულტურისათვის საზიანო, პროფესიული თვალსაზრისით გაუმართლებელი ტენდენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო ჯერ კიდევ 1989 წ. სან-დიეგოში (აშშ) ჩვენი საგანძურის ექსპონატების გამოფენის სრულიად გაუმართლებელი ჩაშლა.

ამ ტენდენციამ, სამწუხაროდ, ამჟამადაც იჩინა თავი, მაგრამ ჩვენ ჩავთვალეთ, რომ „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ ღონისძიებებში ჩვენს მონაწილეობაზე უარის თქმა კატასტროფულ ზიანს მიაყენებდა ქართულ ეროვნულ კულტურას და მის პრესტიჟს. ამავე დროს გავითვალისწინეთ რა, რომ თვით ქართველ სპეციალისტთა შორისაც იყვნენ ანგარიშგასაწევი და მაღალი კვალიფიკაციის პირები, რომლებიც იმთავითვე არ ეთანხმებოდნენ ჩვენი ხელოვნების ძეგლების მუზეუმების საცავებში გამოკეტვის ტენდენციას, გავითვალისწინეთ ისიც, რომ ჩვენი ექსპონატები, მათ შორის, საგანძურის ექსპონატები არაერთგზის ყოფილა საზღვარგარეთ გატანილი (თუნდაც, 1930 წ. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და გიორგი ჩუბინიშვილის, შალვა ამირანაშვილის და დიმიტრი შევარდნაძის უშუალო ხელშეწყობით) და ამ გატანას გარდა წარმატებისა და დადებითი შედეგებისა, არაფერი მოუტანია. ჩვენ გადავწყვიტეთ, ერთხელ და სამუდამოდ გაგვერკვია ეს საკამათოდ ქცეული პრობლემა. ამ მიზნით დიდი ძალისხმევის. „საქართველოს კულტურისა და ბუნების დაცვის საზოგადოების“ გერმანული მხარის პრეზიდენტის უდო ჰირშის შუამ[illegible] ხელშეწყობით, მოვახერხეთ „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ ხარჯით ჩამოგვეყვანა ფრიად წარმომადგენლობითი საერთაშორისო ექსპერტთა კომისია, რომელშიც შევიდნენ უმაღლესი რანგის ექსპერტები, ლითონზე მომუშავე რესტავრატორები ამერიკის სხვადასხვა წამყვანი ცენტრებიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან. [illegible] ექსპერტთა [illegible] ჩვენი ინიციატივით შევიყვანეთ საქართველოს [illegible] [illegible]ბორატორიის გამგე ც. აბესაძე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

კომისიის მუშაობის შედეგები ძალზე ნიშანდობლივია: მათ ერთხმად აღიარეს, რომ ექვსი მოთხოვნილი ექსპონატიდან — ერთის (ტიხრული მინანქრის ოთხმკლავიანი ჯვარცმის ფირფიტა) ტრანსპორტირება მიზანშეწონილი არ არის. ეს ფაქტი მიუთითებს, რამდენად მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საქმეს უცხოელი ექსპერტები. კომისიის ყველა წევრის საერთო დასკვნით ბედიის ოქროს ბარძიმის გატანას წინ არაფერი უდგას. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დანარჩენმა ოთხმა ექსპონატმა.

საკითხზე იმსჯელეს ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. საბჭომ არსებითად ერთხმად დაუჭირა მხარი მოთხოვნილ ექსპონატთაგან ხუთის გამოფენაზე გაგზავნას, წინააღმდეგი იყო მხოლოდ საგანძურის განყოფილების გამგე პროფესორი გურამ აბრამიშვილი, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზეპირი მხარდაჭერა მოგვაწოდეს აკადემიკოსებმა ვახტან ბერიძემ და პარმენ ზაქარაიამ.

„მეტროპოლიტენ მუზეუმის“ გამოფენაზე ჩვენი ექსპონატების გაგზავნა და იქ სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოსვლა, კიდევ ერთი პრინციპული მეცნიერული პოზიციით არის ნაკარნახევი: ჩვენმა ექსპონატებმა უნდა თვალნათლივ აჩვენონ, ხოლო მომხსენებელმა უნდა დაასაბუთოს, ქართული ხელოვნების თავისთავადი, თავისებური ხასიათი ბიზანტიური სამყაროს სივრცეში, რაც აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილისა, მისი სკოლის მოღვაწეთა და შალვა ამირანაშვილის მრავალწლიანი კვლევით არის დადასტურებული.

ამრიგად, აღნიშნულ გამოფენაზე ჩვენი ექსპონატების საგამოფენოდ გაგზავნა გადაწყდა [illegible] ეროვნული [illegible] ბის გათვალისწინებით [illegible] რიკაში გასასვლელად, [illegible] გორც ეს აღნიშნულია ზოგიერთ უპასუხისმგებლო გაზეთის [illegible]როტებულ და ცილისმწამებლურ პუბლიკაციაში.

ნოდარ ლომოური,
ხელოვნების მუზეუმის
დირექტორი.

ანტირეცენზია

უხალისოდ „სახალისო მათემატიკაზე“

„ჩემი მსჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“, კარგი იქნება, ილიას ეს სიტყვები ყველა ჩვენგანმა ცხოვრების დევიზად ვაქციოთ.

ახლანდელი მიუწვდომელი ფასების მიუხედავად, წიგნების დახლებს მაინც ვერ ჩავუვლი ხოლმე გულგრილად და აი, ვაგზლის მეტროდან ამოსასვლელში გასაყიდად გამოფენილი წიგნების წინ შევჩერდი. მზერა შევაჩერე საბავშვო წიგნზე, რომლის ყდიდან ცელქი ღიმილით შემომცქეროდა ბიჭუნა. „2+2 =, 2+3=, 4+1=, 5+2=. სახალისო მათემატიკა“ — ასე ჰქვია წიგნს.

[illegible] გამეხსნა, ეს ხომ ბიძაჩემის — დავით ძძამიძის სტილია, მისი რჩეული ჟანრი. მაშინვე გადავფურცლე: „შეადგინა კლარა შათაქიშვილმა. გამოყენებული ლიტერატურა: შ. ამირანაშვილი — „პასუხს რომელი დაასწრებს“, ჯ.ნ. ჩუბინიძე — „მოისაზრე, გამოიცან“, ჯ.ჯინჯიხაძე — „დაწყებით სკოლებში მათემატიკის სწავლების მეთოდიკა“. ყდაზე აწერია: „ნებადართულია საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ. თბილისი 1996 წ.“ გავიხარე განათლების სამინისტროს ამ თაოსნობით — ბავშვთათვის მათემატიკური ამოცანების მიწოდებით. განვაგრძე წიგნის ფურცვლა. ჰოი, საოცრებავ! წავაწყდი ბიძაჩემის — დავით ძძამიძის ლექსებს... გადავიხადე დედისერთა 2 ლარი და წავედი სახლში.

1951 წელს გამოცემულ დ. ძძამიძის წიგნში „აბა, გამოიცან“ (გვ. 3, 4, 6, 10...) დაბეჭდილი ლექსები „კაკლები“, „წიწილები“, „ხილის ბაღი“, „საყვავილე“ გამეორებულია ზემოხსენებულ „სახალისო მათემატიკაში“ გვ. 42, 43, 44, 45 და ა.შ... ეს ხომ ფაქტია! სრულიად მართებულია ვიფიქროთ — ალბათ, მთელი წიგნი ასეა შედგენილი.

რა პირით სთავაზობენ ამას ბავშვებს?... მალე ნაცნობ-მეგობრებმაც დამირეკეს: „ჩემს ირაკლის უყიდე „სახალისო მათემატიკა“. ჩემი ბავშვობისდროინდელი ბიბლიოთეკიდან გადმოვიღე 1951 წელს გამოცემული დ. ძძამიძის „აბა, გამოიცან“! და რამდენიმე ლექსი ზუსტად არის გადმობეჭდილი, — ზოგიც შელამაზებული...“ ... ბიძაშენის ლექსები ხელმეორედ დაბეჭდილა, მაგრამ სხვებს აწერენ ხელს...“

რა ხდება, „დროის ბრალია?“, „დრომ მოიტანა?!“ მალე ალბათ გოგებაშვილის კრებულსაც სხვები მოაწერენ ხელს ჯგუფურად. „დროა ასეთი, დრო!“ დღეს ხომ ყოველგვარ უზნეობას დროს აბრალებენ!... მე ამას ლათინურად — პლაგიატობას კი არა, ყველას გასაგებად, ქართულად — წამლეტობას, უფრო სწორად — ყაჩაღობას დავარქმევდი.

ვიღაც ვაიავტორმა იქნებ იფიქრა, 1951 წელს გამოცემული წიგნის ავტორი დავით ძძამიძეს აღარავინ ეყოლება ისეთი ახლობელი, რომ შემოედავოსო. — დავით ძძამიძეს შვილებიც ჰყავს, ერთი მათგანი ბოტანიკის ინსტიტუტში მუშაობს, ერთიც პედაგოგია, შვილიშვილებიც, ძმისშვილებიც — ერთი მათგანი, ჩემი და ლაურა ძძამიძე მუშაობდა „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში. ამას გარდა კიდევ ორი ძმისშვილი ვყავართ: მე — ამ წერილის ავტორი, რედაქციის თანამშრომელი და მესამე — განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი. ასე რომ, ცოცხლები ვართ, ცოცხლები დავით ძძამიძის სახელისა და გვარის გამგრძელებლები და დამცველნი...

საინტერესოა, რა პასუხს გვაცემენ საქართველოს განათლების სამინისტროს „წიგნში ჩახედული“ მესვეურნი, რომლებმაც ვიზა მისცეს თვითმარქვია ავტორების წიგნს. ნეტავ არც ერთი მათგანი არ დაინტერესებულა, არ წაუკითხავს საბავშვო წიგნის სახლის მიერ შედგენილი „ჭეჭელი“ — ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული კრებული, რომელიც „ნაკადულმა“ 1988 წელს გამოსცა.

ვინ იყო დავით ძძამიძე? აღნიშნული კრებულის 53-ე გვერდზე ნაწილობრივ მაინც გაეცნობით დ. ძძამიძის პიროვნებას ქალბატონ ნანა დოლიძის წერილით. სწორედ ამ წერილის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი ლექსი „კაკლები“, რომელიც უცვლელად გადმოუტანიათ „სახალისო მათემატიკაში“ (გვ. 42).

დავით ძძამიძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით ჯერ ბორჩალოში მასწავლებლობდა, შემდეგ — მშობლიურ შილდაში. მაშინ გაუჩნდა იდეა — ყმაწვილებისათვის ლამაზად წარმოედგინა მათემატიკის სამყარო. ლექსებში გაეცოცხლებინა ციფრები. შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, დაამთავრა ეკონომიკის ფაკულტეტი. 1912 წელს დაიბეჭდა მისი პირველი საბავშვო მოთხრობები საყმაწვილო ჟურნალებში „ნაკადულში“ და „ჯეჯილში“. დ. ძძამიძის პირად არქივში, რომელიც მისი ქალიშვილების ოჯახში ინახება, ნახავთ ნინო ნაკაშიძის ბარათს: „ბატონო დავით, გთხოვთ ხშირ-ხშირად მოგვაწოდოთ თქვენი მოთხრობები“. დღესაც დიდი ინტერესით და სიამოვნებით იკითხება მისი „პატარა ქეთოს დღიურიდან“, „ჩვენი ღაბუა“, „კვერცხის ქურდები“, „მოვალ, დედილო“, „ნიტებიანი ხელსახოცი“, და სხვა. 50-იან წლებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ამოცანა — ლექსი თუ მოთხრობა ჟურნალ „დილასა“ და „პიონერში“. 1951 წელს გამოვიდა დ. ძძამიძის გასართობი ამოცანები ლექსად „აბა, გამოიცან!“ მასში შესულია სულ 17 ამოცანა — ლექსი. ხელიდან-ხელში გადადიოდა ეს პატარა წიგნი. მალე საბავშვო წიგნის ბიბლიოთეკას შემატა „კუნწულა“ (1958 წ.), „რიცხვთა ფერხული“ (1961 წ.), რომელშიც უფროსი ასაკის ბავშვთათვის იყო შერჩეული მათემატიკური ამოცანები, გონებამახვილური ამოცანები.

დ. ძძამიძე იყო ცნობილი სახალხო მომღერლის დედას ლევანის დისშვილი. ესეც ბევრს ნიშნავს მათთვის, ვინც მას იცნობდა. თავად აღიარებული მომღერალი არ იყო, მაგრამ დიდებულად მღეროდა თავის ძმასთან, ლევანთან ერთად.

ქალბატონი ნანა დოლიძე სინანულით აღნიშნავს, რომ „დ. ძძამიძის წიგნები უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა“, რომ „ისიც ხდება, როცა გარკვეულწილად ამა თუ იმ შემოქმედს, მოღვაწეს სიკვდილის შემდეგ ვივიწყებთ, სათანადო პატივს არ მივაგებთ. იშვიათად, ანდა, სულაც აღარ ვცემთ პატივს მის წიგნებს, არ გადავცემთ მის სახელს და საქმეს შემდგომ თაობას“... „იქნებ დროა, დავინტერესდეთ მისი შემოქმედებით, თავი მოვუყაროთ მის ნამუშევრებს და ერთად გამოცემული შევთავაზოთ ჩვენს ნორჩებს — საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებს, პირველ-მეორე-კლასელებს“.

მარადი ძძამიძე.

უკვდავი ფესვები

აპოლონ ცანავა

საუბრები ქართულ მითოლოგიაზე

„მესეფენი ამოდიან ზღვიდან, გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან მესეფეებს... არასოდეს ბერდებიან მესეფენი, განმარტა ლუკაიამ“
(კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“)

8. მესეფი

ქართველთა წარმართობის შესწავლას მეტად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა მეგრულ-სვანურ მასალებზეც. იგი წერდა: ქართული დამწერლობის წარმოშობიდან ქართული ენა „მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ეხლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიაც მეგრელებსა და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი... არსებობდა თუ არა ქრისტიანობის წინათ ასეთი საერთო ნიადაგი ქართველი ერის საერთო წარმართული სარწმუნოებრივი შემოქმედებისათვის? იყო თუ არა ასეთი საერთო შემოქმედება, ერთი სიტყვით, არსებობდა თუ არა ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო ქართული წარმართობა“? ამ კითხვას ივ. ჯავახიშვილი დადებითად უპასუხებს: „ქართველ ტომებს სათავისთავო [illegible] ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონდათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა“. ეს დასკვნა მიღებულია ფაქტების მეტად ფრთხილი, მაგრამ ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად. ივ. ჯავახიშვილი შეეხო საერთო და ძირითად პრობლემებს, ამასთან დასახა ახალი პერსპექტივები ამ მიმართულებით მომავალი კვლევა-ძიებისათვის.

ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს უკანასკნელ წლებში სამეგრელოში მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციების მასალებისა და ადრინდელ კრებულებში დაცული ცნობების მიხედვით დავახასიათოთ, როგორ არის ზეპირსიტყვიერებაში წარმოდგენილი წარმართული პერიოდის ღვთაებები — მესეფი, ტყაშმაფა, ოჩოკოჩი, სამივე სამონადირეო ღვთაებებად არის მიჩნეული და ამანაც განსაზღვრა მათზე შეჩერება.

მესეფი (მესეფები) მეგრელთა რწმენით, ნამდვილად არსებობს, მაგრამ მისი დანახვა შეუძლებელია. ისინი ცხოვრობენ ზღვის მიუვალ ნაპირებზე. ყოველ წელს, შემოდგომაზე, მიემგზავრებიან და მთელ დედამიწას შემოივლიან. ამასთან ქალები და კაცები მორიგეობით დადიან. როცა მამაკაცები მიდიან, მათ შავი ტანსაცმელი აცვიათ და ამიტომ მთელ კვირას წვიმს, ქალები თეთრი ტანსაცმლით მგზავრობენ და ამინდიც კარგია. მესეფები, როცა მოკლულ ნადირს შეჭამენ, ძვლებისა და ტყავისაგან ისევ აცოცხლებენ მას. ასეთი გაცოცხლებული ნადირი განკუთვნილია მონადირეებისათვის.

ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „ნადირთა, ფრინველთა... მფარველ ღვთაებად „მესეფი“-ც იყო: მისი წყალობითა და ნებაყოფლობით თუ, თორემ, ისე ვერც ერთი მონადირე ნადირს ვერ მოკლავდა. — როცა „მესეფს“ არა ჰნებავს, ნადირს ან ფრინველს ნასროლს თავიდან ცდენს“.

მესეფი ანაწილებს, აკუთვნებს ნადირს ამა თუ იმ მონადირეს, ის გამრიგეა. ამას ახლად მოპოვებული მასალებიც ადასტურებს. 80 წლის მ. კვარაცხელია (სოფ. ჯგალი, წალენჯიხის რაიონი) დაბეჯითებით მიმტკიცებდა, რომ მწყემსმა შანუყვა ფიფიამ ნახა, თუ როგორ მოერეკებოდა ქალი მესეფი ჯიხვებს. ერთი ჯიხვი გაუჩნდა, არ დაემორჩილა. გაბრაზებულმა მესეფმა ჯიხვს უთხრა — შენ შანუყვა ფიფიას ლუკმა ყოფილიყავიო. შანუყვას ეს გაუგონია (იქვე ყოფილა დამალული). ეს ჯიხვი, მესეფის ბრძანებით, ღუდუშო ხეში შესულა. როცა მესეფს სხვა ჯიხვები გადაუდენია, შანუყვა მისულა ხესთან და ის ჯიხვი მოუკლავს. მ. კვარაცხელიას გადმოცემით, მესეფის მიერ შეჭმული და შემდეგ გაცოცხლებული ნადირის მოკვლა მხოლოდ მეორე წელს შეეძლო იმ მონადირეს, რომელსაც მესეფი მიაკუთვნებდა.

მესეფის ეს ფუნქცია ზოგჯერ მიკუთვნებული აქვს ტყაშმაფასაც. მონადირე ჯახუმ ნახა, რომ ტყაშმაფა ტყის ღორებს მიერეკებოდა. ერთი დიდი კერატი ჯახუსაკენ წამოვიდა. ტყაშმაფამ სამჯერ დაუძახა: უკან გამობრუნდიო, მაგრამ არ დაემორჩილა. ტყაშმაფამ მიაძახა: „ჯახუს ულუფა ყოფილიყავიო.“ ჯახუმ ესროლა თოფი და ეს დიდი კერატი მოკლა.

სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ.) მცხოვრები კაპიტონ გახარია გადმოგვცემს, რომ მესეფი ანაწილებს და ყველას მიუჩენს, ვინ რა სახის რამდენი ნადირი მოკლას. წესის დამრღვევს სჯის. მხოლოდ მესეფის დანიშნული ნადირის მოკვლა შეუძლია მონადირეს. ნიშანდაუდებელ ნადირს ტყვია არ ეკარება. მაგრამ მეორე წელს მესეფი ამასაც დაადებს თავის ნიშანს.

დღემდე სამეგრელოში გავრცელებულია ყოფითი ცნების გამომხატველი ტერმინები „სეფა“ და „მესეფე“. სეფას (შეფას) დიდი წვეულების დროს მართავენ. წვეულებისათვის წინასწარ თადარიგს იჭერენ. სეფას სჭირდება გამრიგე, რომელიც ყველა სტუმარს თავის წილსა და ადგილს მიუჩენს. ასეთ პირებს მესეფები (მეშეფეები) ეწოდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარმართული ღვთაების სახელი და დანიშნულება სწორედ წეს-ჩვეულების აღმნიშვნელმა „სეფა“, „მესეფე“ ტერმინებმა შემოგვინახა დღემდე.

ზღვიდან მესეფების გამოსვლა და უკან დაბრუნება მტკიცედ იყო განსაზღვრული — 27 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე, [illegible] ერთი კვირა. ამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოიარონ ხმელეთი და გაანაწილონ ყველა სახის ნადირი. უკან დაბრუნებისას, გადმოცემის მიხედვით, აუცილებლად წვიმა უნდა მოვიდეს და გადარეცხოს მესეფების ნაკვალევი ხმელეთზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქალი თუ მამაკაცი მესეფია ამოსული.

მესეფების ხმელეთზე ყოფნის პერიოდს (27 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე) „მესეფობა“ ეწოდება, როგორც „ლაშარობა“, „ლომისობა“, „ელიობა“ და ა.შ. მესეფების მუდმივ ადგილსამყოფელად ითვლება ზღვა, ან ზღვის გაღმა ადგილები, ამიტომაა გავრცელებული გამოთქმა: „მესეფიქ ეკილ“ („მესეფი ამოვიდა“). ეს ღვთაება წარმოდგენილია ადამიანის სახით, აცვია ტანსაცმელი, მრავლდება და ა.შ. ჩვეულებრივ, ჯგუფებად დადიან, მაგრამ შვიდზე მეტი არა. მესეფეები ბავშვების ან მოხუცების სახით აღარ გვხვდებიან. ისინი უკვდავები არიან.

მესეფები წყვილ-წყვილად მიემართებიან სხვადასხვა მხარისაკენ. თან თითო-თითო ძაღლიც მიჰყავთ. ეს ძაღლი მითოლოგიურ ყურშას ორეულად უნდა ჩაითვალოს. ცნობილია, რომ „საქართველოში, გარდა „საკულტო ძაღლებისა“ (მწევარნი), გვხვდებიან „მითოლოგიური ძაღლებიც“ (ვ. ბარდაველიძე). ამ შემთხვევაში პირველი ადგილი ცნობილ ყურშას უკავია; მას, რომელიც მითოლოგიური ნიშნებითაა დაჯილდოებული, მტკიცე კავშირი აქვს მონადირეთა ყოფასთან და უძველეს სანადირო რიტუალთან. ყურშა ორბის, ყორნის, ქორის ან ზღაპრული ფასკუნჯის შვილია (ელ. ვირსალაძე).

მესეფის ძაღლს აქვს მითოლოგიური ყურშას ზოგიერთი ნიშანი: იგი საოცრად სწრაფია, საზრიანი, უკვდავიც, ოღონდ, გადმოცემებში მის არაჩვეულებრივ წარმოშობაზე არაფერია ნათქვამი, არც ფრთოსანია და ზოგჯერ მას ჩვეულებრივი მონადირეც პოულობს ხოლმე. მესეფის ძაღლი, დანიშნულების მიხედვით, სვანური ჯგრაგის (წმინდა გიორგის) ძაღლს უტოლდება.

მიუხედავად ფუნქციათა თანხვედრილობისა, მესეფი განსხვავდება ტყის მეფის (ტყაშმაფას) ღვთაებისაგან. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი შემდეგია: მესეფი ზღვის ფსკერზე, ზღვის გაღმა ან ზღვის მიუვალ ნაპირებზე ცხოვრობს, ტყაშმაფა კი დაბურულ ტყეში, მთებსა თუ კლდეებში. ქალი მესეფი [illegible] არ ამყარებს მონადირესთან ინტიმურ კავშირს, რაც ტყაშმაფას ძირითადი თვისებაა: ტყაშმაფას შენარჩუნებული აქვს მაქციობის უნარი (ხშირად ზოომორფულ სახეს იღებს), ასეთი რამ მესეფს არ ახასიათებს. მდედრ მესეფს ახლავს არაჩვეულებრივი მონადირე ძაღლი, ტყაშმაფას კი — არა, თვით სახელწოდება „მესეფი“, „მესეფები“ სხვაგან არ დასტურდება. იგი კოლხური ზეპირსიტყვიერების კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.

გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

პლებისციტმა მთელ მსოფლიოს უნდა დაანახოს, როგორ მასკარადს აწყობენ სეპარატისტები „დემოკრატიული არჩევნების" ნიღბით

პრეზიდენტის ფოსტა

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო მკითხველო!

ახალი, 1997 წლიდან „საქართველოს რესპუბლიკა" ამჟამინდელი ხუთის ნაცვლად კვირაში ექვსჯერ (თვეში 25 ნომერი) რვა სრულფორმატიან გვერდზე დაბეჭდილი გამოვა. გაზეთის პერიოდულობისა და ფორმატის გადიდების მიუხედავად რედაქციის კოლექტივმა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ამჟამინდელ მატერიალურ მდგომარეობას და, რაც მთავარია, სწორ, მართალ და ოპერატიულ ინფორმაციაზე მის მოთხოვნილებას, გადაწყვიტა არ გაზარდოს „საქართველოს რესპუბლიკის" ფასი. თბილისში მისი ერთი ეგზემპლარი **ღირებს 30,** ხოლო დედაქალაქის ფარგლებს გარეთ – **35 თეთრი**. შესაბამისად, გაზეთის **ერთი** თვით გამოწერა თბილისში დაჯდება **7,5 ლარი, სამი თვით – 22,5 ლარი, ექვსი თვით – 45 ლარი.**

დედაქალაქის გარეთ გაზეთის ერთი თვით გამოწერა **8 ლარი** და **12 თეთრი** ეღირება, **სამი თვით – 24 ლარი და 36 თეთრი, ექვსი თვით – 48 ლარი და 72 თეთრი.**

ძვირფასო მკითხველებო, იჩქარეთ, გამოიწერეთ **„საქართველოს რესპუბლიკა"**, რადგან საცალო ვაჭრობაში მისი შეძენა გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. აქვე გაცნობებთ, რომ გაზეთის გამომწერის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემთხვევაში თითოეულ ხელმომწერს უფასოდ მიეცემა ბროშურები – საქართველოს კონსტიტუცია და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონი.

„საქართველოს რესპუბლიკა" მხოლოდ თქვენით და თქვენთვის არსებობს, ძვირფასო მკითხველებო! ამიტომაც მისი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს იმისთვის, რომ იგი კვლავაც თქვენი ერთგული თანამდგომი, მრჩეველი და თქვენი ინტერესების ყოველმხრივ შემცველ-გამომხატველი იყოს.

გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ხელმოწერას დაუყოვნებლივ გაგიფორმებენ...

ჩვენს გაზეთსა და, საერთოდ, საქართველოს სხვა ჟურნალ-გაზეთებზე 1997 წლის პირველი ნახევრისთვის თბილისელებს ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ ქ. თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" (ყოფილი „სოიუზპეჩატი") ხელმოწერის რაიონულ უბნებში, რომელთა მისამართები და ტელეფონის ნომრებია:

სამგორის რ-ნი – მოსკოვის გამზ. 18. ტელ: 71-32-87

გლდანის რ-ნი – მუხიანის 4 ა, 4 კორპ. ტელ: 62-75-32

ნაძალადევის რ-ნი – დ. გურამიშვილის გამზ. №30. ტელ. 60-80-22

ჩუღურეთის რ-ნი – ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. 14. ტელ: 95-87-36

ისნის რ-ნი – ქეთევან წამებულის (ყოფ. შაუმიანის) გამზ. 61. ტელ: 74-14-47

დიდუბის რ-ნი – აკ. წერეთლის გამზ. 73. ტელ: 34-75-51

მთაწმინდისა და კრწანისის რაიონები – რ. თაბუკაშვილის ქ. 12

ვაკის რ-ნი – ჭავჭავაძის გამზ. 46. ტელ: 22-64-58

ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ. 42. ტელ: 37-47-49, 93-43-97

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნეს" წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა: სახლში, სამსახურში, უახლოეს საფოსტო განყოფილებაში, „მაცნეს" ცენტრალურ ოფისში.

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერის მსურველებს ამასთანავე ვაცნობებთ, რომ მათ ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ ჩვენს კერძო გამავრცელებლებთან, რომლებიც დროულად და უდანაკარგოდ მოგაწვდიან გაზეთებს:

შპს „უწყებანი" – მ. კოსტავას ქ. 14 ტელ: 93-64-72; 93-22-86

შპს „ექსპრესი" – ივანე ჯავახიშვილის ქ. 86. ტელ: 93-66-78; 96-23-11.

ელვარე ნიჭით გაცისკროვნებული

საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ. ვრცელ, საინტერესო გამოსვლაში მან ისაუბრა მეოცე საუკუნის ქართული მეცნიერების ფუძემდებლის როლსა და მნიშვნელობაზე.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი შემოქმედების გვირგვინად დაგვიტოვა ქართველი ერის ისტორია. თავისი ელვარე ნიჭით მაღლმოსილ ტომებში განიხილა და გადაჭრა მრავალი საკვანძო პრობლემა საქართველოს ისტორიაში, ისტორიულ გეოგრაფიაში, ეკონომიკის ისტორიასა და ქართული სამართლის ისტორიაში.

საიუბილეო სხდომაზე გამოვიდნენ აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ჯანსულ ღვინჯილია, რეზო ჭეიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, გურამ გვერდწითელი, სილოვან ნარიმანიძე, დავით მჭედლური, შალვა მჭედლიშვილი, კარპე მუმლაძე.

გამომსვლელებმა ისაუბრეს ივანე ჯავახიშვილის ფასდაუდებელ ღვაწლზე, თქვეს, რომ ამ დიდი მამულიშვილის მსახურება მთამაგონებელი მაგალითია ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

იზა ჯაჭვაძე.

ამინდი

23 ნოემბერი

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 11-16, დღისით 22-27, მთაში — ღამით 7-12, დღისით 16-21.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი ამინდია ნავარაუდევი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0-5, დღისით 14-19 გრადუსი სითბო, მთაში — ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

ფრთხილად!

კვირას, 24 ნოემბერს მაგნიტური დღეა, კრიზისული საათები 14 00-15 00.

თაობა

არწივის ბუდიდან ასაფრენად გამზადებულან!

ალგეთური სიტყვა იგრძნობოდა 1996 წლის 10 ნოემბერს საქართველოს არმიის ცენტრალურ ოფიცერთა სახლში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე — „ოქროს მართვე", რომლის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს ტელევიზია, ქალაქ თბილისის მერია, დიდუბის გამგეობა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

ტიტანური შრომა გასწიეს, რათა ეს დღე დამდგარიყო. ათასშვიდასი მოზარდი იღებდა ოთხ ტურად გამართულ მუსიკალურ ფესტივალში მონაწილეობას და მხოლოდ ოცდაათი გამარჯვებული გამოვლინდა. ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ მიხეილ ოსერმა ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მიანიჭა პირველი, მეორე და მესამე ადგილები კონცერტში გამარჯვებულებს.

დაიწყო პირველ დიპლომანტთა და ლაურეატთა დაჯილდოება. ყველაზე პატარა მონაწილემ — მაკა ქადაგიშვილმა დაიმსახურა მაყურებლის სიმპათიის პრიზი. სცენაზე პირველი ნაბიჯებისათვის პრიზი მიანიჭეს პატარა მარი ბასილაიას.

დაწესდა ცეკვის რაინდის ილიკო სუხიშვილის პრიზი. სცენაზე ქართული ცეკვის „ცეცხლი დაანთეს" ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „ბახტრიონმა", „ალგეთმა", „თეთრონმა", „როკვამ" — ეს იყო ქართული ცეკვის ზეიმი, სადაც წარმოჩნდა ის სულიერი კდემამოსილება, რომელიც მხოლოდ ქართული ცეკვისათვის არის დამახასიათებელი.

მომღერლებმა ირაკლი ბერიკაშვილმა, ჯონდო გაგაძემ, გიორგი მაისურაძემ და სხვებმა თავისი საშემსრულებლო ხელოვნებით მოხიბლეს დამსწრენი.

დარბაზში წუთიერი სიჩუმე, რაღაც ტკივილიანი ხმა, გაბზარული სიმღერა გაისმა. დაჩოქილი 16 წლის მომღერალი ტარიელ (ტატა) გოდერძიშვილი თვალცრემლიანი მღეროდა ნუგზარ თუშიშვილის მუსიკაზე შექმნილ სიმღერას:

„დრო იტყვის რა მოხდა,
ვისი რა ბრალია,
დალიეთ, ბიჭებო,
ეს ყველას ვალია.
დალიეთ, ირმებო,
ეს ფსოუს წყალია".

ნოსტალგიაში და ჩუმ სევდაში ჩაიძირა დარბაზი. ეკლესიის ზარის რეკვასავით გაისმა ვალერი (ბუბა) ლომაშვილის ხმა: „ჩემო ლამაზო სამშობლოვ, მოვალ და მოგეფერები". საოცრად ლამაზად გამოისახა 13 წლის ბუბამ ხელოვნური მარჯვენით პირჯვარი და უფალს სამშობლო შევედრა, დაჭრილ მამულს იმავე ხელით მოფერება აღუთქვა. ქვეყანას კი, რომელსაც ბუბასნაირი მომავალი ეზრდება, დაღუპვა არ უწერია.

დასრულდა „ოქროს მართვეს" მუსიკალური ფესტივალი. დაწესდა ტრადიცია, რომ ყოველი წლის ნოემბერში გაიმართოს შემაჯამებელი კონცერტი.

არასოდეს მოშლოდეს ბუდე „ოქროს მართვეს".

მარეხ მოსიძე.

ჩოგანი

„ვითას" მეექვსე წაგება ლოგიკური შედეგია

დასასრულს მიუახლოვდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის საკლუბო თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირი.

საქართველოს ჩემპიონმა „ვითამ" მერვე ტურის მატჩი იტალიის ქალაქ ვერონაში გამართა ჯგუფის ლიდერთან — „რიელოსთან" და კვლავ დამარცხდა — 66:92. სამწუხაროდ, შემდგომ ეტაპზე გასასვლელად არსებული უკანასკნელი შანსიც გამოუყენებელი დარჩა, მაგრამ, სიმართლეს თუ გავუსწორებთ თვალს, უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა და უძლიერესმა გაიმარჯვა კიდეც.

არადა, როგორც იტალიიდან დაბრუნების შემდეგ საკალათბურთო კლუბ „ვითას" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ტომარაძემ „სრ" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, თბილისელებს კარგად დაუწყიათ შეხვედრა და პირველი ტაიმის 15 წუთში მრისხანე მეტოქეს თურმე 5 ქულით ამარცხებდნენ. მასპინძლებს გარღვევა თამაშში ტაიმის დასკვნით ნაწილში შეუტანიათ და პირველი ნახევარი 6 ქულით მოუგიათ, შესვენების შემდეგ კი აშკარა უპირატესობა მოუპოვებიათ.

თბილისელთაგან ყველაზე შედეგიანი იყვნენ ნაკველიშვილი — 20, შენგელია — 16 და ქარაბაკი — 9 ქულა.

3 დეკემბერს „ვითა" თურქეთის „ფეთ-ს" უმასპინძლებს, უკანასკნელი ტურის მატჩს კი 10 დეკემბერს იუგოსლავიაში „ბუდუჩნოსტთან" გამართავს.

დარჩენილი შეხვედრების შედეგების მიუხედავად, შემდეგ წრეში ითამაშებენ „რიელო", „ფეთ", უნგრეთის „კიორმენდი" და ინგლისის „ლონდონ თაუერზ".

ნეიტრალურ მოედანზე

27 ნოემბერს ბერლინში გაიმართება კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი შეხვედრა — ბოსნია — საქართველო.

ალბათ, გაგიკვირდებათ, თუ რატომ დაინიშნა ეს მატჩი ნეიტრალურ ქვეყანაში. ყველაფერი ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. ბოსნიელებმა კალათბურთის კონტინენტურ ფედერაციას თხოვნით მიმართეს, რომ თამაში სარაევოში ჩატარებულიყო, მაგრამ **ფიბამ** გაითვალისწინა საქართველოს ეროვნული ფედერაციის პოზიცია და სლავებს უარი შეუთვალა.

ქართველი კალათბურთელები ბერლინს 25 ნოემბერს მიემგზავრებიან. შეგახსენებთ, რომ მათ შარშან პირველ წრეში, შინ სძლიეს მეტოქეს 77:66.

სდასუ — საკალათბურთო სეზონის აღმოჩენა

ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში გრძელდება ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ გუშინწინ და გუშინ გამართული მორიგი მატჩების ტექნიკურ შედეგებს:

ასკ-„მერანი" 114:61,
„დინამო"-„დინამო-2" 104:80,
სდასუ-„კოლხა" 100:67,
ასკ-„კოლხა" 80:77,
„კაქტუსი"-„მერანი" 93:85,
„ქიმიკოსი"-„დინამო-2" 83:78,
სდასუ-„დინამო" 77:74.

ეს უკანასკნელი დუელი სამართლიანად ითვლებოდა ცენტრალურ ორთაბრძოლად. ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი — „დინამო" ამ თამაშმდე დაუმარცხებლად ასპარეზობდა და მეტოქის ძალის გათვალისწინებით მთელ დამრტყმელ ბირთვს უხმო ბერძენიშვილის გარდა, რომელიც გასინჯვაზე საზღვარგარეთის ერთ-ერთ კლუბში იმყოფება.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის გუნდი წლეულს საგრძნობლად მოღონიერდა. სტუდენტთა უბერებელ მოთამაშე-მწვრთნელს ნიკოლოზ დერიუგინს კარგად უბამენ მხარს სდასუ-ს ახალწვეულები აბრამიძე, დავითულიანი და აბულაძე. მათ პირველ წრეში თვით „ვითას" გაუმართეს უშეღავათო შერკინება და მხოლოდ მძაფრ ბრძოლაში დამარცხდნენ, გუშინ კი კიდევ ერთი ფავორიტი იმსხვერპლეს.

დებიუტში დინამოელები დაწინაურდნენ და მცირე უპირატესობას მთელი ტაიმის მანძილზე ინარჩუნებდნენ, თუმცა დერიუგინის შეტევებმა მათ ცენტრალურ თავდამსხმელებს — სხირელსა და ოთიაურიძეს 4-4 პერსონალურ შენიშვნად დაუჯდათ. სდასუ პირველად შესვენებამდე 10 წამით ადრე დავითულიანმა დააწინაურა — 40:39.

შესვენების შემდეგ როლები შეიცვალა. აბრამიძის, აბულაძისა და დერიუგინის ძალისხმევით სტუდენტები სულ წინ იყვნენ და საბოლოოდ დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტ წუთებში მათ 5-5 ჯარიმის გამო დავითულიანი და ეგუტია გამოაკლდათ, მაგრამ სდასუმ მათ გარეშეც დაამტკიცა სიძლიერე. მათგან ქებას იმსახურებს ჩუბინიძე, რომელმაც თავგანწირულად იბრძოლა ფარქვეშ.

დამარცხებულთაგან ძნელია ვინმეს გამოყოფა — ყველამ თითქოს საშუალოდ ითამაშა, რაც წარმატებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ლიდერობა კი ვერავინ იტვირთა.

ხვალ ვერის ბაღში 15 საათზე დაიწყება პრინციპული პაექრობა „ვითა"-„დინამო".

იუბილე

გულის სითბო ცივ დარბაზში

ცნობილ ქართველ მწერალს ლადო მრელაშვილს ამა წლის 8 მარტს შესრულებია 70 წელი. ამ თარიღის აღსანიშნავი საღამო კი ახლახან, ნოემბრის შუა რიცხვებში აღინიშნა. ასე დაბედა შემოქმედს, რომლის რომანები თუ მოთხრობები მეოცე საუკუნის ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებს განეკუთვნება, დაგვიანებით იბეჭდებოდა მისი ლექსი თუ პროზა, დაგვიანებით მოდიოდა აღიარება. ან იქნებ სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სიახლით და განსხვავებულობით აღბეჭდილი ნიჭის თვისება? ახლისა და უჩვეულოს აღსაქმელად ხომ დროა საჭირო, დრო, რომელიც ყველას მიაგებს თავისას, პირუთვნელად და მიუკერძოებლად.

საიუბილეო საღამომ, რომელიც თელავის დრამატული თეატრის შეკიბულ დარბაზში გაიმართა, კიდევ ერთხელ დაარწმუნა მწერლის ნიჭის თაყვანისმცემლები, რომ ჭეშმარიტ შემოქმედებას კიდევ ერთი და იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება გააჩნია — თუნდაც დროის გარკვეულ მონაკვეთში რამდენიმე საათით გაერთიანოს ადამიანთა სულები.

საღამოზე, რომელიც მისასალმებელი სიტყვით საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი არსენიშვილმა გახსნა, ლადო მრელაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს მწერლებმა და კრიტიკოსებმა რევაზ მიშველაძემ, ლევან სანიკიძემ, დავით მჭედლურმა, ოთარ ჭილაძემ, გურამ გვერდწითელმა, შოთა ლომსაძემ, სილოვან ნარიმანიძემ, ანზორ აბულაშვილმა, ფარნაოზ რაინაულმა, მიხეილ ქურდიანმა, შოთა ზოდაშნელმა, კარლო კობერიძემ, თამაზ ხმალაძემ, ვალერიან მამუკელაშვილმა. მწერალს ასევე მიესალმნენ ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი, იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შათირიშვილი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ზურაბ არსენიშვილი,
„სრ" საკ. კორ.

ბრალი ედებათ

მანქანა პატრონს დაუბრუნეს

გლდანის რაიონის პირველი ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს გლდანში მცხოვრები ჯუმბერ ჯიქური, დუშეთის რაიონის სოფელ ხანდოში მცხოვრები ლევან ვეშაგური და სოფელ არაგვისპირში მცხოვრები მერაბ არაბული.

მათ ბრალად ედებათ ის, რომ გლდანის მასივის მერვე მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ალისგონ ხამელოვს მუქარით წაართვეს ავტომანქანა „ვაზ-21011".

მანქანა პატრონს დაუბრუნეს. საქმეს იკვლევს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანის განყოფილება.

საქინფორმი.

კროსვორდი



თარაზულად: 5. რელიგიური მსახურება ღვთაებისადმი. 6. ცნობილი იტალიელი რეჟისორი, სოფი ლორენის მეუღლე. 9. თავები. 10. მსხვილი მემამულე. 14. ფილმის — „და ღმერთმა შექმნა ქალი"... დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი. 15. ამა თუ იმ პროფესიის, ხელობის ადამიანთა გაერთიანება რაიმე სამეურნეო საქმიანობისათვის. 16. ევროპელების მიერ შექმნილი ამერიკელების მეტსახელი. 17. დუშეთის რაიონის სოფელი. 19. უმაღლესი თანამდებობის პირის თანმხლები პირი, მისი მცველი ძველ რომში. 20. სასამართლო საქმის წარმოების უფლება. 25. შუამავალი სავაჭრო, საბირჟო გარიგებაში. 26. ბრალდებულის წამება გახურებული შანთით, მდუღარე წყლით და მისთ. შუა საუკუნეებში, მისი დამნაშავეობა-უდანაშაულობის გასარკვევად. 27. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა. 29. პლანეტა ურანისის თანამგზავრი. 31. კანონის, კანონთა კრებულის, წესდებისა და მისთ. გვიანდელი დანართი. 32. რაიმე მოქმედებისათვის ხალხის ალმძვრელი ბიძგი. 33. მჭევრმეტყველი. 34. სიღნაღის რაიონის სოფელი. 35. ჰაერის ტალღისებური რხევა, რომელსაც ყური აღიქვამს.

შვეულად: 1. პატიმარი. 2. მდგომარეობა საერთაშორისო სამართალში. 3. საწარმოთა დახურვა და მუშათა მასობრივი დათხოვნა გაფიცვების ჩაშლის მიზნით. 4. ფეხბურთის კარის ზედა, განივ გადებული ძელი. 7. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 8. წესდება, დებულება რისამე შესახებ. 11. დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა. 12. ვისიმე უფლება ან შესაძლებლობა იყოს რისამე კანდიდატი. 13. ფილმის — „დიდი მანევრების" დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი და კინოდრამატურგი, პოეტი და მსახიობი. 18. ქალაქი დიდ ბრიტანეთში. 19. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 21. სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის ლექსი. 22. პირი, რომელსაც ემსახურება საკრედიტო, სავაჭრო ან სამრეწველო ორგანიზაცია. 23. დიდი ხმის გამომცემი ჩასაბერი საკრავი. 24. ჯადო, გრძნება. 27. იგავ-არაკი. 28. ფარული საძრახისი მოქმედება, ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად. 30. ძვირფასი ქვა. 31. ბუნებრივი, ცოცხალი ნიმუში, რომელსაც ხატავენ, იღებენ და სხვ.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.

2 ნოემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. ტოტფადუში. 9. „მანიანიტა". 10. ლიბერია 11. ფანდანგო. 13. დებიტორი. 15. ნექტარი. 18. ბროდვეი. 21. ბუკლეტი. 22. ბიპლანი. 23. კვებეკი. 24. ჯაკარტა. 28. სპრინტი. 31. წალკოტი. 32. „ამირანი". 35. მარშალი. 36. ნაკაშიძე. 38. ცისტერნა. 40. რეგიონი. 41. სტრაენიკი. 42. ფილიგრანი.

შვეულად: 1. ტორეადორი. 2. შიბა. 3. ეშელონი. 4. მარადია. 5. პატრი. 6. სტანდარტი. 8. სპექტაკლი. 12. დენდი. 14. ტრალი. 16. კარჩკემები. 17. „ჩუქურჩუბა". 19. სინკოპე. 20. ინფანტი. 25. ზინგშპილი. 26. სანვადეტი. 27. ცკოლა. 29. ზროსე. 30. ანტონიონი. 33. ამერიკა. 34. სოკილა. 37. შარჟი. 39. ტაშტი.

გზა

დაზარალებული სახელმწიფო მრჩეველი და ავბედითი „ბმვ"

5-დან 22 ნოემბრამდე თბილისში რეგისტრირებულია 45 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. დაშავდა 48 ადამიანი, გარდაიცვალა 5.

7 ნოემბერს, დაახლოებით 19.30 საათზე, ბულაჩაურის ქუჩაზე მიმავალ პელაგია ავლახაშვილს დაეჯახა „ვაზ-2106". მძღოლი მიიმალა, 65 წლის დაზარალებული კი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

იმავე დღეს, კოსტავას ქუჩაზე, დაუდგენელი ნომრის წითელი ფერის „ვაზ-2109" დაეჯახა ასევე „ვაზ--2109" მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა სახელმწიფო მრჩეველი ზურა ქილიფთარი. იგი მოთავსებულია საავადმყოფოში, ხოლო მისმა 3 წლის ვაჟიშვილმა სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

10 ნოემბერს, ღამით, ბახტრიონის ქუჩაზე „ბმვ" (სახელმწიფო ნომერი ააა-165) გადავიდა სავალი გზიდან, დაეჯახა მოაჯირს და 7 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა იპოდრომის ტერიტორიაზე. მძღოლი სტანისლავ სურგულაძე საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

12 ნოემბერს, საღამოს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტომანქანა „ვაზ-2106", რომელსაც მიხეილ ლომაშვილი მართავდა, დაეჯახა ფეხით მოსიარულე ლილი დადმანიძეს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

13 ნოემბერს, დილით, ქეთევან წამებულის ქუჩაზე 81 წლის არამ ზურაბიანს დაეჯახა „ბმვ", რომელსაც მინდობილობით მართავდა ქაზიმ ოლლი ზიადი. ზურაბიანი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ქალაქ თბილისის საგზაო პოლიციის პრესსამსახური.

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, შესანიშნავი ქართველი მანდილოსანი, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ვაჟკაცის გურამ გელავას დედა

ვალიდა გელავა

საქინფორმისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ჩვენს კოლეგას, ავრორა გელავ დის გარდაცვალების გამო.

სამშაბათს, 26 ნოემბერს 16-დან 17 საათამდე, წმინდა [illegible] ლონის სახელობის ეკლესიაში მამა ზურაბი პაპაშვილს გადაუხდის რუსეთის ყოფილ მუდმივ წარმომადგენელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში

კანდიტ იონას ძე მელიას

მისამართი: ხეთაგუროვის ქუჩა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგვაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ნანული ბარათაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში ხოშარაულის 29.